ფოტო ხათუნა ხუციშვილი

2015 წლის ბოლო ნომერი და ჩემთვის მეორე, სულ პირველის – 2011 წლის ზაფხულის შემდეგ. ახალგაზრდა კოლეგასთან და ძველ გუნდთან ერთად.

დრო გავიდა და ბევრი რამ მოხდა – ცუდიც და კარგიც, მაგრამ არ ვიცი, შეიცვალა ქართული კინო 4 წელში, თუ არა. შესაბამისად, შეიცვალა თუ არა ჟურნალი (არა ფორმატი – შინაარსი) „დაბეჭდილი“ ქართული კინო ან მისი ქაღალდზე ანაბეჭდი.

„ფილმპრინტის“ ამ ნომრით გვინდოდა, ოდნავ მაინც გამომსახველად აგვეწყო დღევანდელობის კინოპორტრეტი. ასეთად ვხედავთ ან შეიძლება, ასეთი გამოგვივიდა. ყოველ შემთხვევაში, ყველამ კინოსა და ერთმანეთის სიყვარულით, მშვიდობიანად და კომფორტულად ვიმუშავეთ და ასევე სიყვარულით ვუძღვნით ადამიანებს, რომლებისთვისაც კინო არა მხოლოდ პროფესიაა, არამედ ის, რის გარეშეც ვერ იცხოვრებდნენ.

ლელა ოჩიაური

არ ვიცი წესი – რედაქტორის სვეტი ჟურნალზე მუშაობის დაწყებამდე კეთდება, თუ ბოლოს. ჩემი კუთვნილი ასი სიტყვა მხოლოდ მას შემდეგ დავწერე, რაც ყველა მასალა უკვე მზად იყო. მერე წინა ნომრების რედაქტორების სვეტებს გადავხედე და კარგიც ვქენი; ერთ-ერთს სამ სიტყვაში ჰქონდა საკუთარი ჟურნალი აღწერილი. ამ ხნის განმავლობაში მეც მხოლოდ სამი სიტყვა მიტრიალებდა თავში – დრო, ქალები, კინო.

მე და ჩემმა თანარედაქტორმა „ფილმპრინტზე“ მუშაობისას, ბოლოსკენ აღმოვაჩინეთ, რომ ჩვენდაუნებურად, თითქმის სულ ქალების შესახებ ვწერდით. დიახ, ეს ნომერი მათ ეკუთვნით – დაიმსახურეს!

ეს ნომერი ეკუთვნის დროსაც – ანუ კინემატოგრაფს. სხვა საკითხია, 10-20 წლის შემდეგ რამდენად კარგად შეინახავს ეს ჟურნალი 2015 წლის ზამთარს, თუმცა ჩვენ ეს ვცადეთ.

გიორგი რაზმაძე


62

ყდაზე: კადრი ფილმიდან „როცა დედამიწა მსუბუქია"

გამომცემელი: საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

აღმასრულებელი მენეჯერი: ნათია კანთელაძე
მთავარი რედაქტორები: ლელა ოჩიაური, გიორგი რაზმაძე
არტ დირექტორი: მანანა არაბული
ლიტერატურული რედაქტორი \
კორექტორი: ნინო სვანიძე
ფოტოგრაფი: ხათუნა ხუციშვილი
პრეპრესი: ალექს კახნიაშვილი
ნომერზე მუშაობდნენ: ლელა ოჩიაური, გიორგი რაზმაძე, ნენო ქავთარაძე, ტატო მელიქიშვილი, ზაზა რუსაძე, ნინო შერვაშიძე, ინგა ხალვაში, ქეთი დანელია, ნინო ნატროშვილი, ნინო ჭიაურელი, ქეთი მაჭავარიანი, გვანცა ზაქარეიშვილი, ნათია მეფარიშვილი.

რედაქცია ტელ.: +995 32 2 999200
ელ. ფოსტა: info@gnfc.ge
ვებგვერდი: filmprint.ge
დაიბეჭდა „24 საათის" გამომცემლობაში;
ტელ.: +995 32 2 409445

ჟურნალი გამოდის კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით.

თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი 4
ჯიფონის საერთაშორისო ფესტივალი 8
ნინო ორჯონიკიძე CineDOC - თბილისი 2015-ზე 10
ალმოაჩინე კინოში ახალი ცხოვრება ლონდონში საქართველოდან 14
IDFA როცა დედამიწა მსუბუქია 18
საქართველო ტალინის საერთაშორისო კინოფესტივალის ფოკუსში 20
გიორგი გოგიბერიძე „თეთრი კვადრატისა" და BIAFF-ის შესახებ 22
წარმოება დღეს 25
„მოირა" რეცენზია 26
„გამოსვლა" რეცენზია 30
„მძევლების" ისტორია გრძელდება 32
„ანას" გადასაღები მოედნიდან 38
„სიკვდილის როკვა" ახალ ქართულ კინოში 40
ხილული და დაფარული 44
ჩემი კინო 47
ინტერვიუ ლანა ღოღობერიძესთან 48
ძველი კინო 52
ინტერვიუ ნინო კასრაძესთან 58
ინტერვიუ ქეთი დევდარიანთან 62
ინტერვიუ თამუნა ინგოროყვასთან 66
ინტერვიუ გიორგი ვარსიმაშვილთან 70
ხელმწიფე წრომში 75
სპეციალური რეპორტაჟი 85
ინტერვიუ თამარ ტატიშვილთან 86
ინტერვიუ ჯონათან ნოსიტერთან 90
ინტერვიუ ადამ მიხნიკთან 94
ინტერვიუ რიჩარდ პენასთან 98
ინდუსტრია და თანამედროვე ტექნოლოგიები 101
ინტერვიუ ნანა ჯანელიძესთან 102
კინო, რომელიც გრძნობს დროს 108
კინოსთვის ერთად 111
ფილმპრინტის რედაქცია 112

არამეგობრული კამერა

იმ დროს, როდესაც თბილისში საერთაშორისო კინოფესტივალი „პრომეთე“ მიმდინარეობდა, სოციალურ ქსელებში ერთ-ერთი ქართულ კომპანია „საგას“ (კომპანიას გამიზნულად ვასახლებ) სარეკლამო რგოლი გავრცელდა, რასაც არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა. სახელდახელოდ შექმნილ ვიდეორგოლში წარმოდგენილი იყო ბავშვებსა და ქალებზე, ჩვენს რეალობაში ყველაზე დაუცველ ჯგუფებზე, ძალადობის კლასიკური მაგალითი. 2015 წელი კი პრეზიდენტის მიერ სწორედ ქალთა წელიწადად გამოცხადდა. თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალიც ამ პრობლემას მიეძღვნა, რომელიც 30 ნოემბერს გაიხსნა და 5 დეკემბერს საზეიმოდ დაიხურა.

ერთი კვირის განმავლობაში მაყურებელს საშუალება ჰქონდა, ენახა უკანასკნელ ორ წელიწადში გადაღებული ყველაზე მნიშვნელოვანი ფილმები მთელი მსოფლიოდან.

„ოქროს პრომეთეს„ ლაურეატი სენემ თიუზენის „სამშობლო“ გახდა, თურქი ქალი რეჟისორის ფილმი თურქ მწერალ ქალზე... ბოდიშს გიხდით ტავტოლოგიისთვის, მაგრამ ქალის ხსენება ბევრჯერ მოგვიწევს და ამ სიტყვას განგებ არ ჩავანაცვლებთ რომელიმე ნაცვალსახელით.

ბოლო წლებში დახოცილი და მო... („საგას“ მიხედვით) ქალების პარალელურად, ფესტივალის ქართულ პანორამაში წარმოდგენილმა ფილმებმა შეძლებისდაგვარად წარმოაჩინეს ეს და სხვა სოციალურ-კულტურული ხასიათის პრობლემები.

ნინო გაგუას დოკუმენტური ფილმი „მადონა“ მუნიციპალური ტრანსპორტის ერთადერთ ქალ მძღოლზე მოგვითხრობს. რეჟისორმა მაქსიმალურად ახლო ხედით გვანახა ნორმის მიღმა მყოფი ადამიანი. მადონა არ არის ბუნებით სუსტი პიროვნება, უყვარს საკუთარი საქმე. მის ცხოვრებაში, ერთი შეხედვით, არაფერია განსაკუთრებულად პრობლემური. კოლეგებიც ეხმარებიან, როცა ავტობუსი უფუჭდება; გახსნილად ესაუბრებიან, ეხუმრებიან და თითქოს, ყველაფერი რიგზეა. ამის მიუხედავად, მთელი ფილმის განმავლობაში მაინც ვგრძნობთ, რომ ყველაფერი რიგზე არ არის. ფინალში კი ყველაფერი ირკვევა. „შენ ქალი არ ხარ“! – მიმართავს მადონას ერთ-ერთი კოლეგა, რითაც ეს კაცი ადროცენტრულ სამყაროში წონასწორობას აღადგენს, ანუ ყველას და ყველაფერს უჩენს საკუთარ ადგილს, გენდერული თუ სხვა ნორმებით წინასწარ განსაზღვრულს.

სწორედ ასეთ კაცებზეა ზურაბ ინაშვილის დოკუმენტური ფილმი „ხმა ამოიღეთ!“. ერთი საათის განმავლობაში ვუსმენთ ძალადობის მსხვერპლი ქალების ძალიან მძიმე

ფოტო თამარ მირიანაშვილი, ლაშა ცერცვაძე



ისტორიებს. თუმცა ეს მთავარი არ არის. რეჟისორის მთავარი მიგნება რამდენიმე კაცისთვის სიტყვის მიცემაა, საიდანაც მაყურებლისთვის გასაგები ხდება, რომ ქალები „სუსტი სქესის“ წარმომადგენლები არა საკუთარი ნებით, არამედ კაცების კონკრეტული და ღია მუქარის შედეგად ხდებიან. ფილმში ვნახეთ თავად მიზოგინიის მომხრე ქალებიც, რომლებიც, შესაძლოა, სექსიზმს უფრო თვითგადარჩენის ინსტინქტით ამართლებენ, ვიდრე გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, რომ ისინიც პატრიარქალური საზოგადოების რიგითი შვილები არიან და სხვაგვარად ვერ აზროვნებენ. ფილმში წამოჭრილი კითხვები ფართო დისკუსიისთვის ძალიან კარგი ნიადაგი შეიძლება გახდეს, მთავარია, ამ პრობლემებზე გაგრძელდეს საუბარი და კიდევ უფრო ფართო აუდიტორიასთან.

ქართულ პანორამაში წარმოდგენილ რამდენიმე ფილმში გამოიკვეთა მეორე ხაზიც, რომლის ფოკუსშიც სხვადასხვა სახის მარგინალური ჯგუფები მოხვდნენ – ეთნიკური და კულტურული. ერთ-ერთი ნამუშევარი, რომელზეც ყურადღების გამახვილება ღირს, არის უგის ოლტეს ქართულ-ლატვიური კოპროდუქცია „ორმაგი უცხოები“. ფილმის ავტორები მოგზაურობენ სამცხე-ჯავახეთში. გადაადგილდებიან სივრცეში, სადაც დრო თითქოს გაყინულია წარსულში. არაერთხელ მოჰკრავთ ყურს წინაპრებზე, 19-ე საუკუნესა და ისტორიაზე საუბარს. შეიძლება შეგექმნათ შთაბეჭდილება, რომ ამას სპეციფიკური და ძალიან ლამაზი ლანდშაფტი, აგრეთვე მკაცრი კლიმატური პირობები განაპირობებს. თუმცა, ეს რეგიონში მცხოვრები ეთნიკურად სომეხი მოსახლეობის ერთადერთი თავდაცვითი იარაღია იმ დისკურსის წინააღმდეგ, რომლითაც დომინანტი კულტურა ცდილობს იერარქიის შენარჩუნებას. აქაური ხალხი და სივრცე გაუცხოებულია დანარჩენი საქართველოს-

გან. ქართველებიც გაუცხოებულები არიან ადგილობრივი სომხების მიმართ.

მიიჩნევა, რომ ამ რეგიონის ინტეგრაცია სკოლებში ქართული ენის მასწავლებლების მივლინებით განხორციელდება, რაზეც გიორგი ცხვედიანის „ნიკოს გზაშიც“ იყო საუბარი. ფილმის გმირი ნიკო ფინალში ტოვებს ერთ-ერთი სოფლის სკოლას და მიემგზავრება გორის მუნიციპალიტეტში, ე.წ. საზღვრისპირა დასახლებაში მდებარე მშობლების ძველ სახლში, სადაც ორსულ ცოლთან ერთად აპირებს ცხოვრებას. გამოდის, რომ ქართველებს გაუცხოება არა მხოლოდ ეთნოსის, არამედ სივრცის მიმართაც აქვთ, რადგან ურჩევნიათ ომის საფრთხესთან ახლოს ცხოვრება, ვიდრე სტუმართმოყვარე სომხების გვერდით, საოცარ ლანდშაფტში.

სივრცეში გადაადგილებაზე, უფრო ზუსტად კი – სქეითბორდით მოძრაობაზეა სალომე მაჩაიძის, თამუნა ქარუმიძისა და დავით მესხის „როცა დედამიწა მსუბუქია».

ისევე, როგორც ზემოთ ნახსენები თემები, ქართულ კინოში სუბკულტურაც ნაკლებად ასახულია. ფილმი ახალგაზრდა „სკეიტერებზეა“, ადამიანებზე, რომლებიც გრძელ თმას, უცნაურ ჩაცმულობასა და საყურეებს ატარებენ – ყველაფერ იმას, რაც ნორმის ფარგლებში მყოფ ქართველ, ჰეტეროსექსუალ, მართლმადიდებელ ადამიანს განსაკუთრებით აღიზიანებს.

ქართულ პანორამაში წარმოდგენილი ფილმების ნაწილმა შეძლო გარემოს, პრობლემებისა და გამოწვევების ასახვა, კითხვების დასმა და დიალოგის პროვოცირება. რაც ყველაზე მთავარია, კამერის ობიექტივში მოხვდნენ მარგინალები და ისღა დაგვრჩენია, ვინატროთ, რომ იქიდან ეს ჯგუფები ვეღარავინ გამოდევნოს.

[გიორგი რაზმაძე]

ფოტო თამარ მირიანაშვილი, ლაშა ყორცვაძე





CARPE DIEM



1971 წელს სამხრეთ იტალიის ქალაქ ჯიფონი ვალე პიანაში კლაუდიო გუბიტოზის წამოწყება მსოფლიოს ყველაზე მასშტაბურ საბავშო ფესტივალად იქცა. 80-იან წლებში ფრანსუა ტრიუფო იტყვის, რომ „ჯიფონი" ყველაზე მნიშვნელოვანია, სხვა ფესტივალებს შორის. დღეს Giffoni Experience 54 ქვეყნის 35000 მონაწილეს აერთიანებს. ჩვენი ქვეყანა „ჯიფონის" მარათონში 2013 წელს ჩაერთო. საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ინიციატივით, 2014 წელს One Day Giffoni ჩატარდა, რომელშიც 250 მოზარდი მონაწილეობდა. 2015 წლის 16-19 ოქტომბერს მოსწავლე ახალგაზრობის სასახლემ 500 ბავშვს უმასპინძლა. ქართველებთან ერთად, რომელთა დიდი ნაწილი რეგიონებიდან ჩამოვიდა, ფესტივალს იტალიელი, ხორვატი, სომეხი და აზერბაიჯანელი ბავშვები ესტუმრნენ.

4 დღის განმავლობაში ჟიურის წევრები +13 და +16 ასაკობრივ კატეგორიებში საკონკურსო ფილმებს აანალიზებდნენ და აფასებდნენ. უცხოური ფილმების გარდა, ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის „გრძელი ნათელი დღეები" და ახალი ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმები: „მამა" „დინოზავრი" „დინოლა" „ჰეფი მილი" იხილეს. ჩვენების დასრულების შემდეგ მათ ავტორებსა და მსახიობებთან Q/A გამართეს.

საფესტივალო პროგრამა მრავალფეროვანი და დატვირთული იყო: სცენარის წერის, ანიმაციის, კომპიუტერული თამაშების, ფოტოგრაფიის, TV-რეპორტინგის, კადრირების, კინოპოსტერებისა და სუხიშვილების ვორქშოფი ბავშებისთვის ახალი აღმოჩენების საწყისი გახდა. ემოციური და დასამახსოვრებელი იყო „ჯიფონის" ჟიურის წევრების შეხვედრა ფესტივალის სპეციალურ სტუმრებსა და სპიკერებთან: ზაზა ურუშაძესთან, გიორგი ოვაშვილითან, მიშა მდინარაძესთან, ლევან ბერძენიშვილთან, ზაზა აბაშიძესთან, რატი ამაღლობელსა და ზურაბ კიკნაძესთან. ფესტივალი დაიხურა ნანა ჯანელიძის ფილმით „ნეტავ, იქ თეატრი არის?". ჩვენების ბოლოს „ჯიფონი საქართველოს" ჟიურის 500 წევრი მსახიობ კახი კავსაძეს შეხვდა.

ფესტივალის ორგანიზატორებისთვის ყველაზე დიდი შეფასება ბავშვების გულწრფელი ემოციებია. ისინი შთაბეჭდილებებს სოციალურ ქსელში გამოხატავენ. გთავაზობთ ერთ-ერთ მათგანს: „4 განსაკუთრებული, დაუვიწყარი, ენერგიული, მხიარული, ბედნიერი, შეუდარებელი დღე, სადაც შესაძლებლობები შეუზღუდავია. აქ გაქვს არაჩვეულებრივი შანსი, რომ გადადგა კიდევ ერთი, დიდი და მნიშვნელოვანი ნაბიჯი იმ სამყაროში, რომელიც მხოლოდ კადრს მიღმა ხდება, იმ სამყაროში, რომელიც ჩვენ, მომავალ კინემატოგრაფებს განსაკუთრებულად გვიყვარს. რას წარმოადგენს „ჯიფონი" ჩემთვის? წამს, რომელმაც 4 დღის განმავლობაში შეუდარებელი ემოცია მაჩუქა, წამს, რომელიც ამიერიდან ყოველ წუთში 60-ჯერ მემახსოვრება!" – თაკო ლოლაძე (თბილისი)

„ჯიფონის" კინოფესტივალი, ეს არის უნიკალური სივრცე, სადაც ბავშვებს აქვთ შანსი შეაბიჯონ ახალ სამყაროში. ყველა სტუმარი, რომელიც მათთან შესახვედრად მიდის, მოზარდების კითხვებს პასუხობს და პროფესიულ გამოცდილებას უზიარებს. მასტერკლასები და უორქშოფები ბავშვებს საკუთარი კინოს აღმოჩენაში ეხმარება. უსაზღვრო ემოცია და თინეიჯერების შეუნელებელი რიტმი, რომელიც მაჯისცემასავით მიჰყვება საფესტივალო დღეებს, იმედია, მომავალშიც გაგრძელდება.

[ნენო ქავთარაძე]

ფოტო ანა ბეჟაშვილი, გოგა ჩანადირი, თეკლე ქველაძე,
თომა სუხაშვილი, ოლია პაპასკირი

CinéDOC კარგი პლატფორმაა

„სინედოკი“ სამხრეთ კავკასიაში პირველი საერთაშორისო დოკუმენტური კინოს ფესტივალია. CinéDOC-Tbilisi 2015-ის ლაურეატი ფილმია მირო რემოს „დაბრუნება“. Focus Caucasus-ის გამარჯვებული კი უგის ოლტეს „ორმაგი უცხოები“ გახდა. ამ სექციის ჟიურის წევრი ქართველი დოკუმენტალისტი ნინო ორჯონიკიძე იყო, რომლის ფილმიც, ვანო არსენიშვილთან ერთად, „ინგლისურის მასწავლებელი“ პირველი „სინედოკის“ ლაურეატია.

დოკუმენტური კინოფესტივალი «სინედოკი» მესამედ ჩატარდა. რამდენად მნიშვნელოვანია მისი არსებობა ქართველი დოკუმენტალისტებისთვის?

რამდენიმე მიზეზით არის ძალიან მნიშვნელოვანი: პირველი, რა თქმა უნდა, დიდ ეკრანზე კარგი დოკუმენტური ფილმების ნახვა და მათ რეჟისორებთან შეხვედრისა და დისკუსიის შესაძლებლობაა. მეორე, საერთაშორისო ინდუსტრიის წარმომადგენლების გაცნობა, რომლებსაც ერთი ინტერესი აერთიანებთ – დოკუმენტური კინო. მესამე, ალბათ, ეს არის შენი კონკრეტული საქმიანობისა და მოსაყოლი ისტორიების უფრო გლობალურ კონტექსტში დანახვის შესაძლებლობა.

და კიდევ, ალბათ ეს არის მთავარი – საქართველოში დოკუმენტური კინოს მიმართ ძალიან სტერეოტიპული წარმოდგენა არსებობს – საუკეთესო შემთხვევაში, მასზე ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევები, ვრცელი სატელევიზიო რეპორტაჟები ან კი თავისი არსით პროპაგანდისტული თუ კორპორატიული ვიდეოები ახსენდებათ ხოლმე. ასეთი ფესტივალი ამ წარმოდგენების შერყევის კარგი მცდელობაა და იმის გაგება, რამდენად მრავალფეროვანი და შემოქმედებითი შეიძლება იყოს დოკუმენტური კინო.

ფოტო ხათუნა ხუციშვილი

ფოტო ხათუნა ხუციშვილი

რა სიახლეები შემოგვთავაზა წლევანდელმა ფესტივალმა?

პირადად ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ ფესტივალის ინდუსტრული ღონისძიებებს დოკუმენტური ფილმის პროექტების პრეზენტაცია და კონკურსი (ფიჩინგი) დაემატა. ადრე „ფიჩ-დოკი" (Pitch Doc) თბილისის კინოფესტივალის ფარგლებში იმართებოდა, ახლა კი კომპანია საქდოკის ეს პროექტი, „სინედოკის" ფარგლებში გაიმართა. პირადად მეც მივიღე მონაწილეობა ჩვენი პროექტით „ბაქანი" და კინოცენტრის პრიზი მოვიგეთ. მოგების გარდა, ეს არის მნიშვნელოვანი პლატფორმა საერთაშორისო ინდუსტრიის წარმომადგენლებთან შესახვედრად, განვითარების ეტაპზე მყოფი ფილმების, ტენდენციებისა და ახალგაზრდა დოკუმენტალისტების გასაცნობად.

წლევანდელ ფესტივალზე საინტერესო იყო ფოკუსი ქალ რეჟისორებზე და ის მასტერკლასები, რომლებიც დებრა ზიმერმანმა და მარტიშკა ბოჯილოვამ ჩაატარეს. პირველი – ამერიკის არამხატვრული კინოს ინდუსტრიაში მნიშვნელოვანი ფიგურაა, მეორე კი აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო საპროდუქციო კომპანიის წარმომადგენელი და ათობით მნიშვნელოვანი პროექტის პროდუსერი.

როგორ შეაფასებდით წარმოდგენილი ნამუშევრების საერთო დონეს, სტილს, თემატიკას?

ფილმები ძალიან განსხვავებული იყო – თემატიკითაც და ფორმითაც: კვანტური ფიზიკის ვნებით შეპყრობილი ახალგაზრდა გმირის თვალით დანახული სამყარო, შენობის პერსპექტივით მოყოლილი ამბავი, ვიზუალურ შთა-

ბეჭდილებებზე აგებული მოგზაურობა, ბავშვის მიერ დანახული საზღვრების პრობლემა და ა.შ. ერთი რამ ნათელია – ყველაზე საინტერესო ის პერსპექტივაა, ის პრიზმაა, საიდანაც ამბავს ჰყვები და არა მხოლოდ თემატიკა ან საკითხი, რომელსაც აშუქებ. რა თქმა უნდა, გმირი და ისტორია ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ, როგორ ჰყვები ამ ისტორიას, რა ხერხებით, რა მიდგომით, როგორ თარგმნი ამ ყველაფერს კინოენაზე, აი ეს არის გადამწყვეტი, და სწორედ ამ კუთხით შევაფასეთ კიდეც გამარჯვებული ფილმები. ფორმისა და შინაარსის საინტერესო ნაზავით იქმნება კარგი კინო. იყო ნამუშევრები საინტერესო გმირებითა და ისტორიებით, მაგრამ სატელევიზიო ესთეტიკით. ეს ნაკლებად საინტერესო მეჩვენება.

თქვენ ხართ პირველი „სინედოკის“ ლაურეატი. დამწყები რეჟისორისთვის რა ბენეფიტების მომცემი შეიძლება აღმოჩნდეს ეს ფესტივალი?

„სინედოკის“ პრიზის მოგების შემდეგ ფესტივალის ეგიდით ფილმი საქართველოს ფარგლებს გარეთაც მოგზაურობდა, რის შემდეგაც მისი აუდიტორია გაიზარდა. დღემდე აჩვენებენ სხვადასხვა კინოფორუმის ღონისძიების ფარგლებში. შესაბამისად, „სინედოკის“ კარგი პლატფორმაა არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ საერთაშორისო აუდიტორიის მოსაპოვებლად.

ასევე, ეს ფესტივალი არა მხოლოდ მნიშვნელოვანი თანამედროვე დოკუმენტური ფილმების ნახვის, არამედ ინდუსტრიის წარმომადგენლებთან შეხვედრის, მათი გაცნობის საშუალებაც არის. წელს მას ბევრი საინტერესო სტუმარი ჰყავდა – მაგალითად, დებრა ზიმმერმანი, ოდრიუს სტონისი, მარტიშკა ბოჟილოვა და სხვ. მიუნხენის დოკუმენტური ფესტივალის, IDFA-ს, Cinema du reel-ს წარმომადგენლები.

უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით განვითარდა ქართული საავტორო დოკუმენტური კინო. თქვენი აზრით, რამ განაპირობა ეს?

დოკუმენტალისტიკის განვითარების მიზეზი ახალი პლატფორმები, ხელმისაწვდომი აპარატურა და საერთაშორისო ინდუსტრიულ სივრცეზე ხელმისაწვდომობა გახდა; ასევე, კინოცენტრის დაფინანსებაც და ბოლო წლების აქცენტი დოკუმენტურ კინოზე; რა თქმა უნდა, ისიც, რომ რეალობა საქართველოში ყველაზე დიდი შთაგონებაა... აქ ყოველი კუთხე, ყოველი ადამიანი, შესაძლოა, ფილმად იქცეს, თუკი კამერის უკან მდგომ ადამიანს საინტერესო ხედვა, დაკვირვების უნარი, ემპათია, სითამამე და თან მოთმინება აქვს.

[გიორგი რაზმაძე]

აღმოაჩინე კინოში ასახული ცხოვრება ლონდონში საქართველოდან

ქართული კინოს საერთაშორისო წარმატებები, საწყისი ეტაპიდან – პროექტიდანაც კი – უკვე ჩვეული მოვლენა გახდა. ფესტივალები, კინოფორუმები, ჩვენებები კინოთეატრებში, თუ სცენარის დასაფინანსებლად მოპოვებული გრანტები მეტყველებენ კრიზისის დაძლევაზე და უკეთესი პერსპექტივის პროგნოზსაც აკეთებენ. შესაბამისად, იზრდება ინტერესი ქართული კინოპროდუქციის მიმართ, რასაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ქართული კინოს დღეები, ქართული კინოს თემატური კვირეულები და ა.შ. უფრო განამტკიცებენ.

2015 წლის 1-7 ოქტომბერს, ლონდონის ვესტენდში, კინოთეატრ REGENT STREET CINEMA-ში ჩატარდა ქართული ფილმების მე-4 ფესტივალი - „კინოში ასახული ცხოვრება", (საერთო სახელწოდებით, „აღმოაჩინე ქართული კინო"). REGENT STREET CINEMA ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ცენტრია ლონდონში, 180-ადგილიანი კინოდარბაზით, რომელშიც მე-19 საუკუნის ბოლოს ძმები ლუმიერების პირველი კინოჩვენებები გაიმართა. თვითონ ფესტივალი ზაზა ურუშაძის „მანდარინებით" გაიხსნა; ხოლო ლონდონის ისტ ენდში, კინოთეატრ Rich Mix Cinema-ს კაფეში მოეწყო საღამო, რომლის დროსაც ქართველი მუსიკოსების მიერ შესრულებული ცოცხალი მუსიკის თანხლებით უჩვენეს ქართული უხმო კინოს შედევრი, მიხეილ კალატოზიშვილის „ლურსმანი ჩექმაში" (1931 წელი).

ქართული კულტურისა და საერთოდ, ქვეყნისთვის ამ, გამორჩეულად მნიშვნელოვანი ფესტივალის – ვიტყოდი, მართლაც კულტურული მოვლენის – დამფუძნებლები და ორგანიზატორები არიან: ჯეისონ ოსბორნი, ქეთი ჯაფარიძე და ნინო ანჯაფარიძე.

წელს ფესტივალზე ბრიტანელი მაყურებელი მეოთხედ გაეცნო უახლესი და თანამედროვე ქართული კინოს საუკეთესო მხატვრულ, დოკუმენტურ და მოკლემეტრაჟიან ფილმებს, ეროვნული კინოკლასიკის მარგალიტებსა და ძველი შედევრების აღდგენილ ნიმუშებს. გაიმართა რამდენიმე მსოფლიო და ბრიტანული პრემიერაც.

საფესტივალო პროგრამაში შედიოდა – ნანა მჭედლიძის „პირველი მერცხალი", ოთარ იოსელიანის

ახალი ფილმი „ზამთრის სიმღერა" (ფაქტობრივად, პრემიერა) და რამდენიმე ნაწილი 1996 წელს გადაღებული კინოსურათიდან „ყაჩაღები. თავი VII" (BRIGANDS) და ირანელ რეჟისორ მოჰსენ მაჰმალბაფის საქართველოში შექმნილი „პრეზიდენტი", მიხეილ გომიაშვილით მთავარ როლში. მათთან და მათი ნამუშევრების შესახებ საუბარს ბრიტანელი კრიტიკოსი და კინოს ისტორიკოსი დერეკ მალკოლმი უძღვებოდა.

წარმოდგენილი იყო ლევან თუთბერიძის „ცხრა მთას იქით", რომლის ჩვენების შემდეგ გაიმართა ძალიან საინტერესო დისკუსია აკა მორჩილაძის, გია ბაზღაძის (ფილმის პროდუსერი), ქრისტალ ბენეტის (ინგლისელი მსახიობი, რომელიც ფილმში მთავარ როლს ასრულებს) მონაწილეობით.

ახალი თაობის რეჟისორების შემოქმედებას ბრიტანელები გაეცნენ – გიორგი ოვაშვილის „სიმინდის კუნძულით", ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის „გრძელი ნათელი დღეებით", ლევან კოღუაშვილის „შემთხვევითი პაემნებით", თინათინ ყაჯრიშვილის „პატარძლებით"; სალომე ალექსის (ნუცა ალექსი-მესხიშვილი) „კრედიტის ლიმიტით" და სულ ახალგაზრდების სრულ და მოკლემეტრაჟიანებით – ლაშა ცქვიტინიძის „მე ვარ ბესო", ტატო კოტეტიშვილის „ოგასავარა", დეა კულუმბეგაშვილის „უხილავი სივრცეები", უტა ბერიას „ეშმაკის ბორბალი" და თორნიკე ბზიავას „ ბუდე".

დოკუმენტური კინოფილმებიდან წარდგენილი იყო – ნინო კირთაძის „არ ისუნთქო!", ზურა ინაშვილის „სხვა ქალაქი" და შტეფან ტოლცის „სრული სვლით დასავლეთისკენ".

დოკუმენტური კინოარქივიდან სამი, 30-იან წლებში შექმნილი, მოკლემეტრაჟიანი კინოსურათი („კულტურფილმი") უჩვენეს – „რასაც დასთეს, იმას მოიმკი", „ათი წუთი დილით" და „კოლმეურნის ჰიგიენა" (1934).

ჩვენებების პარალელურად, გაიმართა დისკუსიები – საერთაშორისო პანელი – „ქართული ლიტერატურა კინოში", რომელშიც მწერალი აკა მორჩილაძე და დონალდ რეიფილდი, კურატორი ნანუკა ჩიჩუა და ამერიკელი პოეტი ლინ კოფინი მონაწილეობდნენ. სხვათა შორის, კოფინმა ახლახან ინგლისურად თარგმნა „ვეფხისტყაოსანი", რომლის ნაწყ-

ვეტებსაც მსახიობი ლიანა ქვიკი კითხულობდა.

ქართული კინოს ფესტივალი ბრიტანეთში ჩატარდა – საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაფინანსებითა და მხარდაჭერით; ასევე – საქართველოს ეროვნული კინოცენტრის, თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის, ფრონტლაინ კლუბის, საქართველოს საელჩოს დიდ ბრიტანეთში, ბრიტანულ-ქართული სავაჭრო პალატის, ბრიტანულ-ქართული საზოგადოების, ბრიტანეთის საბჭოსა და „თბილღვინოს" ხელშეწყობით.

ნინო ანჯაფარიძე (საქართველოს კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, ფესტივალის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ორგანიზატორი): „ფესტივალი, რომელსაც უკვე 10 წლის ისტორია აქვს, ყველაზე მნიშვნელოვანი ქართული კულტურული მოვლენაა ბრიტანეთში. ქართული კინო ის მედიატორია, რომლის დახმარებით, ბრიტანელი მაყურებელი უნიკალურ ქართულ კულტურასა და ლანდშაფტს აღმოაჩენს, ხოლო უცხოელ რეჟისორებსა და პროდუსერებს უჩნდებათ სურვილი, გადაიღონ ფილმები საქართველოში, დაგეგმონ ახალი კოპროდუქციები. ამის ერთი ნათელი მაგალითია ცნობილ ირანელ რეჟისორ მოჰსენ მაჰმალბაფის მხატვრული ფილმი „პრეზიდენტი" (2014), რომელიც ქართული ჯგუფის მიერ და ქართველი მსახიობების მონაწილეობით საქართველოშია გადაღებული და რომლის იდეაც სწორედ ლონდონის ფესტივალზე დაიბადა. მსგავსი ფესტივალები და კინოფორუმები მომავალშიც იქნება მნიშვნელოვანი პლატფორმა ახალი კოპროდუქციების შესაქმნელად, რაც ქართული კინოინდუსტრიის განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

ფესტივალის სტუმრები სხვადასხვა დროს იყვნენ – ოთარ იოსელიანი, ელდარ შენგელაია, ლანა ღოღობერიძე, მიხეილ კობახიძე, კახი კავსაძე, დიტო ცინცაძე, ნინო კირთაძე, ნანა ჯანელიძე, მერაბ ნინიძე, ასევე ქართული კინოს ახალი თაობის წარმომადგენლები – კინორეჟისორები ზაზა ურუშაძე, გიორგი ოვაშვილი, ლევან კოღუაშვილი, თინათინ გურჩიანი, რუსუდან ჭყონია და სხვები.

ის უნიკალურ შესაძლებლო-

ბას გვაძლევს, ღირსეულად წარმოვაჩინოთ ჩვენი ქვეყნის კულტურა და ხელი შევუწყოთ მის სათანადო პოპულარიზაციას. ეს განსაკუთრებით აღსანიშნავია დღეს, როდესაც მნიშვნელოვან საერთაშორისო ფესტივალებზე ბოლოდროინდელმა წარმატებამ და აღიარებამ კვლავ გააღვიძა ინტერესი ქართული კინოს ფენომენის მიმართ. ამის ნათელი დადასტურებაა ზაზა ურუშაძის ფილმის „მანდარინების“ ოსკარის ნომინაციაში მოხვედრაც“.

ქალემ აჰთაბი ჟურნალ „ინდეფენდენთში“ (Independent) ვრცელ სტატიას, სახელწოდებით „საქართველო – ყოფილ საბჭოთა ბლოკში შემავალი ქვეყანა დღეს ფილმწარმოებაში ყველაზე ცხელი წერტილია“, უძღვნის ქართული კინოს ფესტივალს და წერს: „ბოლო ორი წელია, ქართული ფილმები ჯილდოვდებიან სხვადასხვა ფესტივალზე. ქართული კინოს წარმატებას თუ გადავხედავთ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა ბლოკის ქვეყნებს შორის საქართველომ რუმინეთი ჩაანაცვლა და იქცა ქვეყანად, სადაც მსოფლიოს ყველაზე ამაღელვებელი და შთამბეჭდავი ფილმები იქმნება.

ლონდონში გამართულ ქართული ფილმების ფესტივალზე წარმოდგენილია საუკეთესო ნამუშევრები. ორწლიანი პაუზის შემდეგ ფესტივალი ახალი ენერგიით ახალ ადგილას ტარდება, კერძოდ, Regent Street Cinema-ში... წელს ფესტივალი გამორჩეულ პროგრამას გვთავაზობს. შემდგენლებმა არ მიაქციეს ყურადღება, იყო თუ არა წარმოდგენილი ფილმები ბრიტანულ დისტრიბუციაში. მთავარი მიზანი იყო მაყურებლისთვის ეჩვენებინათ საუკეთესო ფილმები, რომლებიც შეიქმნა 2013 წლის ფესტივალის შემდეგ.

ავტორი ახასიათებს და აანალიზებს პროგრამით გათვალისწინებულ მხატვრულ სრულმეტრაჟიან და მოკლე და დოკუმენტურ ფილმებს და აღნიშნავს, რომ: „დამოუკიდებლობის მოპოვებიდან ოცი წლის შემდეგ ქართულმა კინომ ისევ დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი მსოფლიო კინემატოგრაფში“.

[ტატო მელიქიშვილი]



ამბავი ბიჭების, სკეიტერების, არტისტებისა და მუსიკოსების

„როცა დედამიწა მსუბუქია" „პირველი გამოჩენა" IDFA-ს მთავარი პრიზით დასრულდა და საფესტივალო ცხოვრების წარმატებულ დასაწყისად იქცა.

IDFA ამსტერდამის დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი ყოველწლიურად ნოემბერში იმართება და ის თანამედროვე კინოდოკუმენტალისტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პლატფორმაა. ამსტერდამში დაახლოებით 250 ფილმს უჩვენებენ. საკმაოდ დიდი ინდუსტრიული ნაწილი კი მრავალრიცხოვან კინოპროფესიონალებს ყოველწლიურად შეხვედრების, მოლაპარაკებებისა და გაყიდვების საშუალებას აძლევს.

IDFA-ს ძირითადი საკონკურსო პროგრამა, როგორც წესი, მსოფლიო პრემიერებს ეთმობა. ერთ-ერთი ასეთი საკონკურსო პროგრამაა First Apparance, რომლის სათაურიც ასე შეიძლება ითარგმნოს – პირველი გამოჩენა. კონკურსში კინემატოგრაფისტების პირველი და მეორე სრულმეტრაჟიანი ფილმები მონაწილეობენ. სწორედ ამ ოფიციალურ პროგრამაში იყო წარმოდგენილი სალომე მაჩაიძის, თამუნა ქარუმიძისა და დავით მესხის კინოსურათი „როცა დედამიწა მსუბუქია". ქართულ-გერმანული წარმოების დოკუმენტური ფილმი საქართველოს მხრიდან ხელოვანთა კოლექტივ „გოსლაბის", საპროდუსერო კომპანია „ზაზარფილმისა" (პროდუსერი ზაზა რუსაძე) და გერმანელ თანაპროდუსერ იორგ ლანგკაუს ერთობლივი პროექტია, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრისა და აჭარაში კინოწარმოების ხელშეწყობის პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

„როცა დედამიწა მსუბუქია" ეს არის პოეტური დოკუმენტური ფილმი თანამედროვე ახალგაზრდებზე – ამბავი ბიჭების, სკეიტერების, არტისტებისა და მუსიკოსების შესახებ პოსტ საბჭოთა საქართველოში, სადაც ადამიანი საეკლესიო და პოლიტიკურმა ძალაუფლებამ ნებისმიერ წუთში, შესაძლოა, ფეხქვეშ გათელოს.

ფილმის შერჩევა და მსოფლიო

პრემიერა ამსტერდამის დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალის საკონკურსო პროგრამა First Apperance-ში ფილმის საფესტივალო ცხოვრების წარმატებული დასაწყისი იყო. ფესტივალის დროს გაიმართა 5 ჩვენება. ხუთივეს დროს დარბაზები სავსე იყო და იგრძნობოდა, რომ სალომე მაჩაიძის, თამუნა ქარუმიძისა და დავით მესხის ჩანაფიქრი მაყურებელმა სწორად გაიგო.

ფილმი ყურადღებით აკვირდება თინეიჯერების ოცნებებს. მათი შინაგანი მდგომარეობის აღწერა და კინოხერხებით გადმოცემა რეჟისორების მთავარი ამოცანა იყო. ახალგაზრდების ცხოვრების პარალელურად, ნათლად იხატება თანამედროვე საქართველოს სოციალურ-კრიტიკული სურათიც, თუმცა არსებული მდგომარეობის დეტალური პოლიტიკური ანალიზის ნაცვლად, ავტორები გმირების არარსებული თავისუფლებისკენ სწრაფვის შესახებ თხრობას არჩევენ.

სწორედ კინემატოგრაფიული და გამომსახველობითი გადაწყვეტის გამო გამოარჩია ფილმი ჟიურიმ და საკონკურსო პროგრამა First Apperance-ის მთავარი პრიზით დააჯილდოვა. ამ პრიზის დამსახურებით, „როცა დედამიწა მსუბუქია" საფესტივალო და სადისტრიბუციო ქსელების ყურადღების ცენტრში ექცევა, რაც მისი უფრო დიდი აუდიტორიებისთვის გაცნობის წინაპირობა ხდება. ფილმის მსოფლიო გაყიდვებს უკვე აწარმოებს ბრიტანული კომპანია Taskovski Films.

ამსტერდამის მსოფლიო პრემიერის შემდეგ, დეკემბერში „როცა დედამიწა მსუბუქია" თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალზე, ქართული პანორამის პროგრამაში აჩვენეს. სხვა მრავალრიცხოვანი საფესტივალო ჩვენების პარალელურად, 2016 წელს იგეგმება გერმანული საზოგადოებრივი მაუწყებლის 3. Sat-ის ეთერში ფილმის გერმანული სატელევიზიო პრემიერა.

[ზაზა რუსაძე]

საქართველო ტალინის საერთაშორისო კინოფესტივალის ფოკუსში

13-29 ნოემბერს ესტონეთმა ქვეყნის ყველაზე პრესტიჟულ, საერთაშორისო, რიგით მე-19 კინოფესტივალს უმასპინძლა, რომელსაც წელს A კლასის (უმაღლესი) სტატუსი მიენიჭა. ტალინის „ბნელი ღამეები" ერთ-ერთი უდიდესი კინომოვლენაა აღმოსავლეთ ევროპაში და განიხილება მსოფლიოს წამყვან 50 კინოფესტივალს შორის. ამჯერად საქართველო მისი განსაკუთრებული სტუმარი იყო.

13 ნოემბერს გახსნაზე მიწვეული სტუმრებისთვის „შავი" ხალიჩა გაიშალა. კინოფესტივალი კოტე მიქაბერიძის უხმო ფილმით – „ჩემი ბებია"(1929წ.) – დაიწყო. წელს ესტონეთი მუსიკის წელს აღნიშნავს, ამიტომ ფესტივალი მუსიკალურადაც დატვირთული იყო. გახსნის ცერემონიას საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრი აფორმებდა ნიკოლოზ რაჭველის ხელმძღვანელობით, რომელმაც ნორდეას საკონცერტო დარბაზში მყოფი საზოგადოებისგან მხურვალე აპლოდისმენტები დაიმსახურა. განსაკუთრებული ჯილდო Life Time Achievemnt Award გადაეცათ ესტონელ კომპოზიტორებს – ავრო მარტს და ველიო ტორმისს, რომლებიც წლების განმავლობაში ქმნიდნენ კინომუსიკას.

ფესტივალის გახსნას ესწრებოდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე, რომელმაც თქვა: „დღეს თქვენ იხილავთ იმ სარეჟისორო ნამუშევრებს, რომლებიც საბჭოთა რეჟიმის დროს წლების განმავლობაში აკრძალული იყო. უხმო კინოს ერთ-ერთ შედევრს, „ჩემი ბებია", აქვს პატივი გახსნას ტალინის „ბნელი ღამეების" წლევანდელი, მე-19 საერთაშორისო კინოფესტივალი".

მიხეილ გიორგაძემ ასევე ისაუბრა საქართველოსა და ესტონეთის კინოწარმოების სირთულეებსა და კულტურაზე, როგორც ძლიერ იარაღზე: „ჩემში განსაკუთრებულ ემოციებს იწვევს ფაქტი, რომ ქართული ფილმები წარმოდგენილია ესტონეთის პრესტიჟულ ფესტივალზე, რადგან ჩვენს ქვეყნებს ერთმა-

ნეთთან განსაკუთრებული ურთიერთობები და ისტორია აკავშირებთ... ხშირად ვამბობ, რომ კულტურა არის ის ენა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია დიალოგი ცივილიზებულ და განვითარებულ საზოგადოებებს შორის. ინტერკულტურული თანამშრომლობის ერთ-ერთი ბრწყინვალე მაგალითია ქართულ-ესტონური ფილმი „მანდარინები“ და ეს მხოლოდ დასაწყისია“.

გახსნის ცერემონიაზე ასევე სიტყვით გამოვიდა საქართველოს ელჩი ესტონეთში თეა ახვლედიანი.

შემდეგ გაიმართა სპეციალური მიღება, რომელსაც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ უმასპინძლა.

კინოფესტივალის ფარგლებში 21 ქვეყნიდან წარმოდგენილი 18 ფილმის პრემიერა გაიმართა, მათ შორის – 3 საერთაშორისო და 5 ევროპულის. ვანო ბურდულის „გაყინული შადრევნების წელიწადის“ საპრემიერო ჩვენებაც ტალინის საერთაშორისო ფესტივალზე შედგა. კინოსურათი ფესტივალის მთავარ საკონკურსო პროგრამაში იყო ჩართული.

ფესტივალის დირექტორი თინა ლოკი: „ნამდვილად მახარებს ფესტივალზე წარმოდგენილი ქვეყნებისა და ფილმების მრავალფეროვნება, ასევე ის მონაწილე რეჟისორები, რომლებიც კარიერის სხვადასხვა ეტაპზე არიან. შედეგად გვაქვს თხრობის სხვადასხვა მანერის ნაზავი, რაც ერთმანეთისგან განსხვავებული კულტურებიდან მოდის. რეჟისორები კონკურენტები არიან, მაგრამ, ამავე დროს ბევრი საერთო ღირებულება და სათქმელი აქვთ“.

ქართული კინოს რეტროსპექტივა ოთარ იოსელიანის ბოლო ნამუშევრით „ზამთრის სიმღერა“ გაიხსნა. ფოკუსის პროგრამაში 13 ქართული ფილმი აჩვენეს.

ტალინის საერთაშორისო კინოფესტივალთან წლებია, აქტიურად თანამშრომლობენ ეროვნული კინოცენტრი და საქართველოს საელჩო ესტონეთის რესპუბლიკაში.

[ნინო შერვაშიძე]



„თეთრი კვადრატისა“ და „ბიაფის“ შესახებ

„თეთრი კვადრატი“ – ახალი სატელევიზიო ციკლის სახელწოდებაა საავტორო კინოს შესახებ, რომელსაც საზოგადოებრივი მაუწყებელი „აჭარის ტელევიზია“ სთავაზობს მაყურებელს. გადაცემის ავტორი გიორგი გოგიბერიძე, ამავე დროს, ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალის დირექტორია. პროექტის მთავარი მიზანი კარგი კინოს პოპულარიზაციაა.

რა პრინციპითა და რის საფუძველზე არჩევ ფილმებს?

ფილმები,რომლებსაც ვარჩევ, უცნობია ფართო მასებისთვის. შეიძლება,ზოგი მათგანი არ არის შედევრი, მაგრამ უდავოდ საინტერესოა და ხარისხითა და კინოსმახასიათებლებით ბევრად ჯობს სხვა ფილმებსა თუ სერიალებს, რომლებსაც ტელევიზია სთავაზობს აუდიტორიას.

დღეს ფილმის ჩვენება ლიცენზიის გარეშე, წარმოუდგენელია. ამ პრობლემას როგორ აგვარებ?

ფილმებზე უფლებები დღეს პროდუსერების ხელშია, მაგრამ, ვთქვათ, რომან ბალაიანის „გაფრენა სიზმარსა და ცხადში“ და სერგო ფარაჯანოვის „მივიწყებულ წინაპართა აჩრდილები „საბჭოთა პერიოდშია გადაღებული და მათზე უფლება ავტორებს აქვთ. ჩვენების უფლება თავად ბალაიანმა მომცა. რაც შეეხება ფარაჯანოვის ნამუშევარს, ის „დოვჟენკოს სტუდიის“ საკუთრებაა და სტუდიის დირექტორმა ამ ფილმის ორჯერ ჩვენების ნება დამრთო. მომცეს განახლებული ვერსია, ვიზუალურად კარგი ხარისხის. ვფიქრობ, მაყურებლისთვის საინტერესო იქნება.

გადაცემა თვეში ერთხელ გავა ეთერში და ოთხი ბლოკისაგან შედგება.

პირველ ბლოკში წარმოდგენილია სხვადასხვა კინოფესტივალი, მათი სტრუქტურა, შინაარსი და ორგანიზაციული მხარე. მეორე ბლოკი, ზოგადად, კინოს ტექნიკურ სიახლეებს ეთმობა. მომავალში კიდევ

უფრო გაღრმავდება და ვნახავთ, რა ხდება კადრს მიღმა. მესამე ბლოკში ფილმს წარვადგენთ. წარადგენს რეჟისორი. იგი საუბრობს ფილმზე, მსახიობთან, ან გარკვეულ ეპიზოდებზე მუშაობის პროცესზე. თუ რეჟისორი არ არის, იმ შემთხვევაში მოვიწვევთ ვინმეს, შემოქმედებითი ჯგუფიდან. ახლა ვაკეთებთ გადაცემას ფარაჯანოვის შესახებ. მოწვეული გვყავდა ზურა ყიფშიძე, რომელიც ფილმში „ამბავი სურამის ციხისა" მონაწილეობდა. მასთან ერთად გადაცემაში ჩართული იქნებიან – ქშიშტოფ ზანუსი, რომან ბალაიანი. სხვადასხვა ფესტივალზე ყოფნისას ამ ხალხს ვიღებთ და კონკრეტული გადაცემის, კონკრეტული ფილმისთვის ვემზადებით.

შესაძლებელია, ამ გადაცემაში ვიხილოთ შენს ფესტივალზე წარმოდგენილი აღმოსავლური ფილმები?

რა თქმა უნდა. მინდა, ვაჩვენო სიდიქ ბარმაქის ფილმი „უსამა", რომელიც სხვადასხვა არხზე რამდენჯერმე უჩვენეს, მაგრამ, ვფიქრობ, დღესაც ისეთივე აქტუალურია, როგორც წლების წინათ.

არ გირჩევნია „ოპიუმის ომი"? არანაკლებ საინტერესო და აქტუალურია.

„ოპიუმის ომის" გზავნილი მოძველდა. ის, რომ დიდ ქვეყნებს ავღანეთიდან ოპიუმი გააქვთ, სიახლე აღარაა. ყველასთვის ცნობილი ფაქტია, უბრალოდ, ამაზე არავინ საუბრობს.

ფესტივალზე ბევრი საინტერესო პერსონა ჩამოგყავთ. რამდენიმეს შესახებ თქვენი ფესტივალის წყალობით გავიგე. ჩემთვის ახალი იყო მაია კომოროვსკა, მანამდე არაფერი ვიცოდი მასზე. მხოლოდ გული დამწყდა, რომ მისი მასტერკლასი, რომელიც ძალიან საინტერესო იყო, ხალხმრავლობით არ გამოირჩეოდა.

ასეთი დამოკიდებულება სხვა ფესტივალებზეც შეიმჩნევა. ვთქვათ, კანის ფესტივალზე – მონიკა ბელუჩისა და აიშვარია რაის ასმაგად მეტ ყურადღებას აქცევს მედია, ვიდრე შარლოტა გინზბურგს, რომელიც, ჩემი აზრით, დღეს მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო კინომსახიობია.

საზოგადოების ყურადღების ცენტრში ის ექცევა, ვის შესახებაც ხშირად ესაუბრებიან. ტილდა სვინტონსაც ნაკლებად იცნობენ. მასზე შემდეგ ალაპარაკდნენ, რაც ლეონარდო დიკაპრიოსთან ერთად „პლაჟში" ითამაშა. არადა, თანამედროვეობის ერთ-ერთი გამორჩეული მსახიობია.

არ გიცდია მათი ჩამოყვანა?

მსახიობების ჩამოყვანა ადვილი არაა. ან ფილმში იღებენ, ან რეკლამაში. გადატვირთული რეჟიმი აქვთ. და უცებ ეუბნები, – „ჩამოდი ბათუმის ფესტივალზე". წარმოუდგენელია, დაგთანხმდეს. კი, როცა ფილმს წარადგენ მთელ გუნდთან ერთად, შეიძლება მოწვევა, მაგრამ ცალკე ჩამოიყვანო, თან მასტერკლასიც ჩაატაროს, რთულია. ეს ფინანსებსაც უკავშირდება.

მომავალი ფესტივალისთვის ვის უნდა ველოდოთ?

მომავალ ფესტივალზე დიდი გეგმები გვაქვს. მესამე წელია ვუკავშირდებით კლოდ ლელუშს, მინდა ჩამოვიყვანო. მაღალი რანგის რეჟისორია, რომელიც რატომღაც, მიივიწყეს. ოცკაციანი პროგრამა გვაქვს, ვისზეც ვმუშაობთ. წინასწარ თქმას აზრი არ აქვს, იმიტომ, რომ შეიძლება ვერ შედგეს მოლაპარაკება, შეთანხმებას ვერ მივაღწიოთ.

ფესტივალს სამი საკონკურსო პროგრამა აქვს და ეს ნიშნავს, რომ ჟიურის 15 წევრია. მათი შერჩევისას ვცდილობთ, კრიტიკოსები და პროდიუსერები არ აღემატებოდეს მოქმედ კინემატოგრაფისტებს, იმიტომ, რომ პროდიუსერი სხვანაირად ხედავს, კრიტიკოსი მხოლოდ შემოქმედებითი ნაწილს უყურებს, ხშირ შემთხვევაში, არ იცნობს პრობლემებს, რომლებიც კინოწარმოებას უკავშირდება. მოქმედი კინემატოგრაფისტი ამას ყველაფერს ითვალისწინებს და სხვანაირად უდგება საკითხს. რა თქმა უნდა, კინოკრიტიკოსი აფასებს ყველაზე კარგად, მაგრამ, ვფიქრობ, მოქმედი კინემატოგრაფისტების რიცხვი უნდა აღემატებოდეს ჟიურის შემადგენლობაში სხვა დანარჩენს.

ფესტივალი, უკვე ათი წელია, არსებობს. საკმარისი დროა იმისთვის, რომ „ბიაფი" ცნობილი იყოს კინოსფეროში?

ჩვენს ფესტივალს საკმაოდ იცნობენ. ძალიან ბევრ ფესტივალს ვესწრები. ათი წლის განმავლობაში ეს რიცხვი რამდენიმე ასეულია. კინომოყვარულთა და მცოდნეთა ერთი და იგივე, რამდენიმეკაციანი ჯგუფი, თითქმის ყველა ფესტივალზე მხვდება. ისინი ყველგან დადიან. მათ შორის, ბათუმშიც იყვნენ ჩამოსულები და ჟიურის წევრებადაც გვყავდა მოწვეული. ეს ხალხია ინფორმაციის ძირითადი გამავრცელებელი.

გვქონდა რეკლამა სხვადასხვა ფესტივალის კატალოგებში. არის ასეთი პრაქტიკა. კანის ერთ-ერთი ფესტივალის კატალოგში იყო „ბიაფის" გვერდი. მაგრამ ეს ფული ღირს. ჩვენი ფინანსებიდან გამომდინარე, ამის ფუფუნება ყოველთვის არა გვაქვს.

სომხეთის ფესტივალი ძალიან კარგადაა დაფინანსებული. ყველა ფესტივალზე დადის შვიდკაციანი ჯგუფი; ზოგი შეხვედრებზეა, ზოგი ფილმს ნახულობს, ზოგი – არჩევს. ბათუმში ყოველწლიურად ჩამოდის მათი პროგრამერი და აქედან არჩევს ფილმებს. მათი ფესტივალი ივლისში ტარდება და ჩვენ გვასწრებს. მიუხედავად ამისა, ფილმები ჩვენგან მიაქვთ მომავალი წლისთვის.

ჩვენ, თავიდანვე, კონტაქტებს მივაქციეთ ძალიან დიდი ყურადღება. მათი წყალობით, „ბიაფის" პროგრამერია ჩიკაგოს ფესტივალის დირექტორი, ერთ-ერთი გავლენიანი ფიგურა ამერიკასა და ევროპაში, ქრისტოფერ კამიშევი. ერთ დროს „სანდენსის" პროგრამერიც იყო.

ერთს დავსძენ, ბევრი დრო დაგვჭირდა, მაყურებელი კინოთეატრებში რომ დაგვებრუნებინა. დიდ ეკრანზე ფილმების ყურება ჩვენთან არ არის პოპულარული.

ადრე ბათუმში ოცდაათამდე კინოდარბაზი არსებობდა. მახსოვს გრძელი რიგები. დღეს ერთი „აპოლო" გვაქვს და იქაც ნაკლებად დადის მაყურებელი. როგორც ჩანს, კომერციული ფილმები არ მოსწონთ.

რამდენჯერმე მქონდა საუბარი სხვადასხვა თანამდებობის პირთან, საქართველოს კულტურის მინისტრთანაც კი, რომ იქნებ, ბათუმს ჰქონდეს მუნიციპალური კინოთეატრი, სადაც იქნება მინიმუმ 500 ადგილი. ბილეთი ერთი ლარი უნდა ღირდეს, რომ მაყურებელმა იაროს. მხოლოდ ამ გზით იქნება შესაძლებელი კინოს პოპულარიზაცია. უნდა მოეწყოს ქართული, თუ სხვა ქვეყნების ფილმების კვირეულები. ჩვენი თანადგომაც ექნება ამ კინოთეატრს. შესაძლებელი იქნება რეჟისორების ჩამოყვანა კვირეულებზე და, ფაქტობრივად, ყოველ თვეში თითო ფესტივალი გვექნება.

კარგი იდეაა.

იდეები გვაქვს, აი, ფინანსურ ნაწილში ვერ ვქაჩავთ.

[ინგა ხალვაში]

წარმოება დღეს

ძმების ბედისწერა

[ლელა ოჩიაური]

ქართულ (და არამხოლოდ) კინოში (ლიტერატურაში, დრამატურგიაში) საკმაოდ ხშირია ძმების თემა, მათი ურთიერთობა, მთავარი ხაზითა თუ მეორე პლანის, ამ თემის ვარიაციები, მასზე აგებული ისტორიები, სხვადასხვა სათქმელის გამომხატველი და სხვადასხვა პრობლემის მომცველი.

ლევან თუთბერიძის ახალი ფილმიც, „მოირა“ (ბერძნული მითების ბედისწერის 3 ქალღმერთის სახელი ჰქვია პატარა სათევზაო გემს, რომელიც იმედის ობიექტად და გათამაშებული ტრაგედიის სამოქმედო ასპარეზად არაერთხელ იქცევა) შეიძლება პირდაპირ ითქვას, ორი ძმის ისტორიაა და მათი ოჯახის ხანმოკლე, ოღონდ მოცულობითი, რამდენიმეეტაპიანი ამბავი; სამყაროში, რომელშიც მათი ადგილი არაა. და თუ არის, იმდენად მყიფე და არამყარი, ერთი ხელის მოსმით იშლება, როგორც ზღვის ტალღებით წაშლილი ნაპირი ან ნაფეხურები ამ ნაპირზე.

ციხის კარი იღება და ახალგაზრდა კაცი (პაატა ინაური) თავისუფალ სამყაროში გამოდის. ალაყაფთან ძმა (გიორგი ხურცილავა) ელოდება, სახლში – უნარშეზღუდული მამა სავარძელს მიჯაჭვული ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი (ზაზა მგალობლიშვილი). ძმებს დედაც (ქეთი ცხაკაია) ჰყავთ. ის საბერძნეთშია, სიმღერით ირჩენს თავს და ოჯახს არჩენს. უკვე თავისი ცხოვრება აქვს. ოჯახისგან და ძველისგან განსხვავებული.

ძმების ცხოვრება ზღვის უსაზღვრო სივრცეში მაინც ჩაკეტილი, გამოუვალი და უმომავლოა, პატარ-პატარა სიხარულებით გაჯერებული; ისეთივე, როგორიც ბევრის ცხოვრებაა დღეს. სადაც უნდა იყვნენ ისინი, ზღვის-

პირა საპორტო ქალაქსა თუ საქართველოს რომელიმე მიყრუებულ, ცხრა მთას იქით მდებარე სოფელში („ცხრა მთას იქით“ ლევან თუთბერიძის წინამორბედი ფილმია). შეიძლება, სხვაგანაც.

სცენარის ავტორები არიან დათა ფირცხალავა, გიორგი ქობალია და ლევან თუთბერიძე. კომპოზიტორი – ნუკრი აბაშიძე, ოპერატორი – გორკა გომეს ანდრეუ, პროდუსერები – ნიკოლოზ აბრამაშვილი და ლევან თუთბერიძე. კომპანია „სინეტეკი“. მონაწილეობენ: ჯანო იზორია, ანი ბებია, დავით ხურცილავა, ლილი ხურითი, ირაკლი სანაია, ბაჩი ლეჟავა, ლაშა გურგენიძე, რამინ კილასონია, გიორგი სურმავა.

ლევან თუთბერიძე სამოქმედო სივრცედ ირჩევს ზღვისპირა პატარა ქალაქს, რომლის ქუჩები, სანაპირო ზოლი, თავად ზღვა და შემოგარენი, ზუსტად ზღვის პირას, შეიძლება 2-3 მეტრით წყლიდან დაშორებული სახლი (მოუვლელი, სიღატაკისა და უპატრონობის ნიშნების მატარებელი) – ერთიანობაში და ცალ-ცალკე მეტაფორად იქცევა. არა მხოლოდ სოციალური სიდუხჭირის (ფილმს ავტორები განსაზღვრავენ, როგორც სოციალურ დრამას), არამედ ცხოვრების – ადამიანების, საზოგადოების სულიერი მდგომარეობის გამომხატველად. მათ შიგნითა და გარემოსთან ურთიერთობაში არსებული კრიზისების სიმბოლოდ, როდესაც ყველაფერი ჰარმონიის დარღვევას მოასწავებს და რომლის შექმნაში ყველა, პირველ რიგში, სახელმწიფო და მასში არსებული ვითარება მონაწილეობს.

ოპერატორი გორკა გომეს ანდრეუ ფილმის ატმოსფეროს განზომილების, სივრცობრიობის თავისთავად სახეს ქმნის და განსაზღვრავს. მოლივლივე პირობითობა და რეალობის ზღვარზე თამაში. მშვიდი, აუღელვებელი ტემპო-რიტმი. თითქოს უმოქმედო სცენები. ჩვეულებრივი ყოველდღიურობა; თითქოს ფრაგმენტები რეალობიდან. თანამედროვე ცივილიზაციის ელემენტები და გაყინული, გაჩერებული დრო. უძრაობა და მისი დაძლევის ამაო მცდელობა. ბედისწერასთან დაპირისპირება, პატარა გამონათებები და გადარჩენისთვის ბრძოლის უშედეგობა.

ფილმში განსაკუთრებული თითქოს არაფერი ხდება. რეჟისორი მინიმალისტურ ხერხებს იყენებს ამბის მსვლელობის საჩვენებლად. არავითარი ეფექტი. არავითარი უტრირება. რაიმეს ხაზგასმული აქცენტირება. მხოლოდ მსუბუქი მონასმები და შტრიხები. ცხოვრება ერთფეროვანი ყოველდღიურობითაა სავსე, თუმცა ნეგატივი ჭარბობს, რაც ბუნებრივი მოცემულობიდან გამომდინარეა. სრულიად ჩვეულებრივ ყოფით და ცხოვრებისეულ მოვლენებს დრამატული ელფერი ერევა.

შემდეგ დროს ერთფეროვან და მშვიდ დინებას კრიმინალური ფაქტების ჯაჭვი არღვევს. ძმების გზები კრიმინალებთან გადაიკვეთება. დანაშაულის შემთხვევები მატულობს და უფრო და უფრო მძიმე ხდება. იძაბება ვითარება და ფილმის ატმოსფერო იმუხტება; იმუხტება სინათლითა და იმედით გაჯერებული ფაქტებითაც. ქალაქიც, ბაზრის მოვაჭრეები, პორტის მუშები, შემთხვევითი გამვლელები, ნაცნობები და უცნობები და მოვლენათა ერთიანობა და მონაცვლეობა მკაფიოდ და აშკარად ქმნიან დღე-



ვანდელობის, საზოგადოების ცხოვრების საკმაოდ ჭრელ და, ამავე დროს, ტიპურ, მძაფრ და სახასიათო სურათს.

სამსახურისა თუ არსებობის სხვა წყაროების ძებნაში, დედის დაბრუნების მოლოდინში, უმცროსი ძმის დაქორწინების მცდელობაში თითქოს მშვიდად და უსახურად, უშფოთველად გადის დრო. მას თითქოს არც დასაწყისი აქვს და არც ბოლო. ამ დაძაბულ სიმშვიდეს მხოლოდ პერიოდულად არღვევს შეკავებული დარდისა თუ აგრესიისგან (მიზეზითა თუ უმიზეზოდ) გამოხეთქილი კონფლიქტები. თუმცა შინაგანი დაძაბულობა ფილმს პირველი ეპიზოდებიდანვე დაჰყვება და ბოლომდე გასდევს.

„მოირას“, რომელიც ფილმში თავისუფლების მეტაფორაა, თავისუფლება არ მოაქვს. ის ძმებს სხვაგვარ ხვედრს უმზადებს და თავისკენ იზიდავს. ბედისწერასთან შესახვედრად. ყველაფერი უშედეგო აღმოჩნდება. ტრაგიკული დასასრული თავის რიგს ელოდება.

საქართველომ „მოირა“ 2016 წლის – 88-ე „ოსკარზე“, საუკეთესო უცხოენოვანი ფილმის კატეგორიაში წარადგინა. მანამდე კი ლოს-ანჟელესში აზიის ქვეყნების ფესტივალზე საუკეთესო ფილმის პრიზი მიიღო და ვარშავისა და სან-სებასტიანის ფესტივალებში მონაწილეობდა. თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი „მოირა“-თი გაიხსნა და, როგორც ამბობენ, მას მონაწილეობას კიდევ რამდენიმე ფესტივალზე სთავაზობენ.

ფილმი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ რეგიონული პროგრამის განვითარების ფარგლებში დააფინანსა, პრომოუშენს კი საქართველოს ეროვნული კინოცენტრი უწევს.

ვახო, ტატიანა და ლილი

[გიორგი რაზმაძე]

„სოციალური კინო აერთიანებს სოციალურ ანალიზსა და დრამატურგიულ კონფლიქტს თანმიმდევრულ ნარატიულ სტრუქტურასთან ერთად“. ეს აზრი პიტერ რუფმანსა და ჯიმ პორდის ეკუთვნით, ამერიკული სოციალური კინოს მკვლევარებს. ბევრს არ მოსწონს კინემატოგრაფზე დანაწევრებული მსჯელობა. ვთქვათ, იქნება ეს „ფემინისტური კინო“ თუ New Queer Cinema. გემოვნების მიუხედავად, სანამ კინოში არსებობს ცალკეული მიმართულებები, მანამდე მათზე წაყრუება არ გამოგვივა.

ზოგიერთი ქართველი რეჟისორი იმასაც ამბობს, რომ მისთვის ვინმე „გლდანელის“ ისტორია არ არის უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე მისთვის ნაცნობი გარემოს, უბნის ადამიანის. თუმცა დღეს სოციალური თემა საკმაოდ აქტუალური გახდა. რეჟისორებმა დატოვეს თბილისის ცენტრალური უბნები და ქვეყნის პერიფერიებში გაეშურნენ, მაგრამ თან გაიყოლეს სიყალბე და „თბილისური“ აქცენტი.

ვახო ჯაჯანიძე სოციალურ კინოს ჯერ კიდევ მაშინ იღებდა, სანამ ეს თემა ბოლო წლების ფილმებში შემოიჭრებოდა და გაუფერულდებოდა.

„გამოსვლა“ საქართველოს ეროვნული კინოცენტრისა და „თი-ბი-სი“ ბანკის ერთობლივი პროექტის ფარგლებში შექმნილი მოკლემეტრაჟიანი ფილმია.

ამბავი ჭიათურაში მცხოვრები ორი ქალის ირგვლივ ვითარდება. სანამ ერთი მაღაროს საბაგიროს გამცილებლად მუშაობს, მეორე დიასახლისობს. საღამოს ისინი ერთად ვახშმობენ. მომდევნო დღესაც იგივე ხდება, მომდევნოს მომდევნო დღესაც – იგივე.

მკითხველს, რომელსაც კინოსურათი ნანახი არ აქვს, შეიძლება სენტიმენტალური ფილმის ასოციაცია გაუჩნდეს. „გამოსვლა“ მართლაც შეგვიძლია ასეთი დეტალების ნახვა, თუმცა მთავარი გმირის სახე, მისი ახლო ხედი, სენტიმენტებისგან და ემოციებისგან აბსოლუტურად დაცლილია. ის სიყალბისგან ხელუხლებელი, რეალური ადამიანის სახეა, რომლის ყურებაც წარმოუდგენლად საინტერესოა.

ტატიანასაც უყვარს თვალთვალი. საბაგიროდან ანუ ციდან დას, მეზობლებს, ქუჩას, ქალაქს ჭოგრიტით აკვირდება (ვთქვათ ასე – კამერით შეიარაღებული).

ვახო ჯაჯანიძე მინიმალურად იყენებს სიტყვას, რადგან ესმის კინემატოგრაფში ვიზუალური თხრობის უპირატესობა. როდესაც კინოთვალს თავისუფლებას აძლევ, რეალობა და სოციალური გარემო ფილმში თავისით აისახება.

ამიტომ, წყლის დარიგების სცენაში რეჟისორი ყველაზე მეტად ემსგავსება კოლეგებს, რომლებიც ზედაპირულად (ბევრი მეცადინეობის გარეშე) ცდილობენ ცხოვრების დადგმას. ამავე დროს, ფილმის ფერი, ატმოსფერო და მთავარი გმირი თითქმის დოკუმენტურია, ანუ ცოცხალი.

ვახო ჯაჯანიძისთვის „გამოსვლა“ პირველი მხატვრული ფილმია, თუმცა დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, საქართველოში სოციალურ კინოს ჰყავს რეჟისორი, რომელიც კარგად იცნობს კინემატოგრაფის სტრუქტურას და რომელსაც პროფესიული განვითარებისთვის დიდი პოტენციალი აქვს.



„მძევლების“ ისტორია გრძელდება

რეზო გიგინეიშვილი („სიცხე“, „სიყვარული აქცენტით“, „სიყვარული აქცენტითა და უაქცენტოდ“ და სხვა) იღებს ფილმს, რომელიც მის შემოქმედებით ბიოგრაფიაში ძალიან განსხვავებული და მნიშვნელოვანი წამოწყებაა.

კინოსურათი სახელწოდებით „მძევლები“ ეფუძნება რეალურ ამბავს, საქართველოს უახლესი ისტორიიდან – ახალგაზრდების მცდელობას გაეტაცათ თვითმფრინავი და თავი დაეღწიათ საბჭოთა კავშირიდან 1983 წელს.

ეს მტკივნეული და ტრაგიკული ამბავი რეჟისორმა სცენარისტ და მწერალ ლაშა ბუღაძესთან ერთად რამდენიმეწლიანი კვლევის შედეგად დაწერა. სიუჟეტი ვითარდება 80-იან და 90-იან წლებში, მაშინ, როდესაც თვითმფრინავის გატაცება მოხდა და შემდგომ პერიოდში, როდესაც ოჯახები ეძებდნენ დაკარგულ შვილების ან მათ დაკარგულ საფლავებს.

ფილმს აწარმოებს რუსული კომპანია **Ink Film**, ქართულ კომპანია **20 Steps productions**-თან ერთად. „მძევლები“ საქართველოს კინემატოგრაფის ეროვნული ცენტრის 2015 წლის კო პროდუქციის კონკურსის გამარჯვებულია.

შემოქმედებითი ჯგუფის დიდ ნაწილი ქართველები არიან, რუს კინემატოგრაფისტებთან ერთად. დამდგმელი ოპერატორია ვლადისლავ ოპელიანცი, მხატვარი – კოტე ჯაფარიძე, კოსტუმების მხატვარი – თინათინ კვინიკაძე, კასტინგი – ლელი მიმინოშვილი. ფილმში ძალიან ბევრი მსახიობი მონაწილეობს. მთავარ როლებში – დარეჯან ხარშილაძე, ავთო მახარაძე, მერაბ ნინიძე, თინა დალაქიშვილი, ირაკლი კვირიკაძე და კოტე გუნია.

2015 წლის ბოლომდე ფილმის რამდენიმედღიანი გადაღება მიმდინარეობდა. შემდეგი ნაწილი 2016 წლის დასაწყისშია დაგეგმილი საქართველოში – თბილისში, წყალტუბოსა და ქობულეთში და მომდევნო ეტაპი – რუსეთში.

გვინდა, წარმატებები ვუსურვოთ რეჟისორ რეზო გიგინეიშვილსა და ფილმზე მომუშავე ყველა ადამიანს.

[ქეთი დანელია]



ფოტო: დიანა ოგანოვა



ფოტო: დიანა ოგანოვა

ფოტო: დიანა ოგანოვა

"ანას" გადასაღები მოედნიდან

[გიორგი რაზმაძე]

როგორ გადავიღოთ პირველი დამოუკიდებელი ფილმი? – ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც მსოფლიოში ასობით დამწყებ რეჟისორს აწუხებს.

მარგო ზუბაშვილი საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმების კონკურსის ლაურეატია, მისი პროექტი 42 განაცხადს შორის გამოარჩიეს.

რთულია, ზუსტად განსაზღვრო, რა კრიტერიუმებით ხელმძღვანელობს ესა თუ ის კომისია. კითხვას ზოგადად რომ ვუპასუხოთ, ნებისმიერი შემფასებლისთვისა და გადაწყვეტილების მიმღებისთვის ყოველთვის მნიშვნელოვანია ინდივიდუალობა, პროფესიონალიზმი და აურა.

მარგო ზუბაშვილის წინა ორ ფილმში ზემოთქმულიდან ყველა კომპონენტის პოვნა შეიძლება („ოლიმპია" და „დინოზავრი"). კინოს აურა იგრძნობოდა „ანას" გადასაღებ მოედანზეც.

რუსთაველის თეატრში ფილმის გამხსნელი სცენა უნდა გათამაშდეს ნანი ბრეგვაძისა და ნიკოლოზ რაჭველის სიმფონიური ორკესტრის კონცერტის ფონზე. სტატისტებმა, რომლებიც ფეისბუქის მეშვეობით შეგროვდნენ, ეს იციან, მაგრამ არც რეჟისორი და არც პროდუსერი ამხელენ სიუჟეტის დეტალებს. დუბლიდან დუბლამდე 100-ზე მეტი ადამიანი მარგოს პერსონალური სიყვარულისა და მისი აურის გამო, მორჩილად ასრულებს დარბაზის დაცლისა თუ აპლოდისმენტების სცენებს.

ფილმში მთავარ როლს ნინო კასრაძე ასრულებს. მარგო ზუბაშვილი და ნინო კასრაძე ერთად უკვე მესამე პროექტზე მუშაობენ. ფილმის მოქმედება თბილისში ვითარდება, და მოგვითხრობს ანას ცხოვრების ორ საბედისწერო დღეზე, რომლებიც მის განვლილ და მომავალ ცხოვრებას რადიკალურად ცვლიან.

ნინო კასრაძის გარდა, მონაწილეობენ – ანა ნიჟარაძე, ნინო ანჯაფარიძე, ასევე არაპროფესიონალი მსახიობები, რომლებიც პირველად გამოჩნდებიან ეკრანზე – კოკი ჟორდანია, თინათინ კიკვიძე, სოფო გაგუა და სხვ.

„ანა" ასევე მესამე ერთობლივი ნამუშევარი იქნება ფილმის პროდუსერ თამარ თვარაძისთვისაც. უცვლელია შემოქმედებითი ჯგუფიც – დიმიტრი დეკანოსიძე (ოპერატორი), ნატო ბაგრატიონი (მხატვარი), ნუცა წიქარიძე და ირინე ჟორდანია (სცენარი), სალომე სხირტლაძე (კოსტუმები) და სალომე ზაქარაია (გრიმი).

ფილმის გადაღებები 7 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. „ანაზე" მუშაობა 2016 წელს დასრულდება, რის შემდეგაც დაიწყება მისი საფესტივალო ცხოვრება.

ფოტო: დიანა ლევანოვა, მარიამ ჯანაშია, ვახო ქარელი

„სიკვდილის როკვა“ ახალ ქართულ კინოში

სიკვდილის როკვა შუა საუკუნეების კულტურის ერთ-ერთი იკონოგრაფიული სახეა, რომელიც ცხოვრების ამაოებას გამოხატავს. პერსონიფიცირებული სიკვდილის მსხვერპლი – საზოგადოების ყველა ფენისა და ასაკის ადამიანები არიან. მის გარდუვალობასა და დაუნდობლობას აცნობიერებენ და ან ეგუებიან და ან აშფოთებთ. შემდეგ ასწლეულების განმავლობაში, სახვითი ხელოვნება, ლიტერატურა, მუსიკა, თეატრი, კინო სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვაგვარად – თემის განსხვავებული ვარიაციებით, ფორმებით, სტილით, კანონიკურ და ინტერპრეტირებულ სიუჟეტში მოქცევით იმეორებდნენ ამ, ჩვენი არსებობისგან განუყოფელ და თანაც მისტიფიცირებულ რეალობას. თუმცა, ერთი და იგივე საფუძვლითა და ქვეტექსტით. არა მხოლოდ, როგორც ცალკეული შემთხვევების, არამედ მასობრივი, საყოველთაო მოვლენის გათვალისწინებითა და მასზე ჩაფიქრებით.

კინოს პირველი თანაინვესტირება – სახელმწიფო + კერძო სექტორი. 2014 წელს საქართველოს კინემატოგრაფის ეროვნული ცენტრი და „თიბისი“ ბანკი გაერთიანდნენ და ახალგაზრდა რეჟისორებს 2015 წლისთვის, მოკლემეტრაჟიანი მხატვრული და დოკუმენტური კინოსურათების გადაღების არსებულზე უკეთესი მდგომარეობა და პირობები შეუქმნეს.

6 ფილმი. ახალი ქართული კინოს ახალი სახე. ახალი და უკვე ნაცნობი სახელები. ახალი ფილმებითა და პირველი განსხვავებული აღმოჩენები. და ერთი მიმართულება. შეიძლება თუ არა, დღევანდელი ახალგაზრული კინემატოგრაფის მახასიათებლად, მათ უმთავრეს სათქმელად და რეალობის ამგვარი აღქმის გამომხატველად ჩავთვალოთ?

ტატო კოტეტიშვილის „ოგასავარა“ (Ogasavara), დათა ფარცხალავას „მამა“ (Father), თამარ შავგულიძის „პირველი დღე“ (The First Day), თორნიკე ბზიავას „მექელეხე“ (Wake Man), ვახტანგ ჯაჯანიძის „გამოსვლა“ (Exodus) და გიორგი წილოსანის „მზადება“ (Preparation) – აჩვენებენ, თამამად და თავისებურად იმას, რაც აწუხებთ ახალგაზრდებს, საზოგადოებაში (მის სულიერ თუ ფიზიკურ რეალობაში) და საკუთრ თავში, საკუთარ ფიქრებში ჩაღრმავე-



ბის პროცესში. რა ხდება გარშემო, გარემოში, სამყაროში. რა ხდება იქ, სადაც ბევრი ტკივილია დაგროვილი, სადაც ბევრი დანაკარგი, იმედგაცრუება, ბევრი სევდაა და თითქმის არ ან საერთოდ არ არის იმედი და სიხარული.

არ ვიცი, „გამიზნულად“ მოხდა თუ უნებლიეთ; არ ვიცი, ეროვნული კინოცენტრის კომისიამ „განზრახ“ გაამახვილა თუ არა ყურადღება ერთ თემატიკაზე, როდესაც საკონკურსოდ წარდგენილი პროექტებიდან ეს 6 გამარჯვებული აარჩია; არ ვიცი, „შეთანხმდენენ“ თუ არა რეჟისორები, ერთიან მოცემულობაზე კონკურსში ჩაბმის წინ, თუ ასეთ მიდგომაზე იყო „მოთხოვნა“კინოცენტრისა თუ „თიბისი“ ბანკის მხრიდან?!

რა თქმა უნდა, ზემოთ ჩამოთვლილი ყველა მსგავსი პირობის ძიება აბსურდულია და არაფერი კავშირი აქვს სინამდვილესთან, მაგრამ ექვსივე ფილმს, ავტორების განსხვავებული ხელწერის, სტილის, აზროვნების, თაობათა შორის მცირედი, მაგრამ მაინც განსხვავების, მხატვრული ხედვის სხვადასხვაობის მიუხედავდ, ერთი რამ, ერთი მთავარი თემა აერთიანებთ – მარტოსულობა და სიკვდილი. ზოგჯერ ეს ერთი და იგივეა.

რატომ გაჩნდა მათ (ახალგაზრდების) ფილმებში (და შესაბამისად, მათში) ასე მასობრივად მიუსაფრობაზე, მარტოობასა და სიკვდილზე ფიქრი? მასზე საუბრის სურვილი? მშრალად, ემოციურად, ცივად, მტკივნეულად, იუმორით, მსუბუქად და ლაღადაც კი, ოღონდ, მაინც გარდაცვალებაზე? სიკვდილზე, რომლის არსებობაც ცხოვრების წარმავალობის მუდმივი შეხსენებაა? რამ განაპირობა ცხოვრების ამაოების, უკვე მომხდარი და მოსალოდნელი განშორების ან სიცოცხლეშივე მყარ ნიადაგს მოწყვეტის, ყოველდღიური მოსაწყენი და გამანადგურებელი ერთფეროვნების, ცხოვრების მდორე (უსიცოცხლო) დინების ასეთი მწვავე შეგრძნება? და ამ სიკვდილზე სხვადასხვა ასაკში სხვადასხვაგვარი რეაგირება გარშემომყოფთა მხრიდან, ოჯახის წევრების, უცხოების, ნაცნობების, უცნობებისა და სასიკვდილოდ განწირულთა დამოკიდებულება საკუთარი აღარყოფნისა და მათ მიმართ, ვინც კვდება ან უკვე გარდაიცვალა?

ფილმები, ასე განსხვავებული და თავისთვადი, ნათლად ასახავენ ახალგაზრდა თაობის დამოკიდებულებას საკუთარი თავისა და საზოგადოებისადმი. ყოველ მათგანს საფუძვლად სოციალური პრობლემების და შესაბამისად, მოუწყობელი, მძიმე და გამოუვალი ყოფის აღწერა უდევს. უმეტეს შემთხვევაში, მძიმე სოციალური ფონი განსაზღვრავს ამ ადამიანების ცხოვრების წესს, სულიერ და ფიზიკურ მდგომარეობაზე აისახება. სიკვდილზეც. სიკვდილზე, რომელსაც სხვადასახვა სახე აქვს.

როგორ ხედავენ შვილები მამებს, როგორ ჩუმად განიცდიან მათ დანაკლისს და როგორები არიან ისინი (მამები) სინამდვილესა თუ შვილების წარმოსახავში.რა გზებს ირჩევენ და გადაირჩევენ უმამოდ დარჩენილი ბიჭები, რას უფიქრდებიან. მშობლებთან გაწყვეტილი კავშირები და უგზო ხეტიალი ღამის ქუჩებში, საბედისწერო შეჯახებები და ახლოს ჩავლილი სიკვდილის ფიზიკური შეგრძნება, პიროვნების ორად და მეტადაც გახლეჩვა. („მამა“).

როგორ კარგავენ ბავშვები მშობლებს და როგორ იკარგება მათთან ერთად ადგილის, მიჯაჭვულობის შეგრძნება. როგორ ქრება მისამართები. როგორ შემოდის ცხოვრებაში სიკვდილი, რომელსაც ამ ჯერზე ყველაზე სასტიკი სახე აქვს. ყველაზე მტკივნეულია და სიცივის შეგრძნებას ბადებს. რას გრძნობენ ბავშვები, დედის გარდაცვალების შემდეგ, რომლებიც საკუთარ სამყაროს ქმნიან და მასში იკეტებიან. სიკვდილის პირველივე დღეს. („პირველი დღე“).

ერთი და იგივეს გამეორების დაჟინებული პროცესი როგორ აკარგვინებს ქალებს ცხოვრების ცოცხალ შეგრძნებას. როგორი ერთფეროვანი ხდება გარშემო ყველაფერი, მოსაწყენი, წვიმიანი, ნისლში გახვეული. გაჩერებული დრო და მიუსაფრობის ტკივილის ფიზიკურად შეგრძნება.ერთი და იგივე. ერთი და იგივე და არაფერი ნათელი ამ ერთფეროვნებაში, ჩაკეტილ სივრცესა და გარემოში. სხვებიც რომ იშვიათად ხვდებიან. ორის სიმარტოვე თითქოს გაუკაცრიელებულ სამყაროში („გამოსვლა“).

როგორ ცვლის რეალობასა და დოკუმენტს წარმოსახვა და აღქმა. რას განიცდიან შეყვარებულები და რამდენი რამაა მათ ცხოვრებში მოსახდენი – შეყვარებიდან, გადაწყვეტილების მიღებიდან დაქორწინებამდე. შეიძლება

სიკვდილამდეც. შეიძლება მის შემდეგაც. სხვა სივრცეში, სხვა სიბრტყეზე, რომლის კონტურებიც სინამდვილეში არ არსებობს. ან უჩარჩოო, უწონადო უსასრულო სიყვარულამდე. სახეცვლილი სამყარო, რომელსაც სიკვდილის სურნელი თავიდანვე დაჰკრავს(„ოგასავარა").

როგორ ცხოვრობენ მარტოსული და მარტო დარჩენილი ადამიანები. როგორ და რაში გადის მათი ცხოვრება – ქელეხიდან ქელეხამდე – სიკვდილიდან სიკვდილამდე. იმის განცდა, რომ აღარავის სჭირდები. ყველამ მიგატოვა. ყველ სადღაც წავიდა. შენ კი მაინც არ კარგავ სიცოცხლის უნარსა და ღირსებას, იქაც და მაშინაც კი, როდესაც არავინ გყავს და ცხოვრება დასასრულს უახლოვდება.როდესაც სხვებს – მარტოსულებს და მიტოვებულებს, პატრონად უდგები და არსებობას უფერადებ. („მექელეხე").

როგორ კვდებიან მოხუცი ქალები ან როგორ ელოდებიან მათ სიკვდილს ჩუმად, უხმოდ, შიშითა და გულისტკივილით, ახლობლები. როგორია ამ ადამიანების ცხოვრების დეტალები და მდუმარებით მოსილი ფრაგმენტები. როგორია სულ სხვა რაკურსიდან დანახული ცხოვრება და განშორება(- „მზადება").

უფიქრია ამაზე სხვას ვინმეს? ალბათ უფიქრია. ალბათ ვიღაც თავადაც ასეთია. ავტორიც. პერსონაჟიც. მაყურებელიც. ასეთი სხვადასხვანაირი, რადგან საზოგადოებაა ასეთი, ასეთი ან ასეთი. ამაზეა აწყობილ ისტორიები, მაგრამ მთავარია, თუ რა დევს და რისი ამოკითხვაა საჭირო იმის მიღმა, რაც „ჩანს" და ის, თუ რა სიტყვებია. როგორ გამოიხატება ამ „სიტყვებითა თუ უსიტყვობით" ადამიანი, მისი ფიქრები, განცდები. როგორ გამოიხატება დრო. როგორ ჩნდება ავტორი. როგორ ჩნდება თაობა.

თითოეული ფილმი არა მომავლისკენ, არამედ აწმყოს – საზოგადოებისთვის და არა, ვთქვათ, ახალგაზრდების უფროსებისკენ გაშვებული გზავნილებია. მათ შესახებ, ვინც ახლა ჩვენს გვერდითაა, ვისაც „შია, სცივა და სწყურია", ვინც მარტოა და მარტოობაში ელოდება სიკვდილს. ვისაც თანადგომა და ყურადღება სჭირდება.

[ლელა ოჩიაური]

ხილული და დაფარული

[ემილი სელესტე ნეჲ]

სექტემბერში, პარიზში **Cinema Etoile Lilas**-ში გაიმართა კინოკომპანია **AMA Production**-ის ბოლო წლის ნამუშევრების ჩვენება. მათ შორის განსაკუთრებით აღინიშნა და საუკეთესოდ აღიარეს თორნიკე ბზიავას ფილმი „მექელეხე“.

ახალ, მოკლემეტრაჟიან ნამუშევარში რეჟისორი თავისი წინამორბედი ფილმების ორ გმირს ახვედრებს. ცეკვის მასწავლებელს (რეზოს) „აპრილის სუსხიდან“ და თორნიკეს, ასევე მოკლემეტრაჟიანი „ბუდედან“. თორნიკე, თავის მხრივ, ის პატარა ბიჭია, რომელსაც „აპრილის სუსხში“ რეზო მასწავლებელი, „მექელეხეს“ მთავარი გმირი, ცეკვას ასწავლის. (ორივე ფილმი მრავალი საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატია).

პირველივე წუთებიდან რეჟისორი ამბის გადმოცემის დახვეწილ და ამავე დროს, ცნობიერ და კონკრეტულ ხერხს იყენებს. თხრობის სიმსუბუქესა და გამჭვირვალობას ყველაფერი იქამდე მიჰყავს, რომ იქმნება დამაჯერებელი დოკუმენტური სახე, რომელიც მხატვრულ სახეებს ორგანულად ერწყმის.

ფილმი იწყება სტატიკური და ამავე დროს, საოცრად პლასტიკური სცენით, რომელშიც ორ რიგად მსხდომი ხანშიშესული ადამიანები ტელევიზორის ეკრანს აკვირდებიან. თვითონ ტელევიზორი არ ჩანს. ისმის მხოლოდ საბჭოთა კავშირის პერიოდის რომელიღაც ყოფილი თანამდებობის პირის

ინტერვიუს ხმა, რომელსაც ახლაც მაღალ სახელმწიფო პოსტი უკავია.

ძირითადი მოქმედების ასეთი ვიზუალური და ხმოვანი 5-წამიანი წყვეტა მთელი ფილმის ტონალობას განსაზღვრავს. ტელევიზორის წინ, ტყის პეიზაჟის გამოსახულებიანი შპალერის ფონზე სხედან უბრალო ტანსაცმელში გამოწყობილი, ხანდაზმული ადამიანები. პარტიული მუშაკის ყალბი და ამბიციური, შაბლონური საჯარო გამოსვლის პირისპირ, რომელიც თავის დაშტამპულ, ტრაფარეტულ სიტყვას შემდეგი ფრაზით ამყარებს: „ჩემთვის ძალაუფლება მხოლოდ იარაღია კეთილი საქმეებისთვის ადამიანების კეთილდღეობისა და სამშობლოს სასარგებლოდ“.

ერთი მხრივ, ეს სცენა თავის შესავალ ფუნქციას ასრულებს: წარმოგვიდგენს მთავარ გმირს და მის სამყაროში შევყავართ. მეორე მხრივ, ეს ეკრანული არასრული წუთი წარმოადგენს საავტორო კომენტარს პოსტსაბჭოთა, გარკვეული საზოგადოებრივი კლასის ამჟამინდელ სიტუაციაზე. როგორი დახვეწილი ხერხია ფილმის დაწყებისა და გმირის სამყაროში მაყურებლის შესაყვანად!..

შემდეგ ჩვენ, როგორც მაყურებელი, ბატონი რეზოს (რომლის პატივსაცემადაც ეწოდება ფილმს „მექელეხე“) ცხოვრების ერთი დღის თანამონაწილეებად, უფრო ზუსტად, დამკვირვებლებად ვიქცევით.

რეზოს ჩვენ მიუსაფართა და უქონელთა თავშესაფარსა და სასადილოში ვეცნობით. აქ, უმეტესად, ხანშიშესულები არიან. რეზო სადილს ელოდება, რომელიც არ მიაქვთ. საკვები, უცნობი მიზეზებით, იგვიანებს. ვხედავთ, როგორ მონიშავს რაღაცას გაზეთში. მოგვიანებით ვიგებთ, რომ ეს სამგლოვიარო განცხადებებია. ვხედავთ, როგორ ეხმარება უცნობებს დაკრძალვისა და ქელეხის ორგანიზებაში. ინკოგნიტო. მარტო. არავის ელაპარაკება. დამსწრე და იქ არმყოფი. ხილული და უხილავი.

კამერა მოქმედებას აკვირდება. ჭარბობს გრძელი კადრები, ხშირად – გაფართოებული, ბევრი სტატისტის მონაწილეობით. ვაკვირდებით რეზოს, დაკრძალვისა და ხანგრძლივ, არანაკლებ არტისტულად დადგმული ქელეხის დროს. აქ ბევრია სადღეგრძელო მიცვალებულის პატივსაცემად და საუბრები მაგიდასთან, რომლებსაც ავტორი იუმორის ძალიან ფაქიზი გრძნობით გადმოსცემს.

ყოველი წარმოთქმული სადღეგრძელო წარმოადგენს გარდაცვლილს, როგორც ძალიან დიდ, შესანიშნავ, ფანტასტიკურ ადამიანს, მაგრამ არავინ აცხადებს, რაში გამოიხატებოდა მისი არაჩვეულებრივობა... თვით მღვდლის სადღეგრძელოც კი შორსაა სასულიერო პირის სიტყვებისგან, რაც მეტად ირონიულია საზოგადოების ასეთი სურათის ჩვენებისას. ხოლო რეზოს ირგვლივ მაგიდასთან ისმის საუბარი კერძებზე, რომლებიც საქელეხე სუფრას ამშვენებენ, მათ შორის, შეუდარებლად სასაცილო ლაპარაკი ... თევზეულობაზე. არაფერია ინდივიდუალური არც ქელეხის მონაწილეებში, არც გარდაცვლილში, მუდმივად განმეორებული ფრაზების – „ის იყო არაჩვეულებრივი ადამიანი“ და ა.შ. – გარდა.

ქელეხის დროს ყურადღებას ვაქცევთ გოგონას, რომელიც რეზოს პიროვნებით ინტერესდება. ამის წყალობით, ვიღებთ ჩვენი ეჭვების დადასტურებას. რეზო ადამიანია, რომელიც ქელეხის სუფრაზე ჭამის უფლების მოსაპოვებლად, დაკრძალვის ცერემონიის პროცესში მონაწილეობს. მოგვიანებით ვხედავთ, როგორ იმზადებს ბუტერბროდს და ჯიბეში „შემდეგისთვის“ ინახავს. გოგონა, რომელიც ხვდება, რომ რეზო დაუპატიჟებელი „მექელეხეა“, წასაღებად პარკში საჭმელს უწყობს. შერცხვენილი რეზო უარობს და გარბის.

აქ მას ყოფილი მოწაფე, თორნიკე ხვდება. ვიგებთ, რომ რეზო ომის დროს

ბავშვებს ხალხურ ცეკვებს ასწავლიდა და იმასაც, რომ თორნიკე მას დიდხანს ეძებდა და ვერ პოულობდა. ყოფილი მოსწავლე სთავაზობს, ცეკვა მის ვაჟსაც ასწავლოს. ტელეფონის ნომერს ხელსაწმენდ ქაღალდზე უწერს და დარეკვას სთხოვს. რეზო გულმოდგინედ ინახავს ჩანაწერს და ცდილობს, იქაურობას სწრაფად გაეცალოს.

შემდეგ თავის „თავშესაფარში„ ბრუნდება და გადანახულ ბუტერბროდს სავარძელში, „ტყის„ შპალიერის წინ, დილიდან ადგილის შეუცვლელად მჯდომ მოხუცს უწვდის, რომელიც ისევ ტელეეკრანს მისჩერებია.

მოქმედება თავშესაფრის პატარა საკონცერტო დარბაზში სრულდება. სცენაზე ორი მოხუცი ქალბატონი გატაცებით მღერის. (იქნებ ეს მოხუცებულთა თავშესაფარია მსახიობებისთვის?) რეზო ჯდება, თორნიკეს ტელეფონს ხელსაწმენდიდან უბის წიგნაკში გადაწერს (თუმცა, ალბათ არასდროს დაურეკავს...) ხელსაწმენდს კი ისევ ჯიბეში ინახავს... უსმენს და ჩვენც მასთან ერთად, მოხუცების სიმღერას. შეუძლებელია, არ დაემორჩილო ფინალური ეპიზოდის სილამაზეს.

ფილმში ისეთი არაფერი ხდება, რაც შეიძლება გმირისა და მაყურებლისთვის გარდამტეხად იქცეს. ასევე, ძნელია მკვეთრი კონფლიქტის გამოკვეთა: გმირის კონფლიქტი გარემომცველ სამყაროსთან, სხვა პიროვნებასთან, კონკრეტულ სიტუაციაში და ბოლოს, გმირის შინაგანი კონფლიქტი საკუთარ თავთან. მსგავსი არაფერია. ფილმის ავტორი კონცენტრირდება იმ მდგომარეობაზე, იმ ყოფაზე, იმ ვითარებაზე, რომელშიც რეზო იმყოფება. რაღაც თვალსაზრისით, ფილმი წარმოადგენს გარკვეული საზოგადოებისა და, ამავე დროს, ცხოვრებისეული სიტუაციის პორტრეტს.

შეიძლება შეიქმნას კიდეც შთაბეჭდილება, რომ რეჟისორი პატივს მიაგებს ადამიანებსა და საქმეს, რის შესახებაც გვიამბობს. ფილმის პერსონაჟებს იგი გულით, რომ არ ვთქვათ, სენტიმენტალურად აღიქვამს. იმის გამოთქმაც შეიძლება ვცადოთ, რომ ეს ფილმი „წარმოადგენს იარაღს ადამიანების კეთილდღეობისა და სამშობლოს სასარგებლოდ„.

თორნიკე ბზიავა არ მანიპულირებს ჩვენი ემოციებით ნაჩვენები ისტორიის მიმართ. მთავარი გმირის მსგავსად, რომელიც მოწყალებასა და დახმარებას არ ეძებს, ფილმის რეჟისორი მაყურებლისგან აპლოდისმენტებს არ ელოდება.

იგი გვიხსნის კარს სამყაროში, რომლის შესახებაც გვიამბობს და თითქმის უხილავად დაგვყვება მასში. რასაც დავინახავთ და რამდენად ღრმად გავიცნობთ, ჩვენი სერიოზულობისა და ემოციურობის ამარად ტოვებს. არავითარი ძალადობა. და ის, რაც ერთი მაყურებლისთვის ცხადი და გასაგები იქნება, სხვისთვის შეიძლება შეუმჩნეველიც კი დარჩეს.

მოკლედ, მთელ ამ პატარა ამბავში ხილული უხილავს ერწყმის და ამავე დროს ძალიან სრულ და მკაფიო სახეს ქმნის. ფილმის ავტორი არ გვაჩქარებს. უფლებას გვაძლევს, პერსონაჟებსა და მოქმედების ადგილებს დავაკვირდეთ. შესაძლებლობას გვიქმნის, დასკვნები თვითონ გავაკეთოთ. თავხედური აქ არაფერია. თორნიკე ბზიავა თხრობას ძალიან დახვეწილად, ფაქიზი და ზუსტი ნიუანსებით აგებს.

ასეთი აზროვნება და თხრობის ასეთი მანერა ახალგაზრდა შემოქმედის მხრიდან, ღრმა ცნობიერებას და ამავე დროს დახვეწილ გემოვნებასა და ძლიერად განვითარებულ კინემატოგრაფიულ ინტუიციას მოითხოვს.

Court Metrage

პარიზი. სექტემბერი. 2015

ჩემი
ვინო

ლანა ღოღობერიძე
მთელი ცხოვრება კინოსთან ერთად

თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალზე რეჟისორ ლანა ღოღობერიძეს კინოში გაწეული ღვაწლისთვის საპატიო ჯილდო გადასცეს. მანამდე იგივე პრიზით ბათუმის საავტორო ფილმების ფესტივალზე დააჯილდოვეს. მას ცხრა მხატვრული ფილმი აქვს გადაღებული.ერთ-ერთი, „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე", ფესტივალის ფარგლებშიც უჩვენეს. ლანა ღოღობერიძის კინო ახალი რაკურსით წარდგა მაყურებლის წინაშე – ქალი და მისი გარემო რიგით მე-16 „პრომეთეს" მთავარი თემა იყო.

როგორ დაიწყეთ?

კინოს ძალიან შორი გზიდან მოვუარე. სკოლაში სწავლის პერიოდში ვნახე ე.წ. ნადავლი ფილმი, ჟიულენ დიუვივეს „დიდი ვალსი", რომელიც ჩვენ უფერულ, საცოდავ და მძიმე ბავშვობაში ნათელ წერტილად იქცა. იმ სილამაზემ, მშვენიერებამ, ვენის ტყემ, მონტაჟმა და მუსიკამ წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე და, ზოგადად, ჩემ თაობაზეც. შემდეგ იყო თამაშები. ვწერდი პიესებს და ამ წარმოდგენებში სულხან-საბას ქუჩაზე მცხოვრებ ყველა ბავშვს ვაკავებდი.

როდესაც ჯერი უნივერსიტეტში ჩაბარებაზე მიდგა,

ჩვენთან გიორგი ტოვსტონოგოვი მოვიდა. ის ოჯახის მეგობარი იყო. მახსოვს, ეზოში ვისხედით და ლიტერატურაზე ვსაუბრობდით. ექსპლიკაციის გაკეთება შემომთავაზა. ლერმონტოვის „მასკარადი“ ავირჩიე. როგორც იქნა, ჩავაბარე მისაღები გამოცდები და თავის ჯგუფში ამიყვანა. ნახევარი წელი ვისწავლე თეატრალურ ინსტიტუტში. ტოვსტონოგოვის წასვლის შემდეგ მივხვდი, რომ იქ დარჩენა აბსურდი იქნებოდა, რის გამოც, ჯავახიშვილის უნივერსიტეტში ფილოლოგიურ ფაკულტეტზე გადავედი. ვსწავლობდი ჯერ დასავლეთ ევროპის ლიტერატურას, ინგლისურის განხრით, შემდეგ ასპირანტურა დავამთავრე. დისერტაციაც დავიცავი და მხოლოდ ამის შემდეგ გახდა შესაძლებელი მოსკოვში საკავშირო კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტში ჩაბარება. იმიტომ, რომ გარდაიცვალა „ჩვენი დიდი თანამემამულე“ სტალინი.

როგორი მდგომარეობა იყო მოსკოვში, ხომ არ გრძნობდით რაიმე სახის დისკრიმინაციას როგორც „მტრის შვილი“ ან როგორც ქალი?

საბჭოთა სინამდვილე პარადოქსებით იყო სავსე. პროფესიაში არასდროს მიგვრძვნია ეს, თუმცა საქართველოში საერთო დამოკიდებულებაა – ერთნაირი შესაძლებლობების ქალსა და კაცს შორის უპირატესობა ყოველთვის კაცს ენიჭებოდა. სანამ მოსკოვში წავიდოდი, დედაჩემმა მიხეილ კალატოზიშვილს მისწერა წერილი. ისინი მეგობრები იყვნენ „წინა ცხოვრებაში“, როგორც დედაჩემი ამბობდა. საუბრის დროს მითხრა, რომ ძალიან წუხდა ჩემი არჩევანის გამო, რადგან მეშინია, ვინმე მესამეხარისხოვან რეჟისორთან ასისტენტად იმუშავებთო, – „ქალი რეჟისურაში სრულიად წარმოუდგენელია ჩვენს სინამდვილეში“, – ზუსტად ეს სიტყვები მითხრა. მაშინ ჩემი ახალგაზრდული თავხედობით ვუპასუხე, რომ მე ვიქნებოდი პირველი, ვინც ამას შეცვლიდა.

სწავლის დასრულების შემდეგ მოსკოვიდან საქართველოში ჩამოხვედით. თქვენსავით ახალგაზრდა სხვა რეჟისორებიც დაბრუნდნენ და საბოლოოდ ერთად შექმენით „სამოციანელთა თაობა“. საინტერესოა, როგორ გაერთიანდით და ზოგადად, როგორ იქმნება „ახალი ტალღები“?

ეს საკითხი კვლევის საგანია და საინტერესოა ამ გზის, დინამიკის კინოს განვითარების ჭრილში დანახვა. ვერ გეტყვით, კანონზომიერებაა თუ შემთხვევითობა, რომ თითქმის ერთდროულად მოსკოვის საკავშირო ინსტიტუტში ვსწავლობდით: ოთარ იოსელიანი, მიხეილ კობახიძე, ელდარ და გიორგი შენდელაიები, მერაბ

ფოტო ხათუნა ხუციშვილი

საქართველოში საერთო დამოკიდებულებაა - ერთნაირი შესაძლებლობების ქალსა და კაცს შორის უპირატესობა ყოველთვის კაცს ენიჭებოდა

კოკოჩაშვილი, ოთარ აბესაძე, თამაზ მელიავა. შემდეგ ამ ნიჭიერი ადამიანების კოჰორტა სამშობლოში დაბრუნდა და თანდათან გამოჩნდა ლიდერი მიშა კვესელავას სახით. სწორედ მაშინ დაინიშნა ის „ქართული ფილმის“ დირექტორად. მახსოვს, როგორ ვიკრიბებოდით ძველ კინოსტუდიაში მიშა კვესელავას გარშემო და პირდაპირ მანიფესტებს ვწერდით, თუ როგორ უნდა შეგვექმნა ახალი ქართული კინო.

რკინის ფარდის გამო, თქვენ მსოფლიო კინემატოგრაფში მიმდინარე მოვლენებთან ნაკლებად მიგიწვდებოდათ ხელი. თუმცა, მაინც,დასავლეთში დაწყებული პროცესების პარალელურად, დაიწყეთ ახალი მოძრაობა. გაჩნდა ახალი სტილი, გმირები...

რასაც ვაკეთებდით, არ იყო გააზრებული ისე, რომ რაღაცასთან გადაძახილი, კავშირი გვქონდა. მაგრამ ახალი ფორმების ძიება შეგნებულად მიმდინარეობდა. პირველი განცდა, რომ კინოში რაღაც ხდება და ჩვენ ამის მონაწილენი ვართ, ჯერ კიდევ მოსკოვში სწავლის დროს გამიჩნდა, როდესაც „მაგდანას ლურჯა“ ვნახეთ. ეს იყო გარღვევა. ეკრანზე ვუყურებდით ჩვეულებრივ ადამიანებს, რომელთა ყოფაც გახდა საინტერესო.

როგორ ურთიერთობდით ცენზურასთან?

პირველი ფილმი, რომელიც ცენზურის გარეშე გადავიღე, იყო „ორომტრიალი“, 1986 წელს. ზოგადად საქართველოში, სხვა რესპუბლიკებთან შედარებით, უფრო მეტად იგრძნობოდა თავისუფლება, რაც შევარდნაძის დამსახურებითაც იყო გამოწვეული. ცენზურის ცენტრი მოსკოვი იყო. მაგალითად, როდესაც ფილმი „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ „გოსკინოს“ უნდა ჩაებარებინა, პროცესი გაჭიანურდა. ჯერ ერთი კომისია, შემდეგ მეორე... ამ ფილმის ჩაბარება მთელ თვეს გრძელდებოდა. ბოლოს შეიკრიბა კოლეგია და განმიცხადეს, რომ უნდა ამომეჭრა ყველა ინტერვიუ და მთელი წარსული, რის შემდეგაც დარჩებოდა „მშვენიერი ფილმი მეუღლეების გაყრის შესახებ“.

თქვენი ოჯახი სხვა კინოოჯახებისგან იმით გამოირჩევა, რომ სამი თაობის წარმომადგენელირეჟისორია და სამივე – ქალი. როდესაც პროფესიას ირჩევდით, გაითვალსიწიენთ თუ არა დედათქვენის ფაქტორი, რომელიც საბჭოთა კავშირში პირველი ქალი რეჟისორი იყო?

დედაჩემის ფილმებიდან არაფერი მქონდა ნანახი. დედაც არასდროს საუბრობდა მათზე. პირველად მიხეილ კალატოზიშვილმა მითხრა, რომ მასზე დედაჩემმა იქონია ძალიან დიდი გავლენა. ნუცაზე მესაუბრებოდა სიკო დოლიძეც. თორემ, ასე პირდაპირ რომ გამეგო – დედაჩემი რეჟისორი იყო და როგორც რეჟისორი, რაიმეს წარმოადგენდა – საერთოდ არ ვიცოდი.

მე მგონი, იმდენად მძიმე იყო წარსული, რომ მოიკვეთა და აღარ სურდა მასზე საუბარი. ერთგვარად, მისგან გვიცავდა. დედაჩემის ბედში კონცენტრირებულია ეპოქის მთელი ტრაგიზმი. როგორც ოკეანის მთელი თვისებები აისახება ერთ წვეთში, ასეა დედაჩემის შემთხვევაშიც, რადგან ის მილიონობით რეპრესირებულთაგან ერთ-ერთი იყო. გადასახლებიდან დაბრუნებულმა კატეგორიულად უარი თქვა კომპენსაციის მიღებაზე, იმდენად სურდა წარსულთან კავშირის გაწყვეტა.

ჩემი პირველი ფილმი, რომელიც საქართველოში გადავიღე, იყო დოკუმენტური – „გელათი“. დედაჩემი მუშაობის პროცესში აქტიურად იყო ჩართული. თუმცა ერთხელაც არ უხსენებია, რომ მისი პირველი ფილმი „ბუბა“, რომელიც სულ ახლახან აღმოაჩინეს, ასევე გელათის პასაჟით იწყებოდა. გამოვიდა, რომ მისი გზა გავიმეორე, ოღონდ ისე, რომ ამის შესახებ დედას ჩემთვის არასდროს არაფერი უთქვამს.

[გიორგი რაზმაძე]

ძლიერი კინო

იმის მიუხედავად, რომ საქართველოში, ფაქტობრივად, ყოველთვის იყვნენ ქალი რეჟისორები, რაც დღეს ხდება, არასოდეს მომხდარა. დღეს ერთ და ალბათ, ყველაზე გამორჩეულ „სეგმენტს“ სწორედ „ქალების კინო“ შეიძლება ვუწოდოთ. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ფილმების ავტორები ქალები არიან, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ფილმების უმეტესობა წარმატებულია, არამედ იმიტომაც, რომ ავტორების ინტერესის ობიექტივში ქალები და მათი ცხოვრება მოექცა – თანამედროვე რეალიებისა და ყოფის პირობებში.

არც იმის თქმა შეიძლება, რომ „ქალების კინო“ საერთო კონტექსტიდანაა ამოვარდნილი და იზოლირებულად არსებობს. ორივე სქესის რეჟისორების შემოქმედება ბევრ საერთო ნიშან-თვისებას ატარებს და ერთი მთლიანობის, თანამედროვე ქართული კინემატოგრაფის საერთო პანორამის ორგანული ნაწილია. თანამედროვე საზოგადოების სულიერი მდგომარეობის ასახვა, ცხოვრებისეული წინააღმდეგობების ფონზე, რეალობასთან კავშირი და შეჯახება, ახალგაზრდა ადამიანის არჩევანის გაკეთებისა და სულიერი კრიზისების პრომლემები „თანამედროვე ქართველი კინემატოგრაფისტების საერთო საფიქრალი და შემოქმედების თემების

განმსაზღვრელი, არსებული ტენდენციების გამომხატველია.

პირველი ქართველი ქალი რეჟისორის (მასვე ეკუთვნის სსრკ-ში ქალი რეჟისორის მიერ გადაღებული პირველი მხატვრული ფილმი „უჟმური“ (1934წ.) ნუცა ღოღობერიძის (1902-1966 წწ.) ცხოვრება (ისევე, როგორც საბჭოთა კავშირის ბევრი ხელოვანის) და ფილმის შემდგომი ბედიც მეტად დრამატულია. მისი დოკუმენტურ-სადადგმო ფილმი „ბუბა“, რომელიც 1930 წელსაა გადაღებული, 2012 წლამდე „ელოდა“ ცხოვრებაში „შინ დაბრუნებას„ 82 წელი, სანამ ერთ-ერთ არქივში შემთხვევით არ აღმოაჩინეს. მიზეზი კი ისაა, რომ ნუცა ღოღობერიძე რეპრესირებული იყო. 1937 წელს გადაასახლეს და 10 წელი „გულაგის“ ბანაკებში გაატარა. შედეგად, ბუნებრივია, „ხალხისა და სამშობლოს მტრის“ შემოქმედებას, ინფორმაციასაც მის შესახებ და სახელსაც ტაბუ განსაკუთრებული სისასტიკით დაადეს. შემდეგ მრავალწლიანი პაუზის დრო დადგა. კინოში მოღვაწეობა არათუ ქალ, კაც რეჟისორებსაც კი უჭირდათ.

გავიდა რამდენიმე ათეული წელი და უკვე 60-იან წლებში, ახალი თაობის „ახალი ქართული კინოს ერთ-ერთ პირველ წარმომადგენელთა

შორის გამოჩნდნენ – არც მეტი არც ნაკლები, ნუცა ღოღობერიძის ქალიშვილი – ლანა ღოღობერიძე, რომლის შემოქმედების მთავარ ხაზად – ქალის ბედი და როლი საზოგადოებაში, მისი პირადი თუ საზოგადოებრივი ცხოვრება იქცა – ექსტრემალურ სიტუაციებში. სხვადასხვა წლებში გადაღებულ ფილმებში – „ერთი ცის ქვეშ“, „ფერსიცვალება“, „მე ვხედავ მზეს“, „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“, „დღეს ღამე უთენებია“, „ვალსი პეჩორაზე“ და ა.შ. – აშკარად და ხაზგასმით იკითხება თანამედროვე ადამიანის შინაგან სამყაროში შეღწევისა და იქ არსებული ვნებების, ინტერესების, ემოციების, სულიერი მდგომარეობის გამოკვლევა.

მისი თაობის წარმომადგენელია ლეილა გორდელაძე (1927-2002), რომლის შემოქმედების საფუძველი ჟანრული მრავალფეროვნება – განსაკუთრებით კომედიები და მუსიკალური კომედიები („მოიტაცეს თამარ ქალი“, „აქედანა და შენამდე“), თანამედროვე და კლასიკური ლიტერატურის ეკრანიზება („ალოობა“, „ძაღლი“, „ბათა ქექია“) და თანამედროვე ადამიანის ცხოვრებისეული მოვლენების, სხვადასხვა ისტორიული პერიპეტიების გზაჯვარედინზე („თეთრი ქალიშვილი“, „დღესასწაულის მოლოდინში“ „ხიზნები“), ასახვა იყო.

ლანა ღოღობერიძისა და ლეილა გორდელაძის თაობას ეკუთვნის ნანა მჭედლიძეც, რომელიც თემატიკიდან და ინტერესების ობიექტებიდან გამომდინარე, უფრო საზოგადოების ზოგად პორტრეტებს ქმნიდა, ვიდრე კონკრეტული ადამიანის ისტორიებზე აგებულ ამბებს, რომლებიც შემდეგ ზოგადდებოდა. იღებდა უმეტესად – კომედიებსა და ტრაგიკომედიებს („პირველი მერცხალი“ – 1975 წელი – ჟიურის სპეციალური პრიზი საუკეთესო რეჟისურისთვის – თეირანის საერთაშორისო კინოფესტივალი; გრან პრი და „ფიპრესის“ პრიზი ობერჰაუზენის სპორტული ფილმების საერთაშორისო კინოფესტივალზე; „იმერული ესკიზები“ და „დიდედები და შვილიშვილები“), საბავშვო ზღაპრების ეკრანიზციებსა („უკვდავების თეთრი ვარდი“) და კინოსურათებს ბავშვებისთვის („აღმაფრენა“), ფილმებს ახალგაზრდა ადამიანის ადგილის ძიების, მორალურ-ზნეობრივი არჩევანის გაკეთების მართებულობის შესახებ („ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება“, „დანაშაული მოხდა“) და სხვა.

შემდეგ კიდევ გავიდა რამდენიმე წელი და უკვე 70-80-იანი წლების მიჯნაზე ქართველ რეჟისორ ქალებს ახალი თაობის წარმომადგენლებიც შეემატნენ და მათ შორის მხატვრული აზროვნებით, ინდივიდუალური ხელწერით, მოქალაქეობრივი პოზიციითა და ინტერესების თავისთავადობით გამოირჩნენ – ნანა ჯანელიძე და ნანა ჯორჯაძე (რომლებიც დღესაც, ლანა ღოღობერიძესთან ერთად ეროვნული კინემატოგრაფისტების ავანგარდში არიან).

ნანა ჯორჯაძე, რომელმაც კინოსპეციალისტების ინტერესი სადებიუტო ნამუშევრიდან – „მოგზაურობა სოპოტში“ (1980წ.) მიიპყრო, რომელშიც ქართულ საბჭოთა კინოში პირველად აჩვენა იმ ადამიანების – მაწანწალების ცხოვრება, რომლებსაც „ფსკერის“ წარმომადგენლებად თვლიდნენ და საზოგადოების წევრებად არ მიიჩნევდნენ. არ მიიჩნევდნენ ადამიანებად.

შემდეგ მან კვლავ გააგრძელა აკრძალულ თემებზე საუბარი და ისეთი პერსონაჟების ისტორიების მოყოლა, რის და რომელთა შესახებაც ფილმები საბჭოთა კინოში არ არსებობდა და კინოსურათში „შეყვარებული კულინარის 1001 რეცეპტი“ (რომლითაც საერთაშორისო ორბიტაზე გავიდა და კო პროდუქციის ერთ-ერთ პირველ ავტორად მოგვევლინა) – რომანტიკულ ისტორიებს პოლიტიკური შტრიხები დაუმატა, საქართველოს გასაბჭოების წარსულიდან. შემდეგ მისი დიაპაზონი და მოღვაწეობის გეოგრაფიაც გაფართოვდა.

განსაკუთრებულ ნიშას კვლავ იკავებს ნანა ჯანელიძე (მეორე რეჟისორი „პერესტროიკის“ ყველაზე ცნობილ საბჭოთა ფილმზე „მონანიება“, თენგიზ აბულაძის ავტორობით), რომელმაც მხატვრული „იავნანას“ შემდეგ, პოეტური ბუნება, სამყაროს მეტაფორული ხედვა და დახვეწილი ესთეტურობა ფილმების მხატვრულ სახეში, თვით დოკუმენტურ კინოშიც კი („ნეტავ, იქ თეატრი არის?“, „გალობის რაინდები“), ორგანულად აისახება.

21-ე საუკუნის პირველ 20-წლეულში ქართულ კინოში ახალი თაობა მოვიდა. ახალი ხედვითა და ახალი აზროვნებით, ახალი გმირებით, ახალი სათქმელითა და ახალი დამოკიდებულებით ცხოვრების, წარსულის, აწმყოს, მომავლის მიმართ.

რეჟისორი და პროდუსერი თინათინ ყაჯრიშვილი („ფარაჯანოვი“, „პატარძლები“, „ბუდე“, „შავი თუთა“), ანა ძიაპშიპა („ბახმარო“, „არხი“, „ოგასავარა“), რეჟისორი და პროდუსერი რუსუდან პირველი („სუსა“, „ფანჯარა“, „ძილის გაკვეთილები“), ქეთევან გალდავაძე („ჯაყოს ხიზნები“, „როცა ვარსკვლავები გამოჩნდებიან“, „ლუკა“), რეჟისორი და პროდუსერი ნანა ექვთიმიშვილი („გრძელი ნათელი დღეები“, „დედა“), ნინო დევდარიანი („გაღმა ნაპირი“, „სიმინდის კუნძული“).; ჟანა სარდლიშვილი (“ჩამოფასებულები“, „სე ლა ვი“, „გამცილებელი“, „მეიდანი – სამყაროს ჭიპი“), სოფო ბაზღაძე („მოთამაშე“, „გაიღიმეთ“). წარმატებულად და აქტიურად მუშაობს ლალი კიკნაველიძე ანიმაციური კინოს დრამატურგიასა და პროდუსინგში („ვაკუუმი“, „განდეგილი“, „ჯინო“).

უახლესი პროდუქციიდან აღსანიშნავია მხატვრული ფილმები – რუსუდან ჭყონიას „გაიღიმეთ“ (2012წ.), ნანა ექვთიმიშვილის (სიმონ გროსთან ერთად) „გრძელი ნათელი დღეები“ (2012-2013წწ.) და თინათინ გურჩიანის „მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს“ (2011-2012წწ.). სამივე ფილმმა მნიშვნელოვანი აღიარება, მაყურებლის ინტერესი და არაერთი პრიზი მოიპოვა საერთაშორისო ფესტივალებზე). წარმატებული გამოდგა – ქეთევან მაჭავარიანის „ერთი ბილეთი ოცნების სანაპირომდე“ (2011წ.), რუსუდან პირველის (რომელიც თავისივე ფილმების პროდუსერიცაა) „სუსა“ (2010წ.), თამარ შავგულიძის „დაბადებულები საქართველოში“ (2011წ.), თინათინ ყაჯრიშვილის „პატარძლები“ (2013წ.) და თეონა მღვდელაძე გრენადეს „ძმა“ (2013წ.); დოკუმენტურები – სალომე ჯაშის „ბახმარო“ (2011წ.); ნანა ჯანელიძის „ნეტავ იქ თეატრი არის?“ (2011წ.) და „გალობის რაინდები“ (2012წ.); ნინო ორჯონიკიძის (ვანო არსენიშვილთან ერთად) „ინგლისურის მასწავლებელი“ (2012წ.); ნინო კირთაძის

„ჩეჩნური იავნანა“ (2002), Pipeline Next Door (2005) „დურაკოვო“ (2008), „ზოგი რამ საქართველოს შესახებ“ (2008)“ და სხვა და სხვა.

რუსუდან ჭყონიას (რომელიც ყოველთვის თვითონაა თავისი ფილმების პროდუსერი) კინოსურათს საფუძვლად მრავალშვილიანი დედების სილამაზის კონკურსის ამბავი უდევს. მათი პირადი, დრამატიზმით აღსავსე ისტორიები ვიღაცისთვის შოუს „წარმატების“ შემადგენელი ნაწილია, მონაწილეებისთვის – ცხოვრება. მათ უნდა იბრძოლონ გამარჯვებისთვის და რაღაც „დაკარგონ“ სანაცვლოდ, უნდა გაიღიმონ, როდესაც არ ეღიმებათ, იქცნენ მარიონეტებად და საკუთარი თავი უარყონ, სხვისი სურვილით, რადგან საზოგადოებაა ასე მოწყობილი და განწყობილი მათ მიმართ.

ამ ფილმის მსგავსად და მეტადაც, ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის „გრძელი, ნათელი დღეები“ უახლესი ქართული კინემატოგრაფის ერთ-ერთ „მთავარ“ ფილმად იქცა. ალბათ დიდი ხანია ქართულ კინოზე ამდენი არავის ამდენი არავის დაუწერია და უსაუბრია და არც ამდენი პრიზი საერთაშორისო ფესტივალებზე (გიორგი ოვაშვილის „გაღმა ნაპირთან“ და „სიმინდის კუნძულთან“, ზაზა ურუშაძის „მანდარინებთან“ ერთად) სხვა ფილმს არ მიუღია.

ისევე, როგორც „გაიღიმეთში“, აქაც მოქმედების დრო – მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისია. ადგილი – საქართველო. თბილისის ძველი უბანი ქვეყნის მიკრომოდელადაა ქცეული, მისი მცხოვრებლები – მთელი ქვეყნის მოსახლეობის სახე-სიმბოლოებად.

ფილმის მთავარი გმირები მოზარდები არიან, რომელთა შორის ორი 14 წლის გოგონას ხაზი იკვეთება, რომლებსაც ცხოვრების ყველა წახნაგის შეცნობა, ადამიანებსა და ურთიერთობებში გარკვევა, პირადი გამოცდილებით აღმოჩენებისა და არჩევანის გაკეთება დამოუკიდებლად, რთულ და ექსტრემალურ ვითარებაში უწევთ. მთავარი ისაა, რომ ისინი აკეთებენ არჩევანს. მათი თაობა აკეთებს არჩევანს და სხვასაც ამ გზით ცხოვრებისკენ, ამ მიმართულებით სვლისკენ „მოუწოდებს“.

თეონა მღვდელაძე გრენადესა და ტიერი გრენადეს ფილმიც „ძმა“ ამ პრობლემებსა და ახალ ჭრილში დაგვანახა საზოგადოების პორტრეტის ფრაგმენტი, იგივე 90-იანი წლების დასაწყისის საქართველოში. აქ თითქოს ყველაფერი ისევეა, როგორ სინამდილეში იყო, ისევე, როგორც ცხოვრობდნენ (ვცხოვრობდით) მაშინ თბილისში, ისევე, რაც და როგორც შინ და გარეთ – ოჯახებში და ქვეყანაში ხდებოდა.

თინათინ გურჩიანის „მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს“ არაერთ კინოფესტივალზე დაჯილდოვდა (დოკუმენტური კინოს საერთაშორისო ფესტივალზე DOK LEIPZIG. სანდენსის კინოფესტივალზე – საუკეთესო რეჟისურისთვის და სხვა) ფილმის გმირები საქართველოს სხვადასხვა სოფელში მცხოვრები ახალგაზრდები არიან. ცხოვრებითა და პრობლემებით გადაღლილები, რომელიც დინებას მორჩილად მიუყვებიან. თითოეულ მათგანს რეალობასთან განსხვავებული კავშირი და დამოკდებულება აქვს. თავისი ადგილი, თუ „უადგილობა“, ოცნებები და იმედგაცრუებები, რომლებსაც რეჟისორი ერთ ამბად კრავს და თანამედროვე საზოგადოების (ვინც კადრშია და მის მიღმაც) მეტაფორულ პორტრეტს ქმნის, რომლის ნაწილებად თითოეულ ჩვენგანს აქცევს.

ქეთი მაჭავარიანის ფილმში „მარილივით თეთრი“ – მარილივით არცთუ ისე თეთრ, ლაქებიან და დაკრისტალებულ სამყაროში სამი ადამიანის ცხოვრების „ფრაგმენტს“ ვუყურებთ. სასოწარკვეთის, რაღაცნაირი განწირულობის ატმოსფეროა; სევდითა და მარტოობით გაჟღენთილი, თავშეკავებული, გაუმხელელი მღელვარებითა და ასევე უცნაური დარდით

დამუხტული, რომლის „ფიზიკურამდე“ მისული შეგრძნება დროსა და სივრცეში დაკარგული ადამიანების შორეული ძახილივით აღწევს ჩვენამდე.

ღმერთისგან მივიწყებული ადგილები, შენობები და ოთახებია – სალომე ჯაშის დოკუმენტურ ფილმში „ბახმარო“, რომელშიც მოქმედება ოდესღაც სახელგანთქმულ კურურტზე მდებარე მიტოვებული რესტორნის – დღეს იაფფასიანი სავაჭრო ცენტრის ტერიტორიაზე ხდება. ჩამსხვრეული ფანჯრებისა და ხავსიანი კედლების გარემოცვაში. ღრმა სიჩუმეში. უმოძრაობაში. სევდაში. სიცარიელეში. სამყაროში, სადაც მუდმივად უბერავს ქარი. ფილმი ადამიანების შესახებ, რომლებისთვისაც დრო გაჩერდა და იმედის მიუხედავად, ვისთვისაც აღარასოდეს აღარაფერი შეიცვლება.

თამარ შავგულიძე 2008 წლის აგვისტოს ომის პერიოდის ადამიანებს – წყვილებს – შორის დარღვეული ურთიერთობების, თაობის (რომელსაც ყველაფერი წინ უნდა ჰქონდეს, მაგრამ არა აქვს) იმედგაცრუებების, უადგილობის, სასოწარკვეთისა და მუდმივი განსაცდელის (სულიერი და ფიზიკური) განადგურების მძაფრ, მეტაფორებსა და სიმბოლოებზე აწყობილ მრავალშრიან მოდელს ქმნის.

ნუცა ალექსი-მესხიშვილი ქალი რეჟისორების ერთი შტოს მესამე წარმომადგენელია. ნუცა ღოღობერიძის შვილიშვილი და ლანა ღოღობერიძის შვილი კინემატოგრაფში განსხვავებულ გზას ირჩევს (როგორც თემების, ასევე სარეჟისორო ხელწერის კუთხით) და ფილმებში Felicita (2009) და „კრედიტის ლიმიტი“ (2014) – თანამედროვე (და არა მხოლოდ ქართული) საზოგადოების მწვავე და მტკივნეულ პრობლემებზე (სოციალურ) დაყრდნობით, მათი ასახვით (თავისებური ფორმითა და ხერხებით) აჩვენებს, რა ემართება (შეიძლება დაემართოს) ქალს, რომელიც ოჯახის მატერიალური გადარჩენისთვის საკუთარ თავს, ცხოვრებას, სიმშვიდესა და ელემენტარულ ბედნიერებას კარგავს.

რეჟისორი ქალების რიგები კი კვლავ ახალი პერსონებითა და ახალი ფილმებით შეივსო – მარგო ზუბაშვილი „ოლიმპიათი“ და „დინოზავრით“, სალომე ვეფხვაძე „მე, მამა და ისინით“, მარი სიჩანინი „შუქნიშანით“, მარიამ ხაჭვანი „დინოლათი“, ანა ურუშაძე „ერთ კაცს ვუყვარდით“ და სხვები, წინამორბედებს, ქართველი რეჟისორების უახლესი თაობის სახელით, წარმატებებით უერთდებიან.

უახლეს ქართულ კინოს კვლავ გამჭოლი ხაზივით კვეთს პიროვნებისა და საზოგადოების, საზოგადოებისგან გარიყული და ცხოვრებისგან, დაუსრულულებელი შინაგანი ბრძოლისგან დაღლილი ადამიანების – ძირითადად, ახალგაზრდების – და რაც სპეციფიკურად გამორჩეულია – ჩვენი თანამედროვე ქალების ცხოვრების, პრობლემების, სულიერი მდგომარეობის, კრიზისების თემა. ის, თუ რა ადგილი აქვთ „მიჩენილი“ ამ ცხოვრებაში, საზოგადოებაში და როგორ იკვლევენ გზას მტრულად განწყობილ სამყაროში ქალები, რომლებიც უსასრულო და უშედეგო ბრძოლისგან, თავდაცვისგან, სასოწარკვეთისგან ძალიან დაღლილები არიან. ⊗

სტატია გამოქვეყნდა ჟურნალ 8 ½-ში, იტალია. იბეჭდება შემოკლებით

მსახიობი, რომელიც საკუთარ თავს თამაშობს

ნინო კასრაძე რუსთაველის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობია. პირველად ეკრანზე გიორგი შენგელაიას „ორფეოსის სიკვდილში“ გამოჩნდა. შემდეგ იყო რამდენიმე ეპიზოდური როლი, სანამ ნუცა მესხიშვილმა „კრედიტის ლიმიტში“ მთავარი გმირის განსახიერება არ შესთავაზა. მომავალ წელს დაგეგმილია მარგო ზუბაშვილის ახალი ფილმის პრემიერაც, რომელშიც ასევე მთავარ როლს ასრულებს.

„ანა“ დამწყები რეჟისორის მარგო ზუბაშვილის ფილმია. მანამდე მის წინა სადიპლომო ნამუშევარში – "დინოზავრში» ითამაშეთ. როგორ ირჩევთ როლებსა და რეჟისორებს, ვისთან ერთადაც გსურთ მუშაობა?

მარგო ზუბაშვილი ნუცა ალექსი-მესხიშვილის ფილმის გადასაღებ მოედანზე გავიცანი. მისგან კეთილგანწყობა და განსაკუთრებული გულშემატკივრობა ვიგრძენი. ხუთი კვირა ვმუშაობდით „კრედიტის ლიმიტზე“. მორჩა თუ არა გადაღებები, შემოთავაზება მივიღე. მარგოს „დინოზავრზე“ მუშაობა უკვე დაწყებული ჰქონდა. ჩემი პერსონაჟი ფილმში შემდეგ დაამატა. საერთოდ, შემიმჩნევია, რომ რეჟისორები გადაღების წინ არაფერს გეუბნებიან. ასე შევქმენით „დინოზავრში“ ჩემი ეპიზოდი. არ გვქონია ხანგრძლივი რეპეტიციები. მარგომ დამირეკა და მითხრა, რომ საღამოს ჩემ სცენას იღებდნენ. ნუცასთანაც, დაახლოებით, ამ გზით ვმუშაობდით – არ გვქონია ხანგრძლივი რეპეტიციები. მისი განწყობით ვხვდებოდი ესთეტიკასა და პრინციპებს, თუ როგორ უნდა გვემუშავა კონკრეტულ სცენაზე.

როდესაც „ანას“ სცენარი წავიკითხე, ოდნავ შემეშინდა – ჩემი თავი გმირს ვერ დავუკავშირე. თუმცა, მარგოს ბრმად ვენდობი და დავთანხმდი. შემდეგ სცენარის ახალი ვერსია გამომიგზავნა. წავიკითხე და მივხვდი, რომ ფილმი შედგებოდა. იმ პერიოდში ვკითხულობდი სემუელ ბეკეტის „მოლოის“. ნაწარმოებმა ჩემზე ძალიან დი-

ფოტო ხათუნა ხუციშვილი

დი შთაბეჭდილება დატოვა და შემდეგ გავაცნობიერე, ეს რომანი შეიძლებოდა ყოფილიყო გასაღები „ანასთვის“.

„მოლოიში“ პერსონაჟის დეპერსონალიზაცია ხდება. მეორე მხრივ კი,მისი ტრანსფორმაცია ერთი ადამიანიდან სხვა ადამიანად. აღმოჩნდა, რომ სწორად მიგრძვნია ფილმისა და ბეკეტის რომანის მსგავსება, რადგან „ანას“ ფინალში არის რამდენიმე ფრაზა, რომელიც ამბის მთავარი მარცვალია და სწორედ იქ მოხდა ჩემი და მარგოს თანხვედრა.

ნუცა მესხიშვილმა, ერთ-ერთ ინტერვიუში, „კრედიტის ლიმიტის“ მთავარ გმირს „საზიზღარი ქალი“ უწოდა. თქვენ როგორ დაახასიათებდით ნინოს?

ნინოს პერსონაჟს ვუდგებოდი სიტუაციურად. ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში სხვადასხვანაირი იყო. ერთ დღეს სამკერვალოდან კაბის უფასოდ წამოღება უნდა, რის გამოც, ყველაფერზე მიდის, ოღონდ ეს შეძლოს. სხვაგან უფრო შემტევია, რადგან ფული აქვს და თავს უფრო ძლიერად გრძნობს. ამ და სხვა მსგავსი სიტუაციების კოლაჟი ქმნის ამ ქალს. მან ვერ განიცადა ტრანსფორმაცია, უბრალოდ სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. იმდენად სწრაფად ხდება ყველაფერი, რომ რეფლექსიისთვის დროც კი არ რჩება და ბოლოს, უბრალოდ მიჰყვება დინებას, რომელიც უფსკრულისკენ მიედინება.

იშტვან საბოს აზრით, კინო ესაა ახლო ხედი, ანუ ადამიანის სახე. თქვენთვის რამდენად რთულია კამერასთან ძალიან ახლოს მუშაობა?

კინოში მუშაობის იმდენად მცირე გამოცდილება მაქვს, რომ ჩემი მხრიდან ასეთ ნიუანსებზე საუბარი ჯერჯერობით ზედმეტად მიმაჩნია. თუმცა, „ანაში“ ძირითადად ახლო ხედებია და გარკვეულად, ამის გამოცდილებაც უკვე მივიღე.

კამერის სიახლოვის არ შეგეშინდათ?

არა, აბსოლუტურად – არა! კინოში ეს არის ყველაზე საინტერესო ნაწილი. უზომოდ სასიამოვნოა ის პროცესი, როდესაც თავს აიძულებ შენს შიგნით გაჩენილი მოძრაობები ისე გამოხატო, რომ შემდეგ სხვამაც იგრძნოს. არ ვიცი, ზუსტად რა დავარქვა ამას. ეს არ არის მხოლოდ ემოცია, ეს არის ფიქრები და აზრები, რომლებიც მსახიობის თვალებში ირეკლება. მაყურებელი ამას ზუსტად გრძნობს. მნიშვნელობა არ აქვს, მსახიობი ამ დროს კადრში ახლო ხედით იქნება, თუ არა. ეს უფრო იმ საიდუმლოს ნაწილია, რომელსაც ხელოვნება ჰქვია.

[გიორგი რაზმაძე]

ფოტო ხათუნა ხუციშვილი

კინო VS სერიალი
ქეთი დევდარიანი

ბოლო წლები ტელეინდუსტრიისთვის საუკეთესო პერიოდად ითვლება. სოციალური მედიის გაძლიერებასთან ერთად ანალიტიკოსები ტელევიზიას სიკვდილს უწინასწარმეტყველებდნენ. თუმცა მათი ვარაუდები არ გამართლდა. დღეს კი კინემატოგრაფის სიკვდილზე საუბრობენ – ამბობენ, რომ მას სერიალი ჩაანაცვლებს.

გთავაზობთ ინტერვიუს ქართული სერიალის "ჩემი ცოლის დაქალების" სცენარის ავტორ ქეთი დევდარიანთან.

დღეს განსაკუთრებით აქტუალურია კითხვა, – მოკლავს თუ არა სერიალი კინოს?

არაერთგვაროვანი დამოკიდებულება მაქვს. არ მინდა, რომ კინო მოკვდეს და საერთოდ, არ მიმაჩნია გამართლებულად რაიმეს არსებობა რაიმეს სიკვდილის ხარჯზე. მართლაც, სერიალი კინოსთან დიდ კონკურენციაშია, რადგან მისი ხარისხი საგრძნობლად გაიზარდა და გაფართოვდა სეგმენტიც, რომელიც აღარ წარმოადგენს მხოლოდ დიასახლისებს. თუმცა სერიალს აქვს ერთი მინუსი – ის დროშია შეზღუდული და შენ, როგორც ავტორს, არ გაქვს ხანგრძლივი ფიქრის ფუფუნება, როგორც კინოს გადაღების შემთხვევაში გექნებოდა. იგივეს ვიტყოდი წიგნებზეც. როგორც ნაბეჭდი წიგნი არ უნდა დაიჩაგროს და გაქრეს, მაგრამ, ამავე დროს ტექნოლოგიებიც აუცილებლად უნდა განვითარდეს, ასევე ვფიქრობ კინემატოგრაფზეც – მინდა, რომ დარჩეს ძველიც და იყოს ახალიც. ჩემი საყვარელი გართობა კინოში წასვლა და დიდ ეკრანზე კარგი ფილმის ნახვაა. არ მინდა, რომ ეს სერიალმა ბოლომდე შთანთქას.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში?

სერიალზე ჩვენ ფილმი გადავიღეთ და ამით მაყურებელი კინოში მივიყვანეთ. ჩემთვის, როგორც სცენარისტისთვის, „ჩემი ცოლის დაქალები“ არის რეპე-

ფოტო ხათუნა ხუციშვილი

ტიცია იმისთვის, რომ კარგი ფილმისთვის სცენარი დავწერო.სერიალი მსახიობებისთვისაც კამერასთან მუშაობის ძალიან დიდი გამოცდილების მიღების საშუალებაა. ვცდილობ, მრავალფეროვანი პერსონაჟების მოფიქრებას, რათა მსახიობებისთვის მუშაობა არ გახდეს ერთპლასტიანი და მოსაბეზრებელი. სერიალი იყენებს კინოს ტექნიკურ პრინციპებს, გადაღებები წარმოებს Single-camera-თი და ეს არის კინოგამოცდილებაც.

ერთ-ერთი საჯარო ლექციის დროს თქვენ „ჩემი ცოლის დაქალებს“ სოციალური პროექტი უწოდეთ. რამდენად ითვალისწინებს სერიალის სპეციფიკა სოციალურად აქტუალური თემების რეპრეზენტაციას?

«ჩემი ცოლის დაქალებს» არ გააჩნია მკაფიო დრამატურგიული თარგი, მათ შორის, არც ჟანრობრივი. რომელიმე სერიაში შემიძლია "ჩავაკვეხო" კინომოთხრობა, რომელიც იქნება დრამა, რომელშიც არ იქნება გროტესკის, სატირის ან კომედიის ელემენტები. ფეხდაფეხ მივყვებით პოლიტიკურ მოვლენებს, კომპლექსებს, რომლებიც საზოგადოებას აქვს და ავსახავთ ყველაფერს, რაც იმ მომენტისთვის აქტუალურია. ამ ამხრივ, ეს სერიალი საპნის ოპერას უფრო დაემსგავსა, მაგრამ გადაღების სპეციფიკიდან გამომდინარე, ვცდილობთ, კინოს ესთეტიკის შენარჩუნებას. ამიტომ „ჩემი ცოლის დაქალები“ არის სოციალური პროექტი იმდენად, რამდენადაც ბოლომდე შეუძლებელია დადგენა, – ჩვენ ვმოქმედებთ მაყურებელზე, თუ მაყურებელი ჩვენზე.

რამდენად ითვალისწინებთ სატელევიზიო სერიალის კეთების კანონებსა და წესებს?

ჩემი, როგორც სცენარისტის, ყველაზე დიდი ნაკლია ქრონომეტრაჟის დარღვევა. ჯერჯერობით ვერ ვახერხებ ამერიკული სტანდარტის დაცვას, სადაც ყველა სერია ზუსტად 43 ან 35 წუთი უნდა იყოს. რაც შეეხება სერიალის მათემატიკას, ამას აბსოლუტურად ვითვალისწინებ. თუ საქმე გვაქვს სამსერიიან ამბავთან, წარმოდგენილი იქნება მისი დასაწყისი, კვანძი და დასასრული. ვცდილობთ, ყველა სერია დავამთავროთ ე.წ. ინტრიგით. სინამდვილეში, ეს ქლიფჰენგერი, რაც მაყურებელისთვის სერიის იმ მონეტში გაწყვეტას გულისხმობს, რაც მომდევნო სერიისადმი ინტერესს

კიდევ უფრო გაზრდის. ასევე ყოველ ახალ სეზონში ჩნდება ახალი სახე და ახალი გზავნილიც.

თქვენ საუბრობთ გზავნილებზე, იგივე "მესიჯბოქსზე", რომელიც ხშირად იგავის, იგივე "ეზოპეს ენის" ელემენტებს შეიცავს. სატელევიზიო სპეციფიკიდან გამომდინარე, რამდენად მართებულად მიგაჩნიათ ეს ტექნიკა?

ქართველები, როდესაც ერთმანეთში საუბრობენ, ხშირად იგავურ ნარატივს იყენებენ. მათ არ უყვართ პირდაპირი ტექსტით საუბარი, რაც აზიური კულტურის გავლენად მიმაჩნია. თუმცა, ადამიანები ისედაც არ ლაპარაკობენ იმდენს, რამდენსაც კინო მოითხოვს. ზედმეტად პირდაპირი ტექსტი იქნება არაავთენტური, რადგან რეალურ ცხოვრებაში ასე არ ვსაუბრობთ. მაგრამ ყველა ტექსტს უნდა ჰქონდეს ქვეტექსტი. მირჩევნია, რომ ადამიანს რამეზე მივანიშნო, ვიდრე მივუთითო.

რაც შეეხება პერსონაჟებს, ზოგიერთი მათგანი უფრო მეტად იგავურია, ვიდრე რეალური. რამდენად მნიშვნელოვანია სქემატური გმირების პრობლემა?

ბარათეონი, გრიშა კაკაჩია, „ბაბულიკები“ – სქემატურები არიან, გეთანხმებით. ისინი კარიკატურები არიან, თუმცა რამდენიმე ამგვარი გმირის არსებობა სრულებით დასაშვებია, რადგან ამით ხაზს უსვამ სხვადასხვა ტიპაჟის გროტესკულ ელემენტებს. ზოგადად კი, არ მსიამოვნებს ცალსახად დადებითი ან უარყოფითი გმირები.

როგორც ცნობილია, თქვენ ფემინისტი ხართ, თუმცა იმ ფრთის წარმომადგენელი, რომელიც გენდერულ კვოტირებას ეწინააღმდეგება. მიგაჩნიათ თუ არა, რომ კანონის ძალით შეუძლებელია, პოლიტიკური საქმიანობით უფრო მეტი ქალი დაკავდეს?!

გენდერული თანასწორობის მომხრე ვარ, კვოტირების სისტემის კი – არა. ვთვლი, რომ ქალებს არ გვჭირდება ეს უკანასკნელი, რადგან კანონი თუ არ გაამართლებს, ისევ ქალებს უსაყვედურებენ და საბოლოოდ შეიძლება იდეის დისკრედიტაციამდეც მივიდეთ. ვეწინააღმდეგები ყველა ფორმის დისკრიმინაციას, მათ შორის – პოზიტიურსაც, და მივიჩნევ, რომ ქალებმა საკუთარი ძალებით უნდა დაამტკიცონ პოლიტიკაში მათი არსებობის აუცილებლობა. ამის მიუხედავად, კვოტირების სისტემის კატეგორიული წინააღმდეგი მაინც არ ვარ. მაგრამ აჯობებს ფიქრი იმ პირობების შექმნაზე, რაც ქალებს აქტიურობისკენ უბიძგებს და გაათავისუფლებს ქმრის, მამის, ძმის, ანუ კაცის ზეგავლენისგან.

[გიორგი რაზმაძე]

თამუნა ინგოროყვას სტილით

ფოტო ხათუნა ხუციშვილი

როდესაც საუბარს ვიწყებთ ფილმზე თუ ხელოვნების ნებისმიერ ნიმუშზე, პირველი, რასაც განვიხილავთ, მისი სტილია. კინოში ეს უკანასკნელი არის მეთოდიც, არის ესთეტიკური მიმდინარეობაც და ასევე ინდივიდუალური ხელწერის ნიშანიც. მოდა კი სტილზე დაკვირვების ყველაზე კარგი საშუალებაა. რიგითი ადამიანისთვის, შეიძლება ითქვას, ის არის ვარჯიში თვალისა და აღქმის გაუმჯობესებისთვის. ტანსაცმელში, შესაძლოა, აღმოვაჩინოთ დრო და სივრცეც კი – იმ მხატვრულ იმიჯებში, რომლებსაც დიზაინერები ხშირად კინოს გავლენით ქმნიან.

„ფილმპრინტის" შეკითხვებს დიზაინერი თამუნა ინგოროყვა პასუხობს.

რომელი რომელზე მეტად ზემოქმედებს – კინო მოდაზე, თუ პირიქით?

დიდი ხანია, რაც მოდა და კინო ერთმანეთთან დაკავშირებულია. ისინი ერთმანეთზეც ზემოქმედებენ, თუმცა კინოს გავლენა გაცილებით დიდია. მაგალითად, სხვადასხვა დიზაინერის შარშანდელი კოლექცია სერიალ Game of Thrones-ის გავლენით იყო შექმნილი. აღსანიშნავია „დიდი გეთსბიც", რომლის ეკრანებზე გამოსვლის შემდეგ მოდის ჟურნალებმა ფილმის სტილი აიტაცეს. გავლენა სხვა კომერციულ პროექტებსაც დაეტყო. თავად ფილმში გამოყენებული იყო „პრადას" შექმნილი ტანსაცმელი. მოდასა და კინოს შორის კავშირი მართლაც მჭიდროა.

ფოტო ხათუნა ხუციშვილი

ერთადერთი, სადაც ვეძებ შთაგონებასა და სახეებს – ეს არის კინო და ლიტერატურა

როგორი კინოა თქვენთვის ინსპირაციის წყარო?

ფილმებს, ძირითადად, ინსპირაციის მისაღებად ვუყურებ. ემოციურად ჩემზე ყველაზე მეტად ჰიჩკოკის ფილმები მოქმედებს. მისი თითოეული კინოსურათი იმდენად დიდი ესთეტიკისა და დახვეწილობის მატარებელია, რომ ინსპირაციის საუკეთესო წყაროა. შეიძლება კოსტუმი განსაკუთრებით გამორჩეული არ იყოს, თუმცა კადრი აღმოჩნდეს იმდენად დახვეწილი და მეტყველი, რომ დიზაინერს შემოქმედებითი შთაგონება მაინც აღუძრას.

მაგალითად, წლევანდელმა ოსკაროსანმა პოლონურმა ფილმმა „იდამ" ჩემზე ძალიან დიდი გავლენა მოახდინა, რაც ბოლო კოლექციაზეც აისახა. არ ვათვალიერებ მოდის ჟურნალებს; ერთადერთი, სადაც ვეძებ შთაგონებასა და სახეებს – ეს არის კინო და ლიტერატურა.



როდესაც ფილმში დროის რეკონსტრუქცია მიმდინარეობს, პირველი, რითაც ეს მაყურებლისთვის თვალშისაცემი ხდება, კოსტუმები და იმ პერიოდის მოდაა. გამოდის, რომ დროს კინოს შემდეგ ყველაზე კარგად მოდა აკონსერვებს?

ასეა, რადგან დიზაინი ყოველთვის უნდა ასახავდეს იმ ტენდენციასა და ტრენდს, რაც კონკრეტულ მომენტშია „მოდაში“. მაგალითად, გარკვეული პერიოდის წარმოსაჩენად საუკეთესო ინსპირაცია შეიძლება მიიღოთ ბერგმანის ფილმებიდან, სადაც დროცა და სტილიც ძალიან დახვეწილად არის წარმოდგენილი. ჩემი დაკვირვებით, მოდის ტენდენციები რადიკალურად ყოველ თორმეტ წელიწადში ერთხელ იცვლება. კონკრეტული ახალი სტილი იწყება მრავალფეროვნებით და ფინალისკენ მინიმალიზმში გადადის. უკანასკნელი ორი წლის კინემატოგრაფში, მუსიკასა და მოდაშიც ასეთი მდგომარეობაა, რაც არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს. მალე მოხდება ახალი სტილის „აფეთქება“, რომელიც აისახება ტანსაცმელშიც და გახდება ამ პერიოდის სახე, იმიჯი.

კინო მხატვრულ სახეს ქმნის სხვადასხვა კომპონენტის მეშვეობით და ძირითადად ეს არის ვიზუალური ნაკადი. როგორ ხდება ტანსაცმლის შემთხვევაში?

წარმოვიდგენ ქალსა და შემდეგ ტანსაცმელს, რომელიც მას მოუხდებოდა. შარშანდელი ზამთრის კოლექციის შექმნის პერიოდში ბერგმანის „პერსონაზე“ ვფიქრობდი. ყველა კოსტუმი შექმნილია იმისთვის, რომ მოერგოს ამათუიმ იმიჯს, ამ შემთხვევაში, „პერსონას“ გმირებს. ერთ-ერთ კოლექციაში კი ჩავრთე ევა გრინის პერსონაჟი იზაბელი, ბერტოლუჩის "მეოცნებეებიდან". ანუ, პირიქით, კინოგმირი კოსტიუმებში გადმოვიტანე.

რაც შეეხება ქართულ კინოს – ტანსაცმელსა და მოდაში რამდენად თვალსაჩინოდ აისახებოდა ეპოქა?

კაცების ჩაცმულობა იყო ერთფეროვანი, თუმცა ქალების კოსტუმები ნაკლებად. ტანსაცმელზე ძალიან კარგად აღიბეჭდა საბჭოთა სტილი და მისი არსი. თუმცა, მაგალითად, „ჭრიჭინას“ კოსტუმები, თავისებურად, ძალიან ლამაზია. ამ ფილმიდან თუნდაც ერთი უბრალო კაბა რომ აიღო და მისი შთაგონებით, 50-იანი წლების სტილში, წელში გაშვებული და კისერთან შეკრული ტანსაცმლის შექმნა გადაწყვიტო – „ჭრიჭინა“ ინსპირაციისთვის საუკეთესო წყარო იქნება.

[გიორგი რაზმაძე]

გიორგი ვარსიმაშვილის პარიზი-თბილისი

გიორგი ვარსიმაშვილი ქართველი რეჟისორების ახალი თაობის წარმომადგენელია. დაიბადა 27/04/1986 თბილისში. დაამთავრა ილიას უნივერსიტეტი საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით. შემდეგ პარიზის მე-8 უნივერსიტეტის კინოფაკულტეტი (ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხით – მონტაჟი და რეჟისურა) და ბოლოს კინოსკოლა ESRA. საქართველოში წელს დაბრუნდა. გადაღებული აქვს 12 მოკლემეტრაჟიანი და ერთი სრულმეტრაჟიანი ფილმი. ახლახან საქართველოს კინემატოგრაფის ეროვნული ცენტრის კონკურსში კომედიური ჟანრის ფილმის გადასაღებად გაიმარჯვა და დაფინანსება მოიპოვა.

თქვენ კინოს სწავლობდით საფრანგეთშიც და საქართველოშიც. რა მოგცათ ერთმა და მეორემ? და რას ვერ მიიღებდით, პარიზში რომ არ წასულიყავით?

საქართველოში ცოტა ხანს ვსწავლობდი საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში კინომცოდნეობის ფაკულტეტზე. შემდეგ საფრანგეთში წავედი (ფრანგული კარგად ვიცოდი და კინო ჩემი ჰობი იყო). გადავწყვიტე, სწავლა იქ გამეგრძელებინა. დავამთავრე პარიზის მე-8 უნივერსიტეტი ბაკალავრის და მაგისტრის ხარისხით. მოგვიანებით დავამთავრე პარიზის ტექნიკური კინოსკოლა ESRA. საქართველოში სამი თვე ვსწავლობდი და ბევრი ისეთი რამ ვისწავლე კინოს კულტურაში, რაც საფრანგეთში გატარებულმა შვიდმა წელმა ვერ მომცა, მაგრამ ჩვენგან განსხვავებით, იქ ძალიან დიდ ყურადღებას უთმობენ ტექნიკასა და პრაქტიკულ მეცადინეობას. ისინი თვლიან, რომ არ არის სწორი, სტუდენტს ჰქონდეს ერთი პროფესია, როგორც ჩვენთანაა. რეჟისორმა უნდა იცოდეს ყველაფერი, რომ ჯგუფს უხელმძღვანელოს.

რა განსხვავებაა ქართულ და ფრანგულ კინოსკოლებსა და სწავლების სისტემებს შორის? რა თავისებურებები?

ფოტო ხათუნა ხუციშვილი

ძირითადად გვასწავლიდნენ თეორიას და ერთადერთი პრაქტიკული საგანი იყო მონტაჟი. ფრანგული კინოსკოლა ძალიან განსხვავდება ჩვენი უნივერსიტეტისგან. დღეში 12 საათი გვქონდა ლექციები. გვასწავლიდნენ იურიდიულ, საბუღალტრო სპეციალობებს, ფიზიკას, ქიმიას, მონტაჟს, ფერებს, ყველანაირი კამერის ხმარებას... თუ არ მეშლება, 50-ამდე საგანი იყო ჯამში. ვინც შეძლო სკოლის დამთავრება, ალბათ 50-იდან 10-15 სპეციალობა მაინც ეხერხება. თანაც კინო ისეთი სისწრაფით ვითარდება, რომ ზოგი სპეციალობა კვდება და ზოგი ახალი ჩნდება. მაგალითად, წელს დაუმატებიათ დრონის პილოტირება, ხოლო ამოუღიათ რამდენიმე პროფესია, რაც ფირზე მუშაობას უკავშირდებოდა.

როგორ დაიწყო თქვენი ცხოვრების ფრანგული პერიოდი, რა სირთულეები იყო (ენა დისციპლინა, ტრადიციები, ცხოვრების წესი და ა.შ.) და რა მიღწევები?

ყველაზე რთული იყო იმის გაანალიზება, რომ პარიზში შენ არავის არაფერში სჭირდები. მე შეიძლება კარგი მემონტაჟე ვიყო, მაგრამ ჩემნაირი იქ რამდენიმე ათასია. კინოსკოლაშიც ამას გვეუბნებოდნენ, – ხომ ხედავთ, თქვენს გარეშეც ყველაფერი კარგად არის პარიზში, წადით თქვენს რეგიონებში და იქ იმუშავეთო.

თქვენი ფილმები – საიდან გაჩნდა იდეები, როგორ მოახერხეთ მათი განხორციელება?

სტუდენტობის პერიოდში გადავიღე ათიოდე მოკლემეტრაჟიანი ფილმი და ერთი სრულმეტრაჟიანი, რომელსაც ქართულად ჰქვია „პარიზული ოცნება“. შარშან ქართულ კინოგაქირავებაში იყო და თქვენს ჟურნალში გვქონდა ძალიან კარგი რეცენზია. წელს პარიზში გამოვიდა და მომავალ წელს რუსულ კინოგაქირავებაშიც გამოვა, თუ როგორმე დავძლიეთ მათი ბიუროკრატიული ჯურღმული. ძირითადად კომედიები მიყვარს.

გაქვთ თუ არა კონტაქტი ფრანგულ კინოსკოლასთან – ყოფილ თანაკურსელებთან და მათ ქვეყნებთან შემოქმედებითი თვალსაზრისით?

კონტაქტი ძალიან ხშირად მაქვს. ისინი მეძახიან, როდესაც მემონტაჟე სჭირდებათ და პირიქით. ახლა ერთ ქართულ ფილმზე ვიყავი მემონტაჟედ და ხმის მიქსზე და ფერების კორექციაზე ჩემი ფრანგი თანაკურსელები დავასაქმე. მე მგონი, კარგი ფილმი გამოგვივიდა.

რა უფრო მეტი იყო – წარმატება, თუ მარცხი? რა და რა?

გაცილებით მეტი იყო წარმატება. 6 წელი ვსწავლობდი

და სკოლის გარეთ სადღაც 20-ზე მეტ ფილმზე ვიმუშავე. ერთი პერიოდი საფრანგეთის საზოგადოებრივი ტელევიზიის საინფორმაციოს მემონტაჟე ვიყავი. მე თვითონ გადავიღე 13 ფილმი. რასაკვირველია, მარცხიც იყო. პირველ რიგში, ის, რომ ვერაფრით ვიშოვე ფრანგი პროდუსერი და ამ მიზანს მხოლოდ თბილისში მივაღწიე. ასევე, ვერაფრით მოვახერხე წესიერ ფესტივალზე მოხვედრა. ავსტრიაში ავიღე პრიზი მოკლემეტრაჟიანი ფილმისთვის, მაგრამ დიდი არაფერი ფესტივალი იყო, ამიტომ მის პრიზს დიდი ფასი არ აქვს.

რაზე მუშაობთ ამჟამად?

კინოცენტრის კომედიური ჟანრის სცენარის განვითარების კონკურსი მოვიგე. ახლა ვმუშაობთ ინგლისელ კონსულტანტთან და მე მგონი, ძალიან სასაცილო რამ გამოდის. მოქმედება 2000 წელს ხდება. სცენარი არის თბილისელებზე, რომლებიც ყველა უცნაურ პრობლემას რაღაც უცნაური გზებით წყვეტენ. გარდა ამისა, ვმუშაობ დოკუმენტურ ფილმზე, რომელიც იქნება ქართულ და კორსიკულ მრავალხმიანობაზე. ქართულ-ფრანგული კოპროდუქცია. ჯერ განვითარების ეტაპზე ვართ.

როგორ შეეგუეთ ქართულ კინოსინამდვილეს დაბრუნების შემდეგ?

რთულად. პარიზში ყველაფერი აწყობილია და ამიტომ გასაგებია, თუ არ დასჭირდებით. ჩვენთან ძალიან ბევრი პრობლემაა და მაინც ცოტას თუ სჭირდები. სამონტაჟო სტუდია მაქვს და მხოლოდ მოკლემეტრაჟიან ფილმებსა და სპექტაკლების ვიდეოვერსიებზე მიწევს მუშაობა. ძალიან მინდა კლიპების და რეკლამების დამონტაჟება, მაგრამ არ გამოდის.

საფრანგეთში მოსმენილი ლექციების დიდი ნაწილი გადავთარგმნე და მინდოდა, რომ უნივერსიტეტებისთვის მეჩუქებინა, მაგრამ არ მოუნდათ. თუმცა ამის მიუხედავად, ვახერხებ ბევრი რამის გაკეთებას. თუნდაც ის, რომ ახლახან კონკურსი მოვიგე.

რამ შეიძლება დააინტერესოს უცხოური კომპანიები და უცხოელი პროდუსრები საქართველოში?

ისტორიები, რომლებიც მოდის უცხოეთიდან. ფრანგებს ძალიან უყვართ უცხოური ფილმები, რაც მათ ეხმარება მსოფლიოს უკეთ გაცნობაში. ერთადერთი, რითაც ქართველმა რეჟისორმა შეიძლება ფრანგი პროდუსერი დააინტერესოს, იქნება ქართული ფილმი. ქართველ რეჟისორს არავინ დაპატიჟებს საფრანგეთში ფილმის გადასაღებად, მაგრამ ქართული ამბები აინტერესებთ. რაც შეეხება ქვეყანას, ჩვენ ძალიან

ბევრი პლუსი გვაქვს. ეს არის ბუნება, არქიტექტურა, კინოს კულტურა; ზოგ სფეროში ძალიან პროფესიონალი კადრები, იაფი ჯგუფი, შრომისმოყვარე ტექნიკური პერსონალი, დაბალი გადასახადები, დაბალი ბიუროკრატია და ა.შ.

თქვენ, რომელიც შიგნიდან იცნობთ ფრანგულ კინორეალობას, რით განასხვავებდით ფრანგული ახალგაზრდული კინოს, დანარჩენი მსოფლიოსა და ქართული ახალგაზრდული კინემატოგრაფისგან?

საფრანგეთში თაობებში არის უთანხმოება. ასაკოვანი პროდუსერები ახალგაზრდებს მხოლოდ სტაჟორებად ეძახიან. მაგრამ ტექნიკა და დაფინანსების მეთოდები იმდენად სწრაფად ვითარდება, რომ ძალიან ბევრი ახალგაზრდა ახერხებს იმას, რაც 10 წლის წინათ წარმოუდგენელი იყო.

მაგალითად, მე სრულმეტრაჟიანი ფილმი 2 000 ევროდ გადავიღე. ჩემმა თანაკურსელმა – 4 000 ევროდ, ოღონდ მონაკოში. შემდეგ ეს ფილმები გადის კინოთეატრებში. დღეს ფრანგი ახალგაზრდები ფილმებს იღებენ, სადაც რეჟისორიც თვითონ არიან, მემონტაჟეც და ოპერატორიც. ამას ემატება ტექნიკის პროგრესი.

კამერა, რომლითაც „კარიბის ზღვის მეკობრეები" გადაიღეს დღეს 3 000 დოლარი ღირს. ტექნიკა ისე სწრაფად ვითარდება, რომ ფასები იკლებს. ასევე ჩნდება დაფინანსების ალტერნატიული წყაროები. მაგრამ უფროსი თაობის პროდუსერებს ეს არ ესმით და ამაზე სულ არის საუბარი.

საერთოდ ფრანგებს ძალიან კარგი სკოლა აქვთ და ძალიან ნიჭიერი ერია. ლუკ ბესონს ძალიან უყვარს ჩვენი სკოლა და თუ ფილმს იწყებს, ბევრ სტუდენტს ასაქმებს საპასუხისმგებლო პოზიციებზე. ჩემი თანასკოლელი ჯერ კიდევ სტუდენტი იყო, როდესაც სპილბერგის ფილმზე მიიწვიეს სამუშაოდ ხმის ჯგუფში. ერთმა „ბეთმენზე" იმუშავა. ასეთი მაგალითი ბევრია.

რაც შეგვეხება ჩვენ, განათლების დონით ალბათ ერთ-ერთ ბოლო ადგილზე ვართ მსოფლიოში. რამდენიმე ქართველი ოპერატორი ვიცი, რომლებიც თავისი ნიჭითა და ოსტატობით ათი თავით უფრო მაღლა დგანან, ვიდრე ფრანგი ოპერატორების უმეტესობა, მაგრამ ისეთი რაღაცები არ იციან, განსაკუთრებით ციფრულ ტექნიკაში, რომ პარიზში პირველ კურსელს შერცხვება.

[ლელა ოჩიაური]

ხელმწიფე წრომში

დოკუმენტური კინოს თანამედროვე დოკუმენტალისტიკის, დოკუმენტური კინოს ფესტივალების, შალვა შენგელის დოკუმენტური კინოსურათის „ხელმწიფეს" შესახებ საუბრობენ ფილმის სცენარის თანაავტორი და საზოგადოებრივი მაუწყებლის დოკუმენტური ფილმების სტუდიის სცენარისტი ნინო ჩუტკერაშვილი და კინომცოდნე ნინო ნატროშვილი.

ნინო, მოდი ჯერ ვთქვათ, რა არის დოკუმენტური ფილმი. შენ როგორ წარმოგიდგენია?

ალბათ ეს არის სინამდვილის ასახვა ფაქტებით. ოღონდ, თუ მაღალფარდოვნად არ გამომივა, ეპოქის გადასახედიდან და აუცილებლად რაღაც დამოკიდებულებით. იმ სივრცესა და სინამდვილეში უნდა ვიტრიალოთ, რაზეც ვმუშაობთ. დოკუმენტურ კინოში შეიძლება ავტორის ფანტაზია იყოს ნაკლები, მაგრამ აუცილებლად ბევრი უნდა იყოს ფიქრი და განსჯა იმაზე, რასაც ეძღვნება ფილმი.

მე საგანგებოდ ვთქვი ფილმი. დოკუმენტურ, რეალურ ფაქტზე აგებული ამბავი, რომელსაც ექნება დასაწყისი, განვითარება და დასასრული. სხვა მხრივ, რაც უნდა საოცარი კადრები გადაიღო, უიშვიათესი ფაქტები ასახო, საინტერესო ადამიანები გამოაჩინო, ფილმი არ იქნება. მხატვრულ კინოში ამის მიღწვა უფრო ადვილია, იღებ ამბავს და ყველა მოქმედებას შენს ნებაზე წარმართავ. ახლა გადაღება საოცრად გაი-

ოლდა, გადაღება კი არა, აღბეჭდვა, მონტაჟიც, უფრო სწორად, კადრის კადრზე მიწებება, და ასეთ ნაწარმს იხსენიებენ ფილმად? დოკუმენტურ ფილმშიც აუცილებელია, რამე ამბავი იყოს?

დოკუმენტური კინო მრავალფეროვანია. ზოგჯერ გაქვს ეს ამბავი თავისი კულმინაციითა და კვანძის შეკვრა-გახსნით, მაგრამ ზოგჯერ არა. ყველა შემთხვევაში, ანალიზით უნდა მიუდგე თემას, ფორმაში მოაქციო და საჭირო მიმართულებით წაიყვანო. აქ გჭირდება ანალიტიკური აზროვნება და გააზრება, რატომ აკეთებ, რას აკეთებ, საიდან ხედავ და საიდან აჩვენებ ამას მაყურებელს. უამრავი სტილისა და ფორმის დოკუმენტური ფილმი არსებობს. დღეს ძალიან მოდაშია ეგრეთ წოდებული ლაივდოკი ბოლოს თბილისში ჩატარებული „სინედოკის" ფესტივალის გახსნაზე დიდი სიამაყით განაცხადეს, – მხოლოდ ცოცხალ დოკუმენტურ ფილმებს ვაჩვენებთ და აქ არ იქნება, დიქტორის მოსაწყენი ტექსტი და კინოქრონიკით გადაფარული კადრებიო. ამ ტიპის დოკუმენტური ფილმები, ასე ვთქვათ, ირონიით მოიხსენიეს, რაც არ მომეწონა. მსოფლიო ისტორიის უამრავი ამბავი სწორედ ამ ჟანრმა გააცოცხლა. რამდენიმე ცნობილი უცხოური არხი მხოლოდ დოკუმენტურ ფილმებს აჩვენებს და მაყურებელიც ბევრი ჰყავს. მათ უდიდეს შემეცნებით მნიშვნელობაზე აღარაფერს ვამბობ.

– საინტერესო და მაღალმხატვრული ფილმი შეიძლება იყოს ნებისმიერი ჟანრის, ნებისმიერი ხერხით გადაღებული, დიქტორის ტექსტით, რესპონდენტების მონათხრობით თუ უტექსტოდ. ამაზე მსჯელობა არ ღირს. ალბათ ყველაზე მთავარი არის იდეა. თუ ისტორიულ თემას ვეხებით, აუცილებლად ტექსტზე უნდა ავაწყოთ და აუცილებლად ავტორის ტექსტი უნდა გვქონდეს ფილმში, ანდა ჩავწეროთ ინტერვიუები, რომელიც აგრძელებს ქრონომეტრაჟს, მოსაწყენს ხდის და ვიზუალურად აღარიბებს ფილმს. დამკვიდრებულია, აგრეთვე, ამათუიმ ეპიზოდის მსახიობების მონაწილეობით გაცოცხლება. სხვანაირად წარსულის მოვლენას ვერ ასახავ, გამორიცხულია. თუ თემა არის ისეთი, რომელიც უკვე უამრავჯერ სხვასაც აქვს გადაღებული და მოთხრობილი, იმ თემაშიც ისეთი რამ უნდა იპოვო, რაც ახალია. სასურველია, ექსკლუზიური იყოს.

ყველაზე რთული დოკუმენტურ კინოში არის დრამატურგია. ლაივდოკის ფორმა ერთგვარი გამოსავალია და მეტ-ნაკლებად ეფექტური ფილმი გამოდის, რადგან კონკრეტულ ამბავს ეხება და ბუნებრივად აქვს განვითარება, კულმინაცია და დასასრული. ბევრად რთულია, ისტორიულ ეპოქაზე მუშაობა. ფილმს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება" თან გადავყევი. ალბათ ამდენი არ მიშრომია არაფერზე, ზღვა მასალა და რუტინული საქმე იყო. უზარმაზარი მასალის დამუშავება, მილიონჯერ გადამუშავება დამჭირდა. იყო მნიშვნელოვანი ამბები, მაგრამ კულმინაციას ვერ ვპოულობდი.

კულმინაცია თვით წერა-კითხვის საზოგადოების შექმნაა.

საოცრად გამიჭირდა დრამატურგიის მოძებნა ფილმში „ხელით წერილი განძი", ხელნაწერთა ცენტრზე. მასალა იყო უძვირფასესი, მაგრამ, როგორ უნდა აგვეწყო ფილმი, ურთულესი საქმე გამოდგა, ამბავი არ გვქონდა.

კარგი ღერძი იპოვეთ, ძველი წიგნის რესტავრაცია, ეტრატის დამზადება.

არ შეიძლება ყველა ფილმი ერთნაირად განვიხილოთ, ბიოგრაფიულ თუ

ისტორიულ ფილმს სხვა პარამეტრებით უნდა მივუდგეთ. ასევე, ურთულესია ბიოგრაფიული ფილმი.

ბიოგრაფიულ ფილმსაც თავისი შტამპი დაედო. ძალაუნებურად უნდა მიჰყვე ცხოვრების გზას. შეიძლება ერთი-ორი ეპიზოდი გადაადგილო, ერთი მხარე გამოყო, მეორე გაკვრით ახსენო, მაგრამ მთლიანად ვერ დაშლი. ასეთივეა სქელტანიანი ბიოგრაფიული წიგნები. ვისაც ესათუის ეპოქა და პიროვნება აინტერესებს, კითხულობს ამ წიგნს. ალბათ ფილმსაც ნახავს.

დრამატურგიის პრობლემა ჩვენ კი არა, უამრავ ფილმს აქვს, რომლებსაც ფესტივალებზე აჩვენებენ. სულ ელოდები, რომ ბოლოში იქნება ფინალი, მაგრამ არ არის. იშვიათია, ასეთი მოქნეული ფინალი.

შევუდგეთ მთავარ საკითხს, რის გამოც შევხვდით. ფილმი „ხელმწიფე“: სცენარის ავტორები ხართ ნინო ჩუტკერაშვილი და შალვა შენგელი, რეჟისორი შალვა შენგელი, ოპერატორები: გიორგი სიგუა, კახა ბუხრაშვილი და ბესო გაფრინდაშვილი, კომპოზიტორი ზურაბ ჯავახია. ეს არის ცოცხალი მასალით აგებული დოკუმენტური ფილმი. ასეთ დროს როგორ უნდა დაიწეროს სცენარი, აქ ხომ მთლიანად ყოველდღიური ცხოვრებაზე, მოვლენებზე ხარ დამოკიდებული.

ზუსტად ეს ფილმია ლაივდოკი. საერთოდ, როგორ მივედით ამ თემასთან. სტუდიაში წელიწადში ორჯერ გვაქვს, ასე ვთქვათ, იდეების განხილვა და შიდა შემოქმედებით საბჭოზე წყდება, რაზე ღირს მუშაობა და რაზე არა. რამდენიმე თემა მქონდა. ბოლოს შევჩერდით მუზეუმებზე. მსოფლიოს ყველა მუზეუმზე არსებობს ფილმები და საქართველოში ეს თემა არ იძვრის. მოკლედ, ითქვა, – მოდი, ისეთი მუზეუმი ვნახოთ, რომელიც განსხვავებულიაო. ვახსენეთ, სტალინის მუზეუმები რომ აქვთ სახლში მოწყობილი. ზუსტად იმ დროს ჩემს სოფელში, რომელიც არის ხაშურის რაიონის სოფელი წრომი, ხდებოდა ასეთი რამ და ამბად მოვუყევი კოტე ჯანდიერს, შალვა შენგელსა და გოჩა ჟორჟოლიანს. სოფლის ყოფილი კანტორის შენობა ეკლესიას გადაეცა და დედათა მონასტერი გაიხსნა. იმ ეზოში ჩემი ბავშვობიდან დგას სტალინის ძეგლი. ყველგან აიღეს ძეგლები, გორშიც კი. იქ მაინც დარჩა და არავინ აქცევდა ყურადღებას. ბოლოს სტალინი მონასტრის ეზოში აღმოჩნდა და მღვდელმა სთხოვა მოსახლეობას, მოდით, ეს ძეგლი ან ავიღოთ, ან გადავიტანოთო. ატყდა ერთი ამბავი, ზოგი საოცრად წინააღმდეგი წავიდა. შეიქმნა მარაზმული სიტუაცია. მოდი, მაგაზე გადავიღოთ ფილმიო, თქვა შალვამ. რადგან ჩემი სოფელია, თითქმის ყველას ვიცნობ და ყველა ახლობელია, გამიადვილდა მუშაობა, თანაც ეს ამბავი სულ ახალი დაწყებული იყო, ჯერ არც მონასტერი იყო შექმნილი და ძეგლიც ისევ იდგა. წავედით და მივყევით მოვლენებს.

სცენარი გქონდათ დაწერილი?

ფილმს სცენარი არ ჰქონია. ზუსტად ვიცოდით, რა გვინდოდა და გვქონდა რამდენიმე ვარიანტი, რა მიმართულებით წავსულიყავით. ვაპირებდით ორი პოზიციის ჩვენებას, ასე ვთქვათ, სტალინისტებისა და ეკლესიისტების. ეს ორი ხაზი უნდა ყოფილიყო. ინტერვიუებიც ჩავწერეთ ორივე მოსაზრების. ავსახეთ სოფლის ცხოვრებაც, მოვლენები და ცხადია, პრობლემები, რომლებიც სოფელს ჰქონდა, წყალი რომ არ არის, გზა კი ახლა გაკეთდა.

პროვოცირებას უკეთებდით რამეს? კრება თქვენი პროვოცირებულია?

კრების ჩატარებას ისედაც აპირებდნენ, საკითხი სხვანაირად ვერ გადაწყდებოდა. შეიძლებოდა კრება სოფლის ბირჟაზეც გამართულიყო, მაგრამ ჩვენი ინიციატივით ეს მოხდა შენობაში. ფილმში არის კადრი – ქალი ფანჯარას წმენდს და დარბაზს ალაგებს. ათი წელი იქნებოდა, შენობა არც გაღებულა, არც ვინმე შესულა. ზუსტად იქ წავაწყდით სტალინის ძეგლზე მოტეხილ ხელს, რაფაზე, ფარდის უკან იყო მიგდებული, აბლაბუდებში გახვეული. ხელი ფილმის ერთ-ერთი დეტალი გახდა. სხვათა შორის, უკუღმა დაამაგრეს, მაგრამ ჩემს ბავშვობაშიც ასე იყო. ამას არა აქვს მნიშვნელობა. რა თქმა უნდა, ვფიქრობდით, რა გადაგვეღო და როგორ გადაგვეღო. ბოლო მონოლოგები შალვას მოფიქრებულია.

მართალი გითხრა, ეგ ნაკლებად მომეწონა. ცოტა ხელოვნურად შემოვიდა, რაც უკვე ნათელია.

მუშაობისას გვქონდა განსხვავებული აზრიც. მე მინდოდა კრების გადაწყვეტილება ბოლოში გადაგვეტანა, თითქოს კულმინაცია ფილმის შუაშია და არა ბოლოში. მაგრამ შალვამ არჩია, – ისე გავყვეთ მოვლენებს, როგორც წავაო. ალბათ ესეც სწორია.

რეჟისორი რას აკეთებს ასეთ დროს?

ასეთი სტილის ფილმის გადაღებისა და მონტაჟისას რეჟისორი უმნიშვნელოვანესია. შალვა ფილმის თანაავტორია. ჩვენი ფუნქციები მკაცრად გამიჯნული არ ყოფილა. „ხელმწიფეში" ოპერატორის ნამუშევარია ძალიან მნიშვნელოვანი, ზოგი ეპიზოდი გიორგი სიგუამ თვითონ გადაიღო. არც მე ვახლდი და არც შალვა. გადაიკიდებდა კამერას და დადიოდა უბან-უბან. იმ დროს თვითონ იყო ავტორიც, რეჟისორიც, ოპერატორიც. არაჩვეულებრივი მასალა მოჰქონდა. ამ მხრივ, ძალიან საინტერესო და შემოქმედებითი ატმოსფერო გვქონდა.

მეც საგანგებოდ აღვნიშნავ რეჟისორის ოსტატობას. ასე მგონია, მისი სამეტყველო ენა, კინოენა, ქაღალდზე შესაბამისად რომ გადმოვიტანოთ, ლიტერატურულად სრულიად გამართულ, მხატვრულ ნოველას მივიღებთ. ინტერვიუების, დიალოგის ფრაგმენტების, მეტაფორებისა თუ შედარებების მონაცვლეობა მთავარ აზრს ემსახურება, ოღონდ არ არის არანაირი პათეტიკა და ძალდატანება. ბევრ ღირსებასთან ერთად თხრობის ისეთი რიტმია არჩეული, ცხოვლად შეიგრძნობ აპათიასა და უმოქმედობას, რაც სოფელშია გამეფებული. თანაც ეს რიტმი მხოლოდ კადრების სიგრძით არ მიიღწევა. გრძელი კადრებიც ხომ მოსაწყენი ხდება. აქვე ვიტყვი, ჩემთვის ნამდვილი აღმოჩენა იყო შალვა შენგელის ფილმი „უცნობი ჯარისკაცები". მისი პროპაგანდისტი გავხდი, ბევრს ვურჩიე ენახა და ბევრსაც ვაჩვენე. აი, იმ ფილმის რიტმი სრულად განსხვავებულია – ცხადია, თემის შესაბამისი. „ხელმწიფეში" ბევრი მეტაფორაა, მაგრამ ერთი კადრი მახსენდება. თეთრი ბატი მოდის მტვრიან შარაზე. მოდის ბაჯბაჯით, ნელა, თავაწეული. არაჩვეულებრივია, სიმბოლური. თითქოს იქაურობის სულს გამოხატავს. თუმცა მერე კლავენ იმ ბატს და პუტავენ. რატომ?

რა გვექნა, მართლაც დაკლეს. ჩვენ არ ჩავრეულვართ. კრებაზე ერთი

ახალგაზრდა კაცი ამბობს, – ადრე ამ კლუბში დისკოთეკებზე დავდიოდით, ვერთობოდით; ახლა ყველგან აღადგინეს კულტურის სახლები, ჩვენთან კი მაინცდამაინც მონაზვნები შეასახლესო. ფილმიც ზუსტად ამაზეა. ორადორი არჩევანი აქვს მოსახლეობას – ან ეკლესია ან სტალინი, შუაში არაფერია, სოფლებში სამოქალაქო ცხოვრება არ არის.

მერე, ვინ შეიტანს სამოქალაქო ცხოვრებას, სხვამ უნდა აჩუქოს? თვითონ ხომ არსებობენ. განა მათი პასიურობის ბრალი არ არის? ჩემში ფილმმა ბევრი ფიქრი აღძრა. პირველად ანონსი რომ მოვისმინე, აღვიქვი, როგორც ფილმი სტალინზე. სტალინზე ფილმები ძირითადად ერთი შტამპით კეთდება, ამიტომ არ დავინტერესდი. როდესაც ბოლოსდაბოლოს დავჯექი და საფუძვლიანად ვნახე, აღმოვაჩინე, რომ სტალინზე კი არაა, არამედ დღევანდელობაზე, ადამიანთა უინიციატივობაზე, უმოქმედობაზეა და ეკლესია როგორ იპყრობს ტერიტორიას, სოფელს და იპყრობს შრომით. ესეც მნიშვნელოვანია. მღვდელი და მონაზვნები შრომობენ და საქმეს აკეთებენ, როცა სხვები ყაყანებენ. სოფელსაც ეტყობა, როგორი მოუვლელია. ისიც მომწონს, რომ დასკვნები არ გამოგაქვთ, არც არავის ადანაშაულებთ და პატივს სცემთ ადამიანთა დამოკიდებულებას სტალინისადმი.

ეგ არის ყველაზე მტკივნეული თემა და თავის მართლება ბევრჯერ მომიხდა. ჩემს ორივე პაპას ძალიან უყვარდა სტალინი და როგორ მოვიქცე? მიუხედავად იმისა, რომ ერთი პაპა 25 წელი იყო გადასახლებული, მაინც სტალინზე აბოდებდა.

განა დღეს, თითქოსდა განათლებულ საზოგადოებას არ გვყავს კერპები? ბრმა სიყვარულისა თუ სიძულვილის ობიექტი? საძულველი კერპიც ხომ არსებობს? პოლიტიკური მოღვაწე, ეკლესიის მსახური. ერთისთვის საძულველი, მეორისთვის სათაყვანებელი. კარგია, რომ არავის ტუქსავთ – რატომ გახსოვს სტალინიო?

ეს კითხვა რამდენიმე ფესტივალზე დამისვეს, მათ შორის – უკრაინასა და ბალტიისპირეთში. განსაკუთრებით გერმანიაში. მათთვის სიურპრიზი იყო, რომ ხალხს უყვარს სტალინი. მათი წარმოდგენით, ისევე უნდა სძულდეთ, როგორც ჰიტლერი სძულთ.. ხშირად მეკითხებიან, – რეალურად მიგაჩნიათ, რომ სტალინი ვიღაცას უყვარდა იმ სოფელშიო? არარეალურად არ მიმაჩნია. რა არის ამაში დაუჯერებელი?!
ამ ფილმის თავისებურება, რაც მახარებს, კიდევ ისაა, რომ ყველა აუდიტორია თავისებურად აღიქვამს. უკვე 12 თუ 13 ქვეყანაში ვაჩვენეთ. რუსეთში ჰქონდათ საოცრად დადებითი რეაქცია. ეგონათ, იმ დონეზე ვთქვით უარი საბჭოთა წარსულზე, რომ 9 მაისიც გავაუქმეთ და მეორე მსოფლიო ომში მონაწილეები დამნაშავეებად გამოვაცხადეთ. როცა ნახეს ფილმი, სადაც ხალხი მეტ-ნაკლებად დადებითად ლაპარაკობს სტალინზე, ეს მათთვის საოცრება იყო.

რუსეთში სად აჩვენეთ?

ეკატერინბურგში ფესტივალზე, სადაც ორი პრიზი მოგვცეს, მაგრამ, იმედია, სტალინის გამო არა. ფილმი მოეწონათ. პრაქტიკულად, ეს არის საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი ფილმი, რომელიც უცხოეთში გაიყიდა. იყიდა „ალ ჯაზირა ბალკანეთმა“ და 1 და 17 ნოემბერს გავიდა ეთერში. რვა ქვეყანაში ნახეს. ექვსჯერ დატრიალდა ანონსი.

არა. „ხელმწიფე“ ნამდვილად ფილმია. მგონი, ეს ყველაზე დიდი კომპლიმენტია. ის არის ფილმი, კინემატოგრაფიული ნაწარმოები, რომელიც დაგაფიქრებს. ამიტომაც მოიარა ამდენი ფესტივალი. როგორ დაიწყო? დოკუმენტური კინოსთვის ეს არცთუ გაკვალული გზაა.

ფესტივალები, გაყიდვა, დისტრიბუცია, ჩემთვის იყო სიბნელე, წარმოდგენა არ მქონდა. აპლიკაციის შევსებაც არ ვიცოდი. მაგრამ მირჩიეს, – ფესტივალებზე გააგზავნეო, და მოვკიდე ხელი, ბევრი რამ ვისწავლე და ისევ ვსწავლობ. კიდევ რამდენიმე ფესტივალი ელოდება. ნოემბერში არის ვილნიუსის ფესტივალი, მერე ჰააგაში და 11 დეკემბერს ვენაში. ფილმის საფესტივალო ცხოვრება ძირითადად ორ წელიწადს გრძელდება და ალბათ მალე დასრულდება. შემდეგ სპეციალურ ჩვენებებზე თუ დაპატიჟებენ.

კარგია, ეს რომ თქვი. ახალგაზრდებმა იციან, რომ თვითონ უნდა გაიკაფონ გზა, გადასაღები თანხის შეგროვებასაც ახერხებენ და შემდეგ ფილმის გატანასაც. ბევრი, მათ შორის მეც, ძველ დროში ვართ ჩარჩენილები. თუ შემომთავაზებენ, ვიმუშავებ, თავად ასეთ ინიციატივას არ ვიჩენ. თუ ფილმი რომელიმე ფესტივალზე მოხვდა, უდიდეს ჯილდოდ ითვლება და ავტორები ზედმეტად იწონებენ თავს. თითქოს შეფასების მთავარი კრიტერიუმი ფესტივალზე მოხვედრაა. რა თქმა უნდა, კარგია გასვლა, სხვა ფილმების ნახვა, შენი ფილმის შეფასების მოსმენა... კიდევ რა?

ფესტივალი ძალიან კარგია, პირველ რიგში – ურთიერთობის დასამყარებლად. ასევე ხვდები, რომ ძალიან პატარაა ჩვენი სამყარო. ანთროპოლოგიური ფილმების ფესტივალებს მსოფლიოს ვიდეომუზეუმს ეძახიან. მართლაც ასეა. მეტად განსხვავებული და საინტერესო ადამიანების ცხოვრებას ნახულობ ამ დოკუმენტურ ფილმებში. მერე ხვდები, რომ მათთან საერთო მეტი გვაქვს, ვიდრე განმასხვავებელი. რა თქმა უნდა, ეს მნიშვნელოვანია.

ამავე დროს, საფესტივალო კონკურსებზე დიდ მღელვარებაც მიწევს. განსკუთრებით, თუ ფილმი კონკურსში მონაწილეობს და ხედავ, რომ ღირსეული კონკურენტი გყავს. მაგრამ ზოგჯერ ისეთ ფილმს გაუმარჯვია, რომელზეც გითქვამს, – არა, ეს არ იქნება ჩემი კონკურენტი. და უცებ ფილმი, რომელიც არავის არაფრად მიაჩნდა, იღებს პრიზს. მეც ვიყავი ჟიურიში. არ ვიცი, ჩვენი ჟიური მუშაობდა ასე, თუ ზოგადად ასე მუშაობენ, მაინცდამაინც ცხარე კამათი არ გვქონია. ვცდილობდი, კამათი წამომეწყო, მაგრამ ვერ მოვახერხე. საბოლოოდ, ისე მიანიჭეს პრიზი, რომ მე და კიდევ რამდენიმემ არაკომფორტულად ვიგრძენით თავი. მექსიკაში გამაფრთხილეს, – არსად წახვიდეთ, დაჯილდოებას უნდა დაესწროთო. გამოვიპრანჭე, სარკის წინ ვიმეცადინე, როგორ მეთქვა სამადლობელი სიტყვა. მივედი დარბაზში, სადაც ხორხე ფონსი და კოსტა გავრასი სხედან. ეკრანზე გადის ფესტივალის მიმოხილვის ვიდეო. აჩვენეს ის ორი დიდი რეჟისორი. აი, მეც გამომაჩინეს და დავიჯერე, – მორჩა, მე ვარ აქ დედოფალი და ნეტავ კარგად მემეცადინა სამადლობელი სიტყვა სარკის წინ, ვაითუ დავიბნე-მეთქი. გამოვიდა ჟიურის თავმჯდომარე ფრანგი და გამარჯვებულად გამოაცხადა პორტუგალიური ფილმი. როცა ის ფილმი ვნახე, თავი დავიმშვიდე, – ოჰ, ეს ნამდვილად არ არის ჩემი კონკურენტი-მეთქი. იქ მართლაც იყო კარგი ფილმები, რომლებიც უფრო მეტად იმსახურებდნენ ჯილდოს. ასე ხელცარიელი დავრჩი. ახლა ვხუმრობ, მაგრამ იქ ისე ავღელდი, რომ სიცხემ ამიწია და ბანკეტზე აღარ წავედი.

ფილმის ფესტივალზე მოხვედრაც ძალიან საინტერესო თემაა. იქ ძირითადად ეგზოტიკური ფილმები აინტერესებთ ან უკიდურესი სოციალური სიდუხჭირე. რაც უფრო მეტ ტალახს, ჭუჭყსა და საცოდაობას აჩვენებ, მით უფრო მოსწონთ.

მართლაც, ასეა. გახსოვთ, ნინო კირთაძის ფილმი სამეგრელოში დაკრძალვაზე?

ჩვენ მეტ შანსს არ გვაძლევს საერთაშორისო სამყარო. სამწუხაროდ, ასეა. მინდა გიამბოთ ერთ არაჩვეულებრივ ფილმზე, რომელიც აფხაზურ თემაზეა – „დომინოს ეფექტი“. აფხაზეთზე არსად არაფერი გადის. რუსეთის არხები, რომლებზეც ხელი მიმიწვდება, არსად აფხაზეთს არ ახსენებენ. ფილმი გადაიღო პოლონელმა ცოლ-ქმარმა ელენე ნურივამ და პიოტრ როსოლოვსკიმ. ბერლინის კინოსკოლის დაფინანსებულია.

აფხაზებმა სოხუმში დომინოს მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარება გადაწყვიტეს. ელენე და პიოტრი სტუდენტები იყვნენ და წავიდნენ ამ ჩემპიონატზე იუმორისტული ფილმის გადასაღებად. წააწყდნენ საინტერესო პიროვნებას, აფხაზეთის კულტურისა და სპორტის მინისტრს, რაფაელს, რომელსაც ცოლი ჰყავს რუსი. ის ოპერის მომღერალია და უნდა, მონაწილეობა მიიღოს იტალიის კონკურსში აფხაზეთის სახელით. მაგრამ მინისტრის ცოლს უფლებას არ აძლევენ, რომ აფხაზეთის სახელით გამოვიდეს, რადგან აფხაზი არ არის. ამ ცოლ-ქმრის ურთიერთობაზეა ფილმი. ცხადია, დომინოს ჩემპიონატიც ჩანს.

ალბათ, მე მეჩვენა საინტერესოდ, რადგან ჩემი ოჯახის ტკივილიცაა.

აფხაზები ისე ცხოვრობენ, თითქოს დედამიწაზე საქართველო არ არსებობს. სრულიად იგნორირებულნი ვართ. მხოლოდ ერთხელ, რაფაელი ფეხმძიმე ცოლს ეუბნება, – შვილს ავთანდილი უნდა დავარქვაო. ცოლი ჰკითხავს, – ეგ რა სახელიაო? ქმარი ეტყვის, – ქართულიო. ესაა ერთადერთი, როცა სიტყვა საქართველოს ახსენებენ. მაგრამ სხვა რამეც ირკვევა, როცა რაფაელი დას ელაპარაკება. მათი ცხოვრებიდან თვით აფხაზეთია გამქრალი. არადა, ორივე იბრძოდა, მაგრამ ვერ მიაღწიეს, რაც უნდოდათ. სულ სხვა სურდათ და სხვა მიიღეს. დასაც გაუმრუდდა ცხოვრება. საბოლოოდ, ცოლი ტოვებს ოჯახს, აფხაზეთს და მიდის. იმ გარემოში, სრულ იზოლაციაში ვერავინ ძლებს და გარბის. ფილმი იწყება ცოლის სიტყვებით, – ჩემთვის სიყვარულს ჰქონდა ზღვის სუნი; მერე ეს სუნი გაქრა, რადგან იქ ყოფნა გაუსაძლისია.

ფილმი პირველად ერევანში ვნახე. მეორე წელს ჩვენი „სინედოკის“ დირექტორთან გავუწიე რეკომენდაცია, მოიწვიეს, მაგრამ, რაფაელის თხოვნით, პროგრამიდან ამოიღეს, – არ მინდა, თბილისში ნახონო. მერე ელენამ გერმანიაში პრიზი აიღო და სამადლობელ სიტყვაში რამდენჯერმე ახსენა, – აფხაზეთი – ესაა აუღიარებელი სამოთხე ზღვის სანაპიროზეო. ძალიან შევწუხდი, მართალია მივულოცე, გულით გამიხარდა, რომ გაიმარჯვეს, მაგრამ თავი ვერ შევიკავე და ვუსაყვედურე, რომ აფხაზეთი ასე მოიხსენია და არ ახსენა საქართველო, არ თქვა, რატომ არიან იზოლაციაში. ძალიან ვღელავდი, მეტირებოდა. ისიც აღელდა, განიცადა, ბოდიშს მიხდიდა. დღეს მრცხვენია ასეთი საქციელის, ჩავაშხამე სიხარული. მაგრამ გავიხარე, რომ ერთი წლის შემდეგ კიევის უდიდეს ფესტივალზე, „დოკუდეისზე“ „დომინოს ეფექტი“ სპეციალურ ქართულ სექციაში „ჯორჯია ეფექტში“ ჩასვეს „ხელმწიფესა“ და ნინო ორჯონიკიძისა და ვანო არსენიშვილის „ინგლისურის მასწავლებელთან“ ერთად. ელენა თანახმა რომ არ ყოფილიყო, არ ჩასვამდნენ. ახლა მინდა ბოდიში მოვუხადო, ჩემი აფეთქების გამო. მოკლედ, „დომინოს ეფექტში“ ბევრი რამ არის ისეთი, რაც ჩვენ საშინლად შეგვძრავს, მაგრამ აუცილებლად უნდა ვნახოთ. კარგად გადაღებული და აწყობილი ფილმია.

ეკატერინბურგში რა პრიზები აიღეთ?

ერთი იყო ანთროპოლოგთა კონგრესის, ანუ მაყურებლის სიმპათიის პრიზი და გრან პრი. ჰოლანდიაში ტარდება ადამიანთა უფლებების დაცვისადმი მიძღვნილი ფილმების ფესტივალი Movies That Matter. გავხსენი თუ არა მათი აპლიკაცია ვებგვერდზე – ქვეყნების ჩამონათვალში, პირველი ამოვარდა „აბხაზია“. გავგზავნე ჩემი აპლიკაცია, მაგრამ გულმა არ მომითმინა და მივწერე: აფხაზეთი არ არის დამოუკიდებელი ქვეყანა, ევროსაბჭო, ევროკავშირი, თქვენი სახელმწიფოც აღიარებს საქართველოს ერთიანობას, ამიტომ პატივი ეცით ამ გადაწყვეტილებას. რამდენიმე საათში მივიღე პასუხი, – აუცილებლად გადავხედავთ ჩვენს აპლიკაციასო. ვაპირებ თვალი მივადევნო. მაგრამ ამას ხომ სახელმწიფო უნდა პატრონობდეს და კერძო შემთხვევის იმედად არ იყოს დარჩენილი.

დიდი ბრძოლა გქონია გაჩაღებული. ისევ ფილმებს დავუბრუნდეთ. მაყურებელი ჰყავს დოკუმენტურ კინოს? მახსენდება სრულიად არაჩვეულებრივი მოვლენა – როგორ თხოულობდნენ რეზო თაბუკაშვილის ფილმების ნახვას კინოდარბაზში, ვიდრე ტელევიზია გაუშვებდა. ასეთი ინტერესი იშვიათია.



მე, როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის დოკუმენტური ფილმების სტუდიის სცენარისტი, ხშირად ვფიქრობ ტელედოკუმენტალისტიკისა და კინოდოკუმენტალისტიკის განსხვავებაზე. მათ შორის ზღვარი წაიშალა თუ არა? ერთ ფაქტს გავიხსენებ. ლაიფციგში კინოფესტივალზე დავესწარი შემოქმედებით დისკუსიას. იქ იყვნენ დეკერტი, უდიდესი სადისტრიბუციო ფირმის მეპატრონე, რომელიც ყიდულობს და ყიდის დოკუმენტურ ფილმებს და ფრანგული „არტეს" დირექტორი ქალბატონი, სამწუხაროდ, სახელი არ მახსოვს. რეჟისორები ამბობდნენ, – ჩვენ კინოს ვაკეთებთ, კინოსა და ტელევიზიის პრინციპი სხვადასხვაა; ჩვენ ვეძებთ სიღრმეს, აზროვნება გვინდა, პრობლემების დასმა და არა ზერელე რეპორტაჟებიო. ძალიან მშვიდად უსმინა „არტეს" დირექტორმა და მერე იკითხა: თქვენ, დოკუმენტალისტებო, მაგარი პრიზები რომ გაქვთ აღებული და თვლა რომ არა აქვს ფესტივალებზე თქვენს გამარჯვებას, მითხარით, რამდენ ხანს გქონდათ კინოდარბაზში დაყენებული თქვენი ტიტულოვანი ფილმები? ორი კვირა რომელმა გაქაჩეთო? გაისუსა ყველა. ბოლოს ხომ ყველა ჩემთან მოდიხართ, მე ვარ თქვენი შემკვეთი, მე მყავს თქვენი მაყურებელი, მე გიხდით თქვენ ფულს, ამიტომ, გინდათ თუ არ გინდათ, გაითვალისწინებთ იმას, რაც მე მსურს და ამიტომ თქვენი ფილმები მაინც არის ტელეფილმებიო. ვერავინ ვერაფერი უპასუხა. ასეცაა, ჩვენი ფილმები საბოლოოდ მაინც ტელევიზიაა.

არა მხოლოდ დოკუმენტური. მხატვრულ ფილმებსაც თითქმის ყველა ტელევიზიით ან კომპიუტერში უყურებს. ახლა ვთქვათ, რა გაქვს ხინჯად.

მუდმივი პრობლემაა ტექნიკური მხარე. დიახ, დოკუმენტურ კინოში მთავარი აზრია, მაგრამ ტექნიკურ ფაქტორსაც, გამომსახველობასაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ხმაზე აღარაფერს ვამბობ. შეიძლება ითქვას, ჩვენ ხმა არ გვაქვს. მაინც ბევრი გაკეთდა ამ ფილმის გასამართავად.



სამომავლოდ?

ძალიან მინდა გადავიღო ფილმი გოგონაზე, რომელიც პატარა ასაკში თხოვდება. მძიმე სტატისტიკაა, მაგრამ ცალმხრივად არ მინდა. არ მინდა, შორიდან, ზედაპირულად შევხედო. ვამბობთ, ცუდია, საშინელებაა, მეორე მხრივ, სხვა ამბებიც იჩენს თავს. ამით ახალგაზრდები სოფელში მკვიდრდებიან. არ შეიძლება, ქალაქისა და სოფლის ცხოვრება ასე განსხვავდებოდეს. ევროპაში სოფელშიც ცხოვრების ისეთივე დონეა, როგორიც ქალაქში. ვიდრე ჩვენს ქვეყანაში ეს მოხდება, სოფლიდან გამოიქცევა ხალხი. იქნებ ადრე გათხოვება სოფლში დარჩენისთვის საჭიროცაა. ამის შესასწავლად და გადასაღებად კი იქ წასვლა, იქ ცხოვრება, ოჯახის ნდობის მოპოვებაა აუცილებელი. უცხოეთში ზოგჯერ ფულსაც უხდიან ხალხს, ვისი გადაღებაც უნდათ და საოცრად ინტიმურ ეპიზოდებსაც აფიქსირებენ.

ცხადია, იქ უნდა იცხოვრო და ხალხთან ურთიერთობა გქონდეს. აქედან ვერ მიწვდები. „ხელმწიფეში" ასე კარგად იმიტომ გაქვს ატმოსფერო გადმოცემული, რომ კარგად იცნობდი, ისინიც გენდობოდნენ. საერთოდ, ჩვენს ეკრანს სოფლის ცხოვრება აკლია. სახელწიფოებრივი ფორმაცია ისე შეიცვალა, რომ ხალხისთვის არავის აუხსნია, რჩევა არ მიუციათ, როგორ იცხოვრონ. ამიტომ ელემენტარულ რამეში ვერ ერკვევიან.

საჭიროა, რომ გვქონდეს კარგი ამბავი, ჩართულები ვიყოთ მასში, ცოტა ხელიც შევუწყოთ, შევქმნათ რაღაც მიზეზი და მივყვეთ მის განვითარებას. ვნახოთ, რა გამოგვივა. სიუჟეტი საჭიროა დრამატურგიისთვის. საერთოდ კი ყველა ჟანრის ფილმი უნდა კეთდებოდეს და რაც შეიძლება ბევრი, რომ ვთქვათ – ჩვენ გვაქვს კინოდოკუმენტალისტიკა!

[ნინო ჭიაურელმა]

სვეც
რეპერტუარი

ქართული პროექტები უფრო ხშირად უნდა გამოჩნდეს საერთაშორისო კინობაზარზე

2015 წლის ოქტომბერში, თბილისში ევროპის საბჭოს ევროპული კინოს მხარდაჭერისა და განვითარების ფონდის – „ევრიმაჟის“ 140-ე სტრატეგიული სამუშაო სესია გაიმართა. საქართველო ფონდის 36-ე წევრად 2011 წელს მიიღეს და ამ თანამშრომლობის შედეგად რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. სესიისა და ფონდის საქმიანობის შესახებ გვესაუბრება „ევრიმაჟში“ საქართველოს წარმომადგენელი თამარ ტატიშვილი.

„ევრიმაჟში“ საქართველოს გაწევრიანების იდეა რამდენიმე წელი არსებობდა, მაგრამ წევრად საბოლოოდ 2011 წელს მიგვიღეს. მაშინ შენ იყავი საქართველოს ეროვნული კინოცენტრის დირექტორი. შეგიძლია, მოგვიყვე, რა უძღოდა წინ ამ მოვლენას და საერთოდ, რატომ არის მნიშვნელოვანი ფონდის წევრობა?

კინოცენტრში 2010 წელს მივედი. „ევრიმაჟთან“ მოლაპარაკებები უკვე დაწყებული, მაგრამ კომუნიკაცია იმ ეტაპზე შეწყვეტილი იყო, რადგან მათი მხარე მიუთითებდა რამდენიმე მნიშვნელოვან იურიდიულ პრობლემაზე, რომელთა გამო, საქართველო ფონდის წევრი ვერასდროს გახდებოდა.

რატომ იყო „ევრიმაჟის“ წევრობა მნიშვნელოვანი? ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ძლიერი ფონდია, რომელიც ფინანსურად უჭერს მხარს ევროპულ საავტორო კინოს. ამასთან, გარკვეული ხარისხის ნიშანიც არის. ხშირად ფესტივალის დირექტორები ითხოვენ „ევრიმაჟის“ დაფინანსებული პროექტების სიებს, თავიანთ ბაზაში ინახავენ და სელექციის დროს ყურადღებას აქცევენ, არის თუ არა ფონდი დამფინანსებელთა ნუსხაში. ასე რომ, მნიშვნელოვანი იყო როგორც ფინანსური, ისე სტრატეგიული კუთხით, გავმხდარიყავით საავტორო კინოს ევროპული ოჯახის წევრი.

ფონდის აღმასრულებელ დირექტორ რობერტო ოლასთან შეხვედრისას გავარკვიე, რომ უნდა მოგვეგვარებინა საერთაშორისო სამართლის რამდენიმე საკითხი. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებისას აღებული პირობები ხელს უშლიდა საქართველოს „ევრიმაჟში“ გაწევრიანებას, რადგან ჩვენი ქვეყანა კულტურული პროდუქტით ვაჭრობას ე.წ. სპეციალურ რეჟიმს არ ანიჭებს (ეს რთული თემაა და დეტალური განხილვა ძალიან შორს წაგვიყვანს). მაგალითი რომ მოვიყვანო, საქართველო, პომიდვრისა და ხელოვნების ნაწარმის ყიდვა-გაყიდვას ერთი სტატუსით უდგება, GATT და GATS შეთანხმებებში აღებული ვალდებულებების მიხედვით.

კულტურის მინისტრ ნიკა რურუასთან ერთად გარკვეული სტრატეგია შევიმუშავეთ, ბევრი ვიმუშავეთ ჩვენ დიპლომატიურ წარმომადგენლებთან, რომ ეს სავაჭრო ვალდებულებები როგორმე შეგვეცვალა, რაც წარმოუდ-

ფოტო მაკა კუკულავა

გენელი აღმოჩნდა. საბოლოოდ, როგორც იურისტმა, მოვახერხე დამემტკიცებინა დე ფაქტო გარემოებები, რომლებიც „ევრიმაჟის“ 35-წევრიანმა გამგეობამ დე იურე დამაკმაყოფილებლად ჩათვალა.

2011 წელს თურქეთში ორ კოლეგასთან ერთად წარვდექი ფონდის წევრების წინაშე და შევეცადეთ დაგვემტკიცებინა ჩვენი წევრობის აუცილებლობა და მნიშვნელოვნება ევროპული კინოს ოჯახისთვის. ბევრი წინააღმდეგობა იყო, თუმცა აზრების სამსაათიანი გაცვლის შემდეგ მოწინააღმდეგე ქვეყნებიც დამშვიდნენ და რამდენიმე თვეში მოვიდა ნოტა, რომ ყველა ქვეყანა მხარს უჭერდა საქართველოს მიერთებას.

ძალიან საინტერესო საქმე იყო – სტრატეგიულად, იურიდიულად და შემოქმედებითად. ამ ნაბიჯის მნიშვნელობა ზოგმა ევროპელმა უფრო ღრმად გააცნობიერა, ვიდრე ზოგმა თავმომწონე ქართველმა.

რა შედეგი მივიღეთ ამ წლების განმავლობაში? რა მოგვცა ფონდის წევრობამ?

გაწევრიანებაზე მუშაობისას, ვიცოდი, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ევროპული კოპროდუქციის წახალისება იქნებოდა („ევრიმაჟში“ პროექტის დაფინანსების აუცილებელი პირობა კოპროდუქციის სტატუსია), რაც ფილმის საერთაშორისო წარმატების გარკვეული საწინდარია.

„ევრიმაჟის“ ზოგადი ტაქტიკით, ახალი წევრი პირველ 2 წელიწადს შეიძლება არ დაფინანსდეს, რადგან სექტორი ჯერ კიდევ არ არის მზად. მაგალითად, ასე იყო თურქეთის შემთხვევაში. ჩვენი უკვე 7 პროექტია დაფინანსებული, ჯამში, მილიონ ექვსასი ათას ევროზე მეტი ოდენობით. ჩვენი წლიური გადასახადი დაახლოებით 122 000 ევროა და მოპოვებული თანხის რაოდენობა მართლაც შთამბეჭდავია. ეს, შესაბამისად, სექტორზე უაღრესად დადებითად აისახება. ერთადერთი მიმართულება, რომელიც „ევრიმაჟის“ დაფინანსების მოსაპოვებლად არ მუშაობს, დისტრიბუციაა. მაგრამ ეს სფერო საქართველოში ჯერჯერობით ძალიან სპეციფიკურადაა განვითარებული.

ევრიმაჟის“ მუშაობის სპეციფიკა სხვადასხვა ქვეყანაში სამუშაო სესიების გამართვაა. წელს, ოქტომბერში ასეთ სამუშაო შეხვედრას საქართველო მასპინძლობდა და შესაბამისად, ფონდის წევრთა სრული შემადგენლობა, ჩვენი ძველი მეგობრის, აღმასრულებელ დირექტორ რობერტო ოლას ჩათვლით, თბილისში შეიკრიბა. რა იყო ამ შეხვედრის პოზიტიური მხარეები, ფორმალური სამუშაო პროცესის გარდა?

სესიები ქვეყნებიდან მიპატიჟების საფუძველზე იგეგმება. ამისთვის საჭიროა კარგი სამუშაო ინფრასტრუქტურის შექმნა, ოფისი, ბევრი დეტალის გათვალისწინება. ქართულმა მხარემაც გააკეთა ოფიციალური მოპატიჟება და ამ საკითხზე თითქმის ერთ წელიწადს ვმუშაობდი. 2013 წელს „ევრიმაჟის“ პრეზიდენტ იობსტ ფლოგის პირველმა ვიზიტმაც პოზიტიური როლი ითამაშა და ჩვენ გავხდით წლევანდელი ოქტომბრის სესიის მასპინძლები.

საქართველო ბევრი წევრისთვის მაინც ეგზოტიკურ ქვეყანად აღიქმებოდა და დამქანცველი გადასხდომებით მგზავრობა მათთვის არცთუ მიმზიდველი ჩანდა. თუმცა, როგორც შემდეგ აღნიშნეს, განცდილმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა, დაწყებული კინოსექტორის წარმომადგენლებთან ძალიან საჭირო და ინფორმატიული შეხვედრებით, ქვეყნის კულტურის გაცნობით დამთავრებული. როგორც სამადლობელ წერილში აღნიშნეს,

ასეთი შთაბეჭდილება საქართველოში კვლავ დაბრუნების შემთხვევაშიც კი არ განმეორდება. ეს იყო გარკვეულად ისტორიული ვიზიტი. ამასთან, სამუშაო სესიაზე, ქართული პროექტი „აღლუმი“ (რეჟისორი ნინო ჟვანია, პროდუსერი ნიკა აბრამიშვილი) დაფინანსდა.

მოგვიყევი ახალჩამოყალიბებული სამუშაო ჯგუფის შესახებ, რომლის თავმჯდომარე ხარ და რომელიც ქართული კინოსექტორისთვის განსაკუთრებით საინტერესო ინიციატივაა.

კინო ცოცხალი ორგანიზმია, სულ იცვლება. შესაბამისად, სცენარის კლასიკური 3-აქტიანი ფორმა ან კლასიკური ევროპული კოპროდუქციის სქემა ექსპერიმენტული სცენარისთვის შემაფერხებელი არ უნდა გახდეს ან თანადაფინანსების იმ მოდელისთვის, რომლის, ვთქვათ, ერთი მხარე ოკეანის გადაღმა მდებარეობს.

სწორედ ამიტომ, ასეთ ატიპურ პროექტებს სამუშაო რეჟიმში ვუწოდეთ Cutting Edge პროექტები და, ერთი წელია, ვმუშაობთ პროცედურის დამუშავებაზე, რომლის თანახმადაც, „ევრიმაჟი“ უფრო რისკიან, თვისებრივად განსხვავებულ, გამბედავ კინოფორმატსაც დაეხმარება. სწორედ თბილისის შეხვედრისას გადაწყდა, რომ იანვრიდან გავრცელდება პრესრელიზი ახალი პროგრამის დაწყების თაობაზე. ევროპის 4 წამყვან ფესტივალთან თანამშრომლობით. ჩვენ ასეთ პროექტებს Work in Progress ფორმატით დავუჭერთ მხარს. ამ საკითხებზე მოსალაპარაკებად რამდენიმე დღეში მივემგზავრები საფრანგეთში და წლის ბოლოს უფრო დეტალურად შემეძლება მოგიყვე. ეს ქართველი რეჟისორებისა და პროდუსერებისთვისაც ძალიან სასარგებლო მიმართულება იქნება.

თბილისის სესიის ფარგლებში კულტურის სამინისტროში ჩატარდა საინტერესო დისკუსია თემაზე – ქალი რეჟისორების როლის შესახებ; მონაწილეობდნენ სხვადასხვა თაობის ქართველი რეჟისორები: ლანა ღოღობერიძე, ნანა ჯორჯაძე, რუსუდან ჭყონია და ქეთი მაჭავარიანი. როგორც ვიცი, ქალი რეჟისორების მხარდაჭერა „ევრიმაჟის“ ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა.

2014 წლის სარაევოს სესიის დროს შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც თვლის, რომ ტალანტი ტალანტია და სქესი არ აქვს, მაგრამ სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ბალანსი აშკარად დარღვეულია და ქალების მონაწილეობა ძალიან დაბალი პროცენტით განისაზღვრება.

თბილისური დისკუსია ძალიან პოზიტიური იყო, რადგან საქართველოში ქალი რეჟისორები დისკრიმინაციას ნამდვილად არ განიცდიან. ეს ინიციატივა შეიძლება საკამათო იყოს, მაგრამ რიგ ქვეყანაში გენდერული ბალანსის დაცვას ნამდვილად სჭირდება წახალისება.

ვფიქრობ, საქართველოში ქალების ქვოტის შესახებ მუშაობაზე უფრო მნიშვნელოვანია განახლებული კინოსტრატეგია – ქართული პროექტები უფრო ხშირად უნდა გამოჩნდეს ევროპულ ბაზარსა და ასევე სხვა, ახალ საერთაშორისო ტერიტორიებზეც. ეს ძალიან მნიშვნელოვანი გახდება, რადგან ბრუნვითა და ბაზრის პროცენტით ევროპაც უკვე მის ფარგლებს გარეთ იწყებს ახალი სამუშაო ფორმატის ძიებას.

[ქეთი მაჭავარიანი]



კინო ღვინის თანხლებით ანუ ჯონათან ნოსიტერის ქართული ვიზიტი

ჟურნალისტი, ეროვნული კინოცენტრის პრომოუშენ მენეჯერი.

მამამისი Washington Post-ისა და New York Times-ის უცხოეთის კორესპონდენტი იყო, ამიტომ მთელი ბავშვობა და ახალგაზრდობა სამშობლოს ფარგლებს გარეთ გაატარა. იზრდებოდა საფრანგეთში, იტალიაში, საბერძნეთში, ინგლისსა და ინდოეთში. ითვისებდა სხვადასხვა პროფესიას – ფერწერით დაწყებული, კინოხელოვნებით დამთავრებული.

დღეს ცნობილი ამერიკელი რეჟისორია. პირველი აღიარება (1997წ.) მოუტანა ფილმმა „კვირა“, რომელმაც სანდენსის კინოფესტივალზე მთავარი პრიზი აიღო. მალევე მისი კიდევ ერთი ნამუშევარი – „მონდოვინო“ მეოთხე ფილმი გახდა დოკუმენტური კინოს ისტორიაში, რომელიც კანის კინოფესტივალის „ოქროს პალმის რტოზე“ წარადგინეს. რეჟისორის ბოლო ნამუშევარი „ბუნების წინააღმდეგობა“ კი ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალის 2 სექციაში აჩვენეს – პანორამა და კულინარია.

იმის მიუხედავად, რომ ნიუ იორკში სომელიეების სკოლა დაამთავრა და ღვინის შესახებ რამდენიმე წიგნისა და ნიუ იორკის წამყვანი რესტორნების ღვინის ნუსხის ავტორია, თავს ღვინის ექსპერტად მაინც არ მიიჩნევს.

საქართველოში კინოფესტივალის „კინო-ვინო“ ფარგლებში ჩამოვიდა და საზოგადოებას მისი რამდენიმე ფილმის ნახვის საშუალება მისცა. თავად რეჟისორი საკუთარ კინოსურათებს დიდ ეკრანზე იშვიათად უყურებს. ახლაც ერთ-ერთი ნამუშევრის „რიო – სექს – კომედია“ მხოლოდ პირველი სცენა ნახა, დანარჩენი კი, ჩვენი ინტერვიუს პარალელურად, დარბაზში რეჟისორის გარეშე მიმდინარეობდა.

„ზღაპრული და პოეტური საქართველო"

დიდი ხნის განმავლობაში გეგმავდით საქართველოში ჩამოსვლას. რატომ გახდა ეს ქვეყანა თქვენთვის მიმზიდველი?

როგორ შეიძლება იყო რეჟისორი, გაიზარდო პაზოლინიზე და ფარაჯანოვზე, პატივს სცემდე ღვინის კულტურასა და ტრადიციებს და არ იყო დაინტერესებული ისეთი ქვეყნით, როგორიც საქართველოა?!

საქართველოში ჩამოსვლამდე აღნიშნავდით, რომ ის პოეტურ და ზღაპრულ ქვეყანად წარმოგედგინათ... გამართლდა თქვენი მოლოდინი? როგორი იყო პირველი შთაბეჭდილება, როდესაც ჩამოხვედით?

შთაბეჭდილება იყო საშინელი! საზარელი ხალხი, უგემური საჭმელი... აღარასდროს ჩამოვალ აქ კიდევ ერთხელ. რა თქმა უნდა, ვხუმრობ – სინამდვილეში ყველაფერი პირიქითაა. საქართველომ პირველი წამებიდანვე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რომ ხვალ დილით მივფრინავ და უკვე აქედანვე ვფიქრობ, როგორ მოვახერხო თქვენს ქვეყანაში რაც შეიძლება მალე დაბრუნება.

„მეღვინეობა – ესეც არტისტობაა"

როგორც ვიცი, კახეთშიც იყავით ქართული ღვინის კულტურის გასაცნობად...

კახეთის ტური მართლაც საოცარი იყო. მოეწყო დეგუსტაციები იაგო ბიტარიშვილის, სოლიკო ცაიშვილის მარნებში... ისეთი შთაბეჭდილება მქონდა, თითქოს წარსულში დავბრუნდი. მეღვინეებიც ხომ ღრმად იკვლევენ წარსულს, რათა შეძლონ რაღაც ახლის შექმნა. მე თუ მკითხავთ, ესეც არტისტობაა. დღევანდელ ეპოქაში რეჟისორები აღარ ოცნებობენ იყვნენ პოეტები, მათ ბიზნესმენობა სურთ. ფილმებსაც უმეტესად ფულის შოვნის მიზნით იღებენ. მათ ავიწყდებათ მთავარი – სხვა ადამიანებისთვის სილამაზისა და დღესასწაულის შექმნა.

ძალიან დასანანია, რომ ვერ მოვახერხე ქართველ რეჟისორებთან, ახალგაზრდა არტისტებთან შეხვედრა, თუმცა ეს კარგი მიზეზია, რაც შეიძლება სწრაფად უკან დასაბრუნებლად და კარგი იქნება, თუ პროცესში ეროვნული კინოცენტრიც ჩაერთვება.

შემდეგი ვიზიტისას ეროვნული კინოცენტრი უზრუნველყოფს ამ შეხვედრის ორგანიზებას...

ეს მართლაც შესანიშნავი იქნება. ჩემი გარემოცვა, რეჟისორები, მსახიობები ძალიან დაინტერესებულები არიან თქვენი ქვეყნით. ახლაც იციან, რომ საქართველოში ვარ და მუდმივად მეკითხებიან, რა ხდება აქ. მეთ დილანი, შარლოტ რემპლინგი, ბილ პულმანი, ირენ ჟაკობი საქართველოს დიდი გულშემატკივრები არიან. ჩემი ამბიცია მათი აქ ჩამოყვანა და კახეთში მეღვინეებთან ერთად, ქართველი კინემატოგრაფისტებისთვის ვორქშოპების მოწყობაა.

როგორც ჩანს, ძალიან დაუმეგობრდით ქართველ მეღვინეებსა და ქართულ ღვინოს...

მე, უკვე კარგა ხანია, მხოლოდ ნატურალურ ღვინოს მივირთმევ, რომელსაც არ ურევია არანაირი ქიმიკატი. 10 წლის წინათ, როდესაც „მონდოვინოს" ვიღებდი, მსოფლიო სკეპტიკურად იყო განწყობილი თუნდაც ფრანგული და იტალიური ნატურალური ღვინოების მიმართ. ახლა განსხვავებული სიტუაციაა. ქართულ ნატურალურ ღვინოსაც ნამდვილად შეუძლია წაახალისოს სხვები და მსოფლიოს მაგალითი უჩვენოს.

ინტელექტუალი ვარსკვლავები

არსებობენ ინტელექტუალი ვარსკვლავები, რომლებიც ადამიანებთან ურთიერთობისთვის ლიმუზინსა და კერძო თვითმფრინავს არ ითხოვენ. შარლოტ რემპლინგი სწორედ ასეთია. პირველად 15 წლის წინათ , საბერძნეთში გადავიღე და მას შემდეგ მაქვს მასთან მუშაობის ბედნიერება...

როგორი იყო შემოქმედებითი ჯგუფისთვის ფილმზე „რიო – სექს – კომედია" მუშაობის პროცესი, რომელშიც სწორედ შარლოტ რემპლინგი ასრულებს მთავარ როლს?

ნამდვილად არაჩვეულებრივი იყო. როდესაც რემპლინგთან მუშაობ, სრულ თავისუფლებას გრძნობ. ჩახედავ თვალებში და იცი, სად არის შენი გული. ალბათ გახსოვთ ფილმის პირველი სცენა, რომელიც შარლოტის ცეკვით იხსნება. სრული იმპროვიზაცია იყო. არავინ იცის, ეს ცეკვა საიდან მოვიდა.

ქართული კინო

უფრო კარგად 70-80–იანი წლების ქართულ კინოს ვიცნობ. მინახავს იოსელიანის ფილმები, ნინო კირთაძის დოკუმენტური ნამუშევრები. ვიცი, რომ ქართულ კინოს ბოლო პერიოდში მსოფლიო ასპარეზზე დიდი წარმატებები აქვს. ახლა უკვე მყავს თქვენს ქვეყანაში მეგობრები. მე მათ ვთხოვე, სასწრაფოდ გამომიგზავნონ ქართული ფილმები, რომ უკეთ გავეცნო. როგორც კი რომში ჩავალ, გპირდებით, ქართული ენის სახელმძღვანელოსაც კი შევიძენ.

საქართველო – ფილმწარმოებისთვის მიმზიდველი ლოკაცია

წლებია, მთელ მსოფლიოში ვმოგზაურობ და საქართველოს მსგავსი არსად არაფერი შემხვედრია. თბილისი უნიკალური ქალაქია...

შეიძლება,რომ ის თქვენი ინსპირაცია გახდეს და მომავალი ფილმი საქართველოში გადაიღოთ?

მომავალ ფილმს ფრანგული ნოველის „ჩემი ბოლო სიტყვები" მიხედვით გადავიღებ. ჯერ მსახიობების შერჩევა არ დამიწყია, მაგრამ შარლოტ რემპლინგი, სავარაუდოდ, მიიღებს მასში მონაწილეობას. ახლა დავფიქრდი და მართლაც კარგი აზრია, ეგებ ფილმის ნაწილი საქართველოში გადავიღო...

[გვანცა ზაქარეიშვილი]

მთავარია, გვქონდეს მიზანი და გვჯეროდეს

თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის მრავალფეროვანი პროგრამის ფარგლებშიც კი, ფილმების ჩვენებებისა და მასტერკლასების ფონზე, გამორჩეული იყო ადამ მიცკევიჩის ინსტიტუტის ორგანიზებული პროექტის ფარგლებში გამართული ლექციების, დისკუსიებისა და კინოჩვენებების ციკლი – „კინო და სოციალური ცვლილებები"; რომლის კურატორები იყვნენ რიჩარდ პენა – კოლუმბიის უნივერსიტეტის კინომცოდნეობის პროფესორი, ლინკოლნის ცენტრის ,,კინოსაზოგადოების" პროგრამის ხელმძღვანელი და ნიუ-იორკის კინოფესტივალის დირექტორი 1988-2012 წლებში და ლეგენდარული პოლონელი დისიდენტი და სამართალდამცველი, მოძრაობა „სოლიდარობის" ერთ-ერთი ლიდერი 80-იან წლებში, ჟურნალისტი და პოლიტიკური ექსპერტი, ყოველდღიურ გაზეთ Gazeta Vyborcha-ს მთავარი რედაქტორი, ადამ მიხნიკი. ადამ მიხნიკი „ფილმპრინტს" საქართველოში ვიზიტის შესახებ, ზოგადკულტუროლოგიურ და პოლიტიკურ საკითხებზე, წარსულსა და აწმყოზე ესაუბრება.

ცნობილია, რომ საქართველოში ადრეც რამდენჯერმე ხართ ნამყოფი და ეს ვიზიტები, ამჟამინდელი სტუმრობისგან განსხვავებით, დაკავშირებული იყო პოლიტიკასა და თქვენს ჟურნალისტურ საქმიანობასთან.

რაღაც თვალსაზრისით, დიახ. პირველად კონფერენციაზე ჩამოვედი, ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს, რომელსაც ვიცნობდი პოლონეთიდან, როდესაც მისგან ინტერვიუ ავიღე. შემდეგ რამდენჯერმე მოსკოვში შევხვდი, მისი გადადგომის პერიოდში და უკვე შემდეგ კონფერენციაზე მიმიწვიეს. მეორედ საქართველოში ვიყავი, როგორც მედიატორი, ტელეკომპანია „იმედის" კონფლიქტის დროს.

ამჯერად ადამ მიცკევიჩის ფონდმა მომიწვია თბილისის საერთაშორისო ფესტივალზე, პროექტის „კინო და სოციალური ცვლილებები" ფარგლებში, კატაჟინა კოლენდა-ზალესკას ფილმის „ისტორიის სასწაულის" შესახებ სასაუბროდ და ლექციების ციკლის „ევროკავშირი – რეალობა და მოლოდინები" წასაკითხად.

ეს ძალიან საინტერესო ფილმია, რომელიც აჩვენებს პოლონეთის გზას ევროკავშირამდე, მეორე მხრივ – ყველა მახეს ამ გზაზე და მესამეც – კაპიტალიზმის სხვა სახეს, რომ იქ ყველაფერი კარგად არაა, რომ ეს არაა სამოთხე, რის შესახებაც ჩვენ არაფერი ვიცოდით.

მაესტრო

თქვენი მიმართვა მოვისმინე, რომელიც თბილისის კინოფესტივალს წინასწარ გამოუგზავნეთ. ერთგან ამბობთ, რომ საქართველომ განვითარების იგივე გზა უნდა გაიაროს, როგორიც პოლონეთმა განვლო და არა, როგორიც უკვე დიდი ხნის წინათ ჩამოყალიბებულმა სახელმწიფოებმა. რამდენიმე წლის წინათ იგივე მითხრა პოლონეთის ელჩმა საქართველოში – იაცეკ მულტანოვსკიმ.

ვერ ავიღებ ჩემ თავზე სითამამეს, მიგითითოთ, რა გზით და როგორ უნდა განვითარდეს ქართული სახელმწიფო, რომ მაგალითი პოლონეთისგან უნდა აიღოს, თუმცა ვიტყვი, რომ... ჩვენი ელჩი მართალი იყო.

ინტერვიუს დაწყებამდე თქვენ მითხარით, რომ კინოსთან ძალიან პატარა შეხება გაქვთ, თუმცა გამოკვლევა გაქვთ დაწერილი ანჯეი ვაიდაზე. ვაიდა, მისი ფილმები ჩვენთვის, საბჭოთა კავშირში, თავისუფლების სუფთა ჰაერის შესუნთქვასავით იყო.

მე ვიზიარებ თქვენს პოზიციას. მართლაც ასეა. როდესაც ესსე დავწერე ვაიდას შესახებ, დავაკვირდი და ვნახე, რომ 1956 წლიდან ფილმებში არც ერთი ყალბი ჟღერადობა – პოლიტიკური, ისტორიული, იდეოლოგიური – არ ჰქონია. არ ვამბობ, კარგსა და ცუდს, თვით ყველაზე შეუმდგარ ფილმშიც კი, არაფერი აქვს კონიუნქტურული. მაგრამ, როდესაც ვნახე თქვენი, ქართული ფილმი „მონანიება“, შთაბეჭდილება სიკვდილამდე არ დამავიწყდება.

ასე გენიალურად, ასე თამამად ნაჩვენები ისტორია, რეპრესიები... მანამდე არასოდეს მიგვრძნია, რომ დიდი ცვლილებები იწყებოდა.

მაგრამ, დღეს რომ ნახოთ ეს ფილმი, ჩამოაცილოთ სითამამე, დროს წინსწრება, იგივე შთაბეჭდილება გექნებათ? მხატვრული ღირებულებების მხრივ გეკითხებით.

„მონანიება“ ცოტა ხნის წინათ ტელევიზიით ვნახე. არ ვარ ხელოვნების სპეციალისტი, მაგრამ, ვფიქრობ, ეს ფილმი დიქტატურის, ზოგადად დიქტატორების, ეპოქის სურათს ძალიან მხატვრულ ფორმებში ხატავს და თან სვამს მთავარ კითხვას – რა საჭიროა გზა, რომელსაც ტაძართან არ მივყავართ.

ახალი ქართული ფილმები ნანახი გაქვთ?

გუშინ მაჩუქეს ნანა ჯანელიძის ფილმის „ნეტავ, იქ თეატრი არის?“ ჩანაწერი, რომელიც ჯერ არ მინახავს.

ისევ ვაიდას დავუბრუნდეთ. მისი ფილმი „ფერფლი და ალმასი“ ასევე აჩვენებს იმას, რაც ომის თაობამ გადაიტანა ომის შემდეგ, ანუ – მთელ ეპოქას. დღემდე და ყველგან, სადაც ომია.

გენიალური ფილმია. უნივერსალური. ერთი მხრივ, კონკრეტული ეპოქის, ჩვენი ისტორიის მაჩვენებელი და მეორე მხრივ – როგორ იცვლება ადამიანის ბედი, როდესაც იცვლება მოქმედების მთელი თეატრი.

ალბათ ესეც მარადიული თემაა – ჯარისკაცი, რომლის ცხოვრებასაც აზრი აქვს ომის დროს და რასაც ერთ დღეში კარგავს. უპერსპექტივობა

და გეზის არქონა. მთავარ გმირს ხომ ზუსტად იმ დღეს კლავენ, როდესაც ომი მთავრდება. ძალიან სიმბოლურია.

დიახ. ეს ეჟი ანჟეევსკის რომანის მიხედვით გადაღებული ფილმია. რომელშიც კარგი კომუნისტები არ არსებობენ. კარგი კომუნისტი მკვდარი კომუნისტია. არსებობს ასეთი ანტიკომუნისტური პოზიცია. თუმცა, ყველაფერი ასე არ ხდებოდა.

პოლონური კინო და თეატრი, ისევე როგორც საქართველოში, საზოგადოებას ესაუბრებოდა იმაზე და ისე, რის შესახებაც და როგორც პირდაპირ საუბარი წარმოუდგენელი იყო – შეფარვით, ქვეტექსტებით.

პოლონეთში ასეთი იყო თეატრი და თეატრალური კრიტიკა. ჩვენი დიდი თეატრალური კრიტიკოსები – იან კოტი, ოსტაპ პოპუზენა. მათი წერილები პოლიტიკური სიტუაციის გენიალური კომენტარებია.

ანჯეი ვაიდას ფილმი „ფერფლი" – ფრესკა პოლონეთის ისტორიის ნარატივით – ჩვენი იმდროინდელი, 70-იანი წლების რეალობა იყო, რომ ჩვენ ჩვენი ჯოჯოხეთი გვაქვს, რომ ჩვენ მეამბოხეები ვართ და ქვეყნის დამოუკიდებლობა გვინდა.

საერთოდ, რა მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისთვის კულტურას, კინოს? რამის შეცვლა შეუძლია? რა გავლენის მოხდენა?

ლენინმა თქვა, – ხელოვნებათაგან ჩვენ ყველაზე მეტად კინო გვჭირდებაო. ეს, ხუმრობით.

ჩემ ცხოვრებაში კულტურა ძალიან მნიშვნელოვანი იყო. საერთოდ, ადამიანები საკუთარ ცხოვრებაზე, მორალზე ფიქრს იწყებენ, როდესაც კულტურასთან აქვთ კავშირი – თეატრთან, ლიტერატურასთან, კინოსთან, სახვით ხელოვნებასთან... თქვენ თვითონ თქვით, რომ საბჭოთა კავშირის დროს ხელოვნება სარკმელი იყო თავისუფლებისკენ. მე, როგორც პოლონელი, გეუბნებით, რომ წლების წინათ პოლონეთი ევროპის რუკაზე არც იყო. და თუ ჩვენ შევძელით გზის, ცხოვრების გავლა, ეს – ჩვენი კულტურის წყალობით. ჩვენ ვამბობდით, რომ არ გვყავს ხელისუფლება, სამაგიეროდ, გვყავს პოეტები, გვყავს, ადამ მიცკევიჩი, ბოლოს და ბოლოს, გვყავს შოპენი. და თუ ჩვენ რაღაცით ვუკავშირდებით სხვა ერებს, კულტურული დიალოგია ამ ფასეულობის გარშემო. კულტურა თავისთავად იცავს საზოგადოებას და ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

საქართველო უნიკალური კულტურის ქვეყანაა. ის ვითარდება და დარწმუნებული ვარ, დღეს და ხვალ თუ არა, ზეგ წინ წავა და უფრო და უფრო განვითარდება. ეს ნელი გზაა, მაგრამ მთავარია, გქონდეს მიზანი და გჯეროდეს, რომ – „ჩვენი საქმე სამართლიანია"!..

[ლელა ოჩიაური]

რიჩარდ პენა. დამოუკიდებელი კინო – მამაცი ადამიანების თვითგამოხატვა

რიჩარდ პენა კოლუმბიის კინოს უნივერსიტეტის პროფესორი და ნიუ იორკის კინოფესტივალის დირექტორი 1988-2012 წლებში, თბილისს ესტუმრა ადამ მიხნიკთან ერთად Culture.pl-ის „კინო და სოციალური ცვლილებები" პროგრამის ფარგლებში, რომელიც თბილისის მე-16 საერთაშორისო კინოფესტივალის ფორმატში გაიმართა. 27 ნოემბერს საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში პენამ სტუდენტებისთვის გამართა ლექცია – „დამოუკიდებელი ამერიკული კინო".

რიჩარდ პენა: „საქართველოში პირველად ვარ, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ადამ მიხნიკსა და ადამ მიცკევიჩის ინსტიტუტს. ბოლო წლებში კარგად გავეცანი ქართულ კინოს და შესაძლებლობაც მქონდა, მყოლოდა რამდენიმე ქართველი სტუდენტი კოლუმბიის უნივერსიტეტში".

თქვენ ამბობთ, რომ ამერიკულმა დამოუკიდებელმა კინომ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჰოლივუდის განვითარებაში...

მე ვსაუბრობ ამერიკული დამოუკიდებელი კინოს თავად იდეისა და კონცეფციის შესახებ. და საკითხს ისტორიულ ჭრილში იმიტომ განვიხილავ, რომ მივხვდეთ, როდის დაიწყო იდეამ – ე.წ. დამოუკიდებელმა კინომ – არსებობა, რა გზები გაიარა და რა ხდება დღეს. როგორ შეიძლება განისაზღვროს თვითონ ცნება „ამერიკული დამოუკიდებელი კინო", რომელსაც ხშირად ვიყენებთ, თუმცა ბოლომდე გააზრებული არ გვაქვს მისი მნიშვნელობა. ლოგიკურად თუ განვსაზღვრავთ, იმისთვის, რომ არსებობდეს დამოუკიდებელი კინო, დამოკიდებული კინოც უნდა არსებობდეს. დამოკიდებული კინოს რეჟისორებმა გადაწყვიტეს მაყურებლისთვის მისი ალტერნატივა შეეთავაზებინათ. ანუ დამოუკიდებელი კინო. დამოკიდებული კინო პირდაპირ კომერციულ კინოს გულისხმობდა, რომელსაც მარტივად – ჰოლივუდს ვუწოდებთ.

1920-იან წლებში შეიქმნა ძალიან კარგად ჩამოყალიბებული ინდუსტრიული სისტემა, რომელსაც ახასიათებდა ძალიან კონკრეტული ამბის მოყოლის სტილი. ჰოლივუდის სტუდიებში დამკვიდრებული კონტროლის მიუხედავად, გამოჩნდნენ რეჟისორები, რომლებიც უპირისპირდებოდნენ ხელოვნურად დაკანონებულ მოთხოვნებს და ინდივიდუალურ ნამუშევრებს ქმნიდნენ. განსხვავებული ხედვის რეჟისორთა არსებობა დამოკიდებული იყო რამდენიმე ფაქტორზე, როგორებიცაა: ეკონომიკური, ტექნოლოგიური, პოლიტიკური და ესთეტიკური. მათი ერთობლიობა განსაზღვრავდა დამოუკიდებელი ფილმების არსებობას და ქმნიდა განსხვავებულ მიმდინარეობას.

შეძლეს „კაგებეს" აგენტებმა ამერიკულ კინოში შეღწევა? რას იტყვით ცენზურაზე?

არ ვფიქრობ, რომ „კაგებეს" აგენტებმა ან კომუნისტური პარტიის წევრებმა რამენაირად შეაღწიეს ჰოლივუდში. რაც შეეხება პოლიტიკურ შეხედულებებს, იყო აზრთა სხვადასხვაობა, თუმცა სტუდიები ხელოვანებს, სანამ მათ ნამუშევრებს შემოსავალი მოჰქონდათ, არ ავიწროებდნენ.

ჰოლივუდში, ზოგადად, არ უყვართ წინაამღდეგობრივ თემებზე ფილმების გადაღება. 50-იან წლებამდე ერიდებოდნენ ფილმებს რასიზმის პრობლემებზე. ამერიკელმა მკვლევარმა და რეჟისორმა ტომას ანდერსენმა, წიგნში „წითელი ჰოლივუდი", დაწერა, რომ ამ საკითხზე (კომუნიზმი, საბჭოთა კავშირი) საუბრობდნენ და წერდნენ თავად კომუნისტები ან ადამიანები, რომლებიც მათ თანაუგრძნობდნენ.

ანტიამერიკული კომისიის მოქმედებები 1940-იან წლებში და ჰოლივუდის „შავი სია" , რომელიც ისტორიაში შევიდა, როგორც „შავ ლაქა" ამერიკულ კინოში.

1947 წელს კონგრესში შეიქმნა კომიტეტი, რომლის მიზანი ჰოლივუდში საბჭოთა კავშირის მიმართ სიმპათიით განწყობილი კინოხელოვანების გამოვლენა იყო. ხანგრძლივი კვლევის მიუხედავად, კომიტეტმა ბევრი ვერაფერი გამოარკვია. სტუდიებს ექმნებოდათ პრობლემები, რაც გულისხმობდა რეჟისორებისა და სცენარისტების მიმართ გაჩენილ ეჭვს, ხომ არ იყო რომელიმე მათგანი კომუნისტი. გამოკვლევამ უჩვენა, რომ 200-კაციანი სიიდან ადამიანების 40 პროცენტი ადრე სხვადასხვა მიზეზით იყო კომუნიზმთან კავშირში.

მარკეტინგის როლი ამერიკულ კინემატოგრაფში.

60-იანი წლების მიწურულს ამერიკულ კინოში გამოჩნდნენ ახალგაზრდა კინორეჟისორები – მარტინ სკორსეზე, სტივენ სპილბერგი, ბრაიან დე პალმა და სხვები და დაიწყო კომერციული კინოსთვის ყველაზე საინტერესო პერიოდი. 1975 წელს სპილბერგმა გადაიღო „ყბები“, რომელმაც მსოფლიო კინოეკრანები დაიპყრო. ახალგაზრდა რეჟისორების გამოჩენასთან ერთად გაჩნდა წარმატებული ფილმები. „ყბებს“ უკავშირდება პირველი, ყველაზე ფართომასშტაბიანი კინოკამპანია. ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვხვდებოდით სარეკლამო აფიშებს, პრესაში გამოხმაურებასა და სხვა. კინოთეატრებისთვის დამზადდა „ყბების“ 500 პრინტი, როდესაც მანამდე 150-ზე მეტი არასდროს დაუბეჭდავთ. სპილბერგისა და „უნივერსალის“ სტრატეგიამ გაამართლა, რაც ბილეთების გაყიდვით შემოსული თანხით კიდევ ერთხელ დამტკიცდა. სპილბერგის წარმატების მაგალითზე სტუდიებმა შეცვალეს სტრატეგია – შეამცირეს ფილმების გადაღება და აქტიურად დაიწყეს მარკეტინგის გამოყენება. თუ მანამდე წელიწადში იღებდნენ 40 ფილმს, საშუალოდ, ოთხამდე შეამცირეს. ჰოლივუდი გადაერთო ბლოკბასტერების გადაღებაზე. ეს იყო ახალი, წარმატებული ეკონომიკური სტრატეგია კინოინდუსტრიაში.



რა პერსპექტივა აქვს ონლაინ ფილმების დისტრიბუციას დამოუკიდებელი კინოს განვითარებისთვის?

თუ ვისაუბრებთ ინფორმაციის გავრცელებასა და წვდომაზე, ინტერნეტი კარგი საშუალებაა. ხოლო, რაც შეეხება ფინანსურ ნაწილს, არამომგებიანია. კინოსტუდიები, დისტრიბუციის კუთხით, ონლაინ გაყიდვებზე არასდროს აკეთებენ გათვლას, რაც განპირობებულია რიგი ტექნიკური მიზეზებით. დღესდღეობით ინტერნეტსივრცე, როგორც კინოდისტრიბუციის დამატებითი ხელსაყრელი კომპონენტი, არარელევანტურია.

[ნათია მეფარიშვილი]

ინდუსტრია და თანამედროვე ტექნოლოგიები

ქართული კინოფოკუსი

2015 წელს საქართველოს კინემატოგრაფის ეროვნული ცენტრი ძველ და უკვე ტრადიცულ პროექტების გაგრძელებასთან ერთად ახალი ჩანაფიქრებისა და ინიციატივების განხორციელებას შეუდგა და საქმიანობის ახალი მიმართულებებიც განსაზღვრა. უშუალოდ ქართული კინოც, ბოლო პერიოდში, მსოფლიოს კინოწრეების ყურადღების ცენტრში მოექცა და წარმატებებსაც მიაღწია. მის მიმართ ინტერესიც გაიზარდა და ძველმა პრესტიჟმაც აღდგენა დაიწყო. კინოცენტრის დირექტორი, რეჟისორი ნანა ჯანელიძე ახალ პროექტებსა და პროგრამებზე საუბრობს და წლის ბოლოს მიღებულ შედეგებს აჯამებს.

წელს ეროვნულ კინოცენტრში რამდენიმე ახალი, წინამორბედებისგან განსხვავებული პროგრამა თუ პროექტი განხორციელდა. რას გამოყოფდით მათგან პირველ რიგში?

პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ ერთი წლის განმავლობაში ქართული ფილმების 3 დიდი ფოკუსი გვქონდა სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა ფესტივალზე. ერთი – სოფიაში, რომელზეც 15 ფილმი იყო წარდგენილი. იყო პროექტები, რომლებსაც ძალიან დიდი რეზონანსი მოჰყვა. იმის მიუხედავად, რომ უკვე ცოტა განებივრებულები ვართ ქართული კინოს ბოლო წლების წარმატებებით.

პროგრამას ასე ვადგენთ – არის რეტროსპექტივაც და სრულიად ახალი ფილმებიც, რადგან, როდესაც შენ ახალი გაინტერესებს, ისიც გაინტერესებს, რა იყო მის უკან. ვაჩვენებთ (მართალია, ცოტაა) აღდგენილ ფილმებსაც და რაღაც ერთიანი სურათი იკვრება, ჩანს, რომ საქართველო დიდი კინოტრადიციების ქვეყანაა, რომელიც ყველა ეპოქას თავისებურად პასუხობდა და თავისი განსაკუთრებული სტილი ჰქონდა ყველა ფორმაციასა და პერიოდში.

საბჭოთა დროს იქმნებოდა არაკის ტიპის ფილმები, როდესაც, თითქოს, ყველაფერი იყო კომიკურ საბურველში გახვეული და ამავე დროს, ზედა-

ფოტო ხათუნა ხუციშვილი

ფოტო ხათუნა ხუციშვილი

დღეს კი თანამედროვე ქართული კინო ძალიან სოციალური გახდა, რადგან სხვა დროა, სხვა სათქმელია და სხვა თაობაა

პირს მიღმა იგრძნობოდა სრულიად სხვა დინება. დღეს კი თანამედროვე ქართული კინო ძალიან სოციალური გახდა. რადგან სხვა დროა, სხვა სათქმელია და სხვა თაობაა, სხვანაირი ფილმები და იმის მიუხედავად, რომ ისინი მთლიანად ქართული კინემატოგრაფის ტრადიციას აგრძელებენ, მთავარია, რომ სხვანაირად ჰყვებიან ამბებს. და ეს ამბების ძალიან თანამედროვე თხრობაა. მთავარი ბირთვი პასუხობს დროის მოთხოვნებს და ალბათ ამის მიხედვით იქმნება ახალი სტილიც.

ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ფოკუსი შვეიცარიაში ნიონის კრეატიული დოკუმენტური ფილმების (ევროპის ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვან) ფესტივალზე. ფილმები, რასაკვირველია, მათ შეარჩიეს. (ჩვენ ვუგზავნით მასალას და შემდეგ გადაწყვეტილებას ფესტივალის დირექცია იღებს ხოლმე). რეტროსპექტივაში იყო 15 ფილმი, შექმნილი 2000 წლიდან დღემდე და იყო 6 პროექტი, ფიჩინგი საერთაშორისო ფესტივალების დირექტორებისა და პროდუსერების წინაშე. აქედან 4 კინოცენტრმა უკვე დააფინანსა, თუმცა ექვსივეს პროექტის განვითარება ჩვენი დაფინანსებული იყო. სხვათა შორის, დღემდე მომდის გამოხმაურებები იმ ფოკუსზე. ამბობენ, რომ არ ახსოვთ ფიჩინგის დონეზე ასე წარმოდგენილი 6 პროექტი.

ტალინის კინოფესტივალი წელს A კლასის გახდა, სადაც ასევე ფოკუსში მოვხვდით. ამაზე მოლაპარაკებები კანიდან დაიწყო. თინა ლოკმა (რომელიც ფესტივალის დირექტორია) გაგზავნილი უამრავი ფილმიდან 14 აარჩია. ერთ-ერთი მათგანი, ვანო ბურდულის „გაყინული შადრევნების წელიწადი" მთავარ კონკურსშიც მოხვდა.

ფესტივალის გახსნა კოტე მიქაბერიძის „ჩემი ბებიით" გადავწყვიტეთ, რომელიც ცოცხალი მუსიკის აკომპანიმენტით უჩვენეს. ამას ახლდა ქართული კინოპლაკატების გამოფენაც.

ამ პროცესის დაგვირგვინება მაინც იყო ყველაზე პრესტიჟული და უდიდესი ფესტივალი ამსტერდამში – „იდფა", რომელსაც 500 სტუმარი ჰყავდა და იმდენად პოპულარულია, რომ მთელი ქალაქი ამ ფესტივალით ცხოვრობს. დარბაზები მაყურებლით მთლიანად გადავსებული იყო.

მთავარ კონკურსში 2 ფილმით ვმონაწილეობდით და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. თამუნა ქარუმიძის, სალომე მაჩაიძისა და დავით მესხისა და პროდუსერ ზაზა რუსაძის „როცა დედამიწა მსუბუქია" (რომელმაც პრიზი საუკეთესო დებიუტისთვის მიიღო) და უგის ოლტეს ქართულ-ლატვიური კოპროდუქცია „ორმაგი უცხოები" (კოპროდუქცია დოკუმენტურ კინოზე ჩვენთან პირველად გამოცხადდა და ამ კონკურსის გამარჯვებული პროექტია).

ფესტივალზე ასევე წარდგენილი იყო პროექტები, რომელთა განვითარებაშიც კინოცენტრი მონაწილეობდა. ესენია: თომა ჩაგელიშვილის „ბერლინის ახალი კედელი", რატი ონელის „მზის ქალაქი" და ცირა გვა-

სალიას „ოთახები“. ფესტივალს სპეციალური სტატუსით Observer ესწრებოდა თამუნა გურჩიანი, რომელიც პროექტის „სატრფიალო. პასტორალი“ პროდუსერია. პროექტი 2015 წელს ფესტივალის ფონდმა IDFA Bertha Fund დააფინანსა. ასეთი წარმატება საქართველოს ჯერ არ ჰქონია.

როგორც ჩანს, ქართულმა დოკუმენტურმა კინომაც დაიწყო ახალი წარმატებული ცხოვრება. და ჩანს, რომ ამ პროცესში კინოცენტრიც მონაწილეობს.

კინოცენტრი მართლაც აქტიურად ეხმარება ქართული დოკუმენტური კინოს წარმოებას. მას დიდი პოტენციალი აქვს. ჩვენ გამოცხადებულ კონკურსში – კრეატიული დოკუმენტური ფილმების განვითარებაზე – რვა პროექტმა მიიღო დაფინანსება. სასიხარულოა, რომ პანკისის თემაც გამოჩნდა, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია. სხვათა შორის, ეს არის ჩვენი სხვა პროექტის გაგრძელება. „კინო სკოლაშის“ ეგიდით, კინომისიონერები ნონა გიუნაშვილი და მარი გულბიანი პანკისში გავუშვით. და ახლა მარი გულბიანი აპირებს დოკუმენტური ფილმის გადაღებას ორ პატარა პანკისელ გოგონაზე.

ძირითადებთან ერთად წელს განსხვავებული „თემატური„ კონკურსები გამოაცხადეთ. რომლებს აღნიშნავთ?

დიდ ყურადღებას ვუთმობთ ახალ და საინტერესო წამოწყებებს. მაგალითად, როგორიცაა 21-ე საუკუნის პროზაზე შექმნილი პროექტის განვითარება. მივიჩნევთ, რომ თანამედროვე ქართული ლიტერატურა იმსახურებს ეკრანიზაციას. ეს ერთგვარად საერთაშორისო გამოცდილების გაგრძელებაა. კანში წელს მეორედ ჩატარდა პლატფორმა სახელწოდებით shot books (გადაიღე წიგნები). წელს აირჩა ხუთი პროექტი. ჩატარდა ორი სესია, ვორქშოფები, შეხვედრები. მონაწილეებს მიცემული აქვთ დავალებები. ერთ-ერთი გამარჯვებული წყვილია გიორგი ოვაშვილი და გურამ ოდიშარია, მეორე – რუსუდან ჭყონია და ეკა ტოგონიძე, მესამე – თიკო ყაჯრიშვილი, რომელსაც მარინა ელბაქიძის რომანთან „მოქალაქე წმინდანთან“ აქვს ბმა. არის ასევე ლალი კიკნაველიძის და მიხო მოსულიშვილის საერთო პროექტი და ბოლოს, ზურა ქარუმიძის „ფოქს-ტროტი“.

ვფიქრობ, ეს პროექტი კინოს განვითარებას დაეხმარება. თუ მოესწრება, შესაძლებელია მისი დაკავშირება ფრანკფურტის 2018 წლის წიგნის ბაზრობასთან, რადგან საქართველო იქნება მთავარი სტუმრის ამპლუაში და შესაძლებელია რომელიმე უკვე ნათარგმნი ლიტერატურის ეკრანიზაციაც ვუჩვენოთ.

წელს პირველად გამოვაცხადეთ საბავშვო და კომედიური ფილმების კონკურსიც. პირადად მე მგონია, რომ კომედიური ჟანრის ფილმების ძალიან დიდი დეფიციტია. შეიძლება მითხრათ, რომ თუ რაიმე თავისით არ იბადება, ის არ ივარგებს სამომავლოდ. თუმცა ხანდახან დაკვეთაც ამართლებს. ამ კონკურსის ჟიურიში იყვნენ ადამიანები, რომლებსაც მანამდე ჩვენთან არასდროს უთანამშრომლიათ, სერიალ „ჩემი ცოლის დაქალების“ შემქმნელები. 18 ნამუშევრიდან მათ ექვსი აირჩიეს: ნანა ჯორჯაძე და თამარ ბართაიას წყვილის, ზურა ინაშვილის, გიორგი ვარსიმაშვილის, „ბასტი-ბუბუს“ სტუდიის პროექტები და სხვ.

ასევე პირველად გამოვაცხადეთ საბავშვო წიგნების ანიმაციის კონკურსიც. სამწუხაროდ, ძალიან ცოტა განაცხადი შემოვიდა, თუმცა, რადგან

მოვახერხეთ და კანონმდებლობიდან კინოწარმოებაზე მოგების გადასახადი ამოვიღეთ

კონკურსი იყო პირველად, ვიმედოვნებთ, რომ მომავალში ეს სეგმენტიც გააქტიურდება. პროექტს პატრონაჟს უწევს გერმანული ანიმაციური სტუდია „ჰან სტუდია“.

გამოცხადებული გვაქვს საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სცენარის განვითარება. კონკურსში რვა პროექტი გაიმარჯვებს. შემოვიდა 25 განაცხადი. სასიხარულოა, რომ სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებისგან.

სცენარის განვითარებაზე მუშაობის დროს მათ ეყოლებათ გამოცდილი სკრიპტდოქტორი, ექნებათ ვორქშოფები და შეხვედრები, რის შედეგად, თუნდაც ორი პროექტი თუ გაამართლებს, უკვე ძალიან დიდი გამარჯვება იქნება. თუმცა, დანარჩენი მონაწილეებიც საკმაოდ გამოცდილები იქნებიან. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია მუშაობის ეს სტილი, რომელიც კინოცენტრმა დანერგა.

ხომ არაფერი შეცვლილა კინოს დაფინანსების მხრივ?

წელს ცვლილებები შევიდა დაფინანსების პოლიტიკაში. მოვახერხეთ და კანონმდებლობიდან კინოწარმოებაზე მოგების გადასახადი ამოვიღეთ, რაც ძალიან დიდი ტვირთი იყო რეჟისორებისთვის. ამჟამად ეკონომიკის სამინისტროსთან ერთად ვმუშაობთ **cash rebate**–ის სიტემის დანერგვაზე. ეს გულისხმობს კოპროდუქციით შექმნილი პროექტებისთვის საშეღავათო სისტემის ამოქმედებას. როდესაც ფილმი მზად იქნება, სახელმწიფო კინოკომპანიას დაუბრუნებს კვალიფიციური ხარჯების 20 პროცენტს.

საქართველო, ამ მხრივ, საკმაოდ მიმზიდველი ქვეყანაა და ეს გადაწყვეტილებაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო პროექტების განხორციელებას. ეს პრაქტიკა დანერგილია ევროპის რიგ ქვეყნებში. მაგალითად, ბულგარეთში თუ ხორვატიაში, ფინანსური წახალისების შედეგად, კოპროდუქციების მეშვეობით, ქვეყნის ბიუჯეტი დაახლოებით 30 მილიონი ევროთი ივსება. როდესაც ამათუიმ ქვეყანაში დიდი წარმოებები შედის, ადგილობრივი ინდუსტრიაც ვითარდება, რაც დამატებით ახალ სამუშაო ადგილებს აჩენს. ეკონომიკის სამინისტროსთან ერთად მოწვეული გვყავდა „დისნეის“ ვიცეპრეზიდენტი, რომელმაც ტრენინგები ჩაგვიტარა და აგვიხსნა, თუ როგორ მოხდა სამხრეთ აფრიკის კინოინდუსტრიის განვითარება მას შემდეგ, რაც იქ დიდი ტელესერიალების გადაღება დაიწყეს.

[გიორგი რაზმაძე, ლელა ოჩიაური]

კინო, რომელიც გრძნობს დროს

ქართული კინემატოგრაფი არ არის მსოფლიო კინოს ნაწილი. ის საინტერესო, თავისთავადი და ორიგინალურია, თუმცა მკვეთრად ლოკალური. ქართველ რეჟისორებს უყვართ ევროპული კინო, მაგრამ არ ცდილობენ (წარსულზე თუ ვილაპარაკეთ, ვიხმაროთ სიტყვა „ვერ") მასთან თავის გაიგივებას.

მიზეზებიდან გამოვყოფდი მთავარს – არაუნივერსალურ ენასა და გარე სამყაროსადმი კარჩაკეტილობის პრობლემას. ქართული კულტურის დამახასიათებელი ეს გარემოება ზემოთქმულთან კამათის სურვილს ალბათ გაანელებს. ოპონენტებს მეც დავეთანხმები, საზოგადოებაში მიმდინარეობს გარკვეული ცვლილებები, თუმცა კონკრეტულად ქართულ კინოში კვლავ რჩება გარესამყაროზე მსჯელობის, ანუ ფიქრის პრობლემა.

დასავლეთისთვის 2014-2015 წლები ძალიან რთული აღმოჩნდა. რუსეთის აგრესიულმა ფაქტორმა მსოფლიო წესრიგი დაარღვია. ევროპის რიგითი მოქალაქე ინფორმაციული აგრესიის ობიექტია. მის ყოველდღიურ კომფორტს სირიელი დევნილების პრობლემაც არღვევს. კითხვის ქვეშ დგას ევროკავშირის ერთიანობაც. ისტორიულად, მსგავსი გარემოებები ხელოვნებისთვის კარგ კატალიზატორად გამოდგებოდა ხოლმე. კინომ ჯერ კიდევ ვერ მოასწრო მიმდინარე მოვლენებზე რეფლექსია, თუმცა ნიშნები, რომ რაღაც იცვლება, სახეზეა.

ამერიკას ზემოხსენებებული პრობლემები თითქმის არ შეხებია. თუმცა სოციალურ-კულტურული ძვრები იქაც მიდინარეობს. „ტელევიზიის ოქროს" ხანაში ჰოლივუდი პირველად აღმოჩნდა ეგზისტენციური პრობლემების წინაშე.

თუ უკანასკნელ წლებში შექმნილი ფილმების უმრავლესობას გადავხედავთ, პირველი, რაც თვალში მოგვხვდება, ქრონომეტრაჟის ზრდა და სიქველების/სერიების სიმრავლე იქნება. აუდიტორიას, რომელსაც ნების-

SALMA HAYEK
VINCENT CASSEL
TOBY JONES
un film di MATTEO GARRONE
IL RACCONTO DEI RACCONTI
Tale of Tales
DAL 14 MAGGIO AL CINEMA

FOX SEARCHLIGHT PICTURES AND REGENCY ENTERPRISES
BIRDMAN

★★★★★ "A comedy as weird and wonderful as its title"
★★★★★ "A glorious metaphysical burlesque"
★★★★★ "Hilarious... transcendent!"
★★★★★ "This is untranslatable cinema... It's heaven"
A PIGEON SAT ON A BRANCH REFLECTING ON EXISTENCE
THE THIRD PART OF A TRILOGY BY ROY ANDERSSON, THE DIRECTOR OF 'SONGS FROM THE SECOND FLOOR' AND 'YOU, THE LIVING'

EN DUVA SATT PÅ EN GREN
OCH FUNDERADE PÅ TILLVARON
ROY ANDERSSON


CAINE
KEITEL
WEISZ
DANO
FONDA
YOUTH

Un documental de GIANFRANCO ROSI
SACRO GRA
Historias encontradas en el anillo de Roma
"Un film maravilloso"
Le Monde
"Bellísima y conmovedora"
La Reppublica
"Sacro Gra ha arrasado Venecia"
L'Espresso
"Una gran ovación"
El corriere della sera
FESTIVAL DE SEVILLA MEJOR PELÍCULA
FESTIVAL DE VENECIA LEÓN DE ORO MEJOR PELÍCULA

GOLDEN LION ~ VENICE 2013
SACRO GRA
TALES FROM ROME'S RING ROAD
GIANFRANCO ROSI

მიერი ფილმის უკვე სმარტფონში ყურების საშუალება აქვს, მოთხოვნილებაც გაეზარდა. რასაკვირველია, ჰოლივუდმა ვერ დააკმაყოფილა ახალი ტიპის მაყურებლის შიმშილის გრძნობა, რის გამოც, ეს ნიშა უფრო იაფმა წარმოებამ – სერიალებმა – დაიკავეს. აქედან გამომდინარე, ჰოლივუდის ხვალინდელი დღე დამოკიდებული იქნება მხატვრული ხარისხის ამაღლებაზე და არა სერიული ფილმების რაოდენობის გაზრდაზე.

მხატვრული თვალსაზრისითაც, ამერიკული კინო არ უნდა იყოს მშვიდად. სხვადასხვა ტიპის შოუებმა სანახაობაზე მოთხოვნილება კრიტიკულ ზღვრამდე მიიყვანეს. იქნება ეს Birdman, თუ „სასტუმრო გრანდ ბუდაპეშტი" – მათში მომაბეზრებლად ბევრი ბურლესკური კარნავალია, რაც სავარაუდოდ, ჭრელ და მრავალნათურიან სატელევიზიო პავილიონთან კონკურენციის შედეგია. აქაც ჰოლივუდი დამარცხებისთვისაა განწირული.

XX საუკუნიდან მოყოლებული „ოცნების ფაბრიკის" უპირატესობა იყო მხატვრული სახეების შექმნის ოსტატობა. ოპერეტებსაც იღებდნენ და უშინაარსო მიუზიკლებსაც, თუმცა ვერავინ იტყვის, რომ ამერიკული მეინსტრიმული კინო უდრის „სასტუმრო ჰოლიდეის" და არა „ყველაფერი ევას შესახებს".

როგორც ცნობილია, ჰოლივუდისგან განსხვავებით, ევროპულმა კინომ ჟანრულობა ვერ მოირგო, ბევრი მიზეზის გამო. თუმცა, შესაძლოა, იმიტომ, რომ მშვიდად არასდროს უცხოვრია. ახლაც, როდესაც დედამიწაზე ამდენი ცხელი კერაა, რას გვთავაზობენ ევროპელი რეჟისორები? სიმშვიდეს, როგორც სიბერის ნიშანს – პაოლო სორენტინოს „ახალგაზრდობაში", მანკიერებას – როი ანდერსონის „მტრედი იჯდა ტოტზე, რომელიც ყოფიერებაზე ფიქრობდაში" და ერთგვარ გამოსავალს, რომელიც გამოიხატება კულტურათა მეტ ინტეგრაციაში – მატეო გარონეს „ზღაპართა ზღაპარში".

სულ უფრო მეტი ევროპელი რეჟისორი ფილმებს ინგლისურ ენაზე იღებს. გოდარიც ემშვიდობება ენას, თუმცა კინოს გამომსახველობით სემიოტიკას, მის ფორმასა და სტრუქტურას. როდესაც კინემატოგრაფის უნივერსალურ ენაზე საუბრობდნენ, ყოველთვის ხაზს უსვამდნენ სხვადასხვა სოციუმში გაზრდილი ადამიანებისთვის საერთო ვიზუალური ნარატივის მნიშვნელობას. ჩვენ დროს კი ენათა ბარიერი ნელ-ნელა ქრება და რჩება მხატვრული სახეები, რომელთა მოყოლაც კვლავ შეუძლებელია. არადა, თითქმის ნებისმიერ ქართულ ფილმს ძალიან მარტივად მოვუთხრობთ მეგობარს, მით უფრო, თუკი მათში არ შეგვხვდება დრო და მხოლოდ ამბების აღწერით გავალთ ფონს.

კინო არის დრო და გარემო. ის არც ქართულ-აფხაზური ომია, არც ციხეებში მძიმე მდგომარეობა და არც სოციალური სიდუხჭირე. „რაი" ან „არტე" აუცილებლად შექმნიან ფილმებს სირიელ ბავშვებზე. თუმცა ოცი-ოცდაათი წლის შემდეგ ამ პრობლემაზე ისევ აკი კაურისმიაკის „ჰავრს" უჩვენებენ, რადგან ის სავსეა დროით.

ამბავთან ერთად დროის ჩვენება ქართული კინოს მომდევნო გამოწვევაა, რომლის პრეცედენტიც უკვე (მართალია, ძველი, მაგრამ მაინც) გვაქვს „ცისფერი მთების" სახით. სხვათა შორის, შარშან ის კანში უჩვენეს.

[გიორგი რაზმაძე]

„ფილმპრინტის“ რედაქცია

კინოსთვის ერთად



ნათია კანთელაძე

აღმასრულებელი მენეჯერი

პროფესია...
მხატვარი, მაგრამ ჩემი პროფესიით, სამწუხაროდ, არასდროს მიმუშავია. სამაგიეროდ მიმუშავია: კონსულტანტად; ვიტრინების დიზაინერად; რეკლამის, მარკეტინგის, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერად; ჟურნალისტად; ჟურნალის სილამაზის განყოფილების რედაქტორად და საბოლოოდ ჟურნალის აღმასრულებელ მენეჯერად

მიყვარს...
მიყვარს ძალიან ბევრი რამ, მაგრამ გამოვყოფ ჯინსებს, მოგზაურობას და სიცილს.

არ მიყვარს...
უამრავი რაღაც, მაგრამ განსაკუთრებით ვერ ვიტან ტყუილს, უაზროდ დროის ხარჯვასა და ბადრიჯანს.

პირველი ნანახი ფილმი;
ფილმი კინოთეატრში;
ფილმი – სიყვარული;
ფილმი – სტრესი;
ფილმი -აღმოჩენა...
კინოსადმი სიყვარული ზოგადად „ილუზიონის" დამსახურებაა, მაგრამ კონკრეტულად სიყვარულიც, სტრესიც და აღმოჩენაც – „არ დაიდარდო" იყო. არასდროს დამავიწყდება, როგორ გამაღვიძა დედამ გვიან საღამოს და მაყურებინა.ორმაგად აღელვებული ვიყავი: დიდი გოგო გავხდი (9 საათზე აღარ მაძინებდნენ), რომელსაც კინო არანორმალურად შეუყვარდა!

პირველო წიგნი;
პირველი სპექტაკლი...
პირველი და დღემდე უსაყვარლესი წიგნი „პეპი გრძელი წინდა", პირველი სპექტაკლი, რომელიც მახსენდება – „ღია შუშაბანდი".

მნიშვნელოვანი
და საბედისწერო პიროვნება
ყველაზე მნიშვნელოვანი პიროვნებები ჩემი მშობლები არიან, მაგრამ ბოლო 19 წლის განმავლობაში ელენემ ცოტათი დაჩრდილა. ოოო, საბედისწერო – ვახო, ისეთი გადაწყვეტილებები მიმაღებინა, სულაც რომ აღარ ვაპირებდი, სულ ამირია გეგმები და თავგზა.☺

მუშაობა – მარტო,
თუ გუნდთან ერთად?
მარტოც შემიძლია, მაგრამ გუნდთან ერთად უფრო მიყვარს. სულ მეხუმრებიან მეგობრები: „შენი სტიქია კოლექტივიზაციააო" ☺

ყოფნა – მარტო, თუ სხვებთან?
სხვათა შორის, მოზარდობის პერიოდში მიყვარდა მარტო ყოფნა, მაგრამ ბოლო დროს... ჟრიამულში ტრიალს არაფერი ჯობია!

მუშაობის პრინციპი
ზოგადად ძალიან მოწესრიგებული ვარ, მაგრამ ბევრი სიტუაცია გამოვცადე და ეტაპობრივად-ზე ჩამოვყალიბდი

საზოგადოება და მე
ვერც დიდი აქტიურობით დავიკვეხნი და არც ზედმეტ პასიურობას ვაკადრებ თავს ☺

პოლიტიკა და მე
ვთვლი, რომ დიდი კომპეტენტურობით არ გამოვირჩევი, მაგრამ საკუთარი აზრი, რაღა თქმა უნდა, გამაჩნია.

მინდა...
იმდენი რამე მინდა... მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ჩემი საყვარელი ადამიანები იყვნენ ჯანმრთელად და კიდევ, ჩემმა შვილმა ისეთ საქართველოში იცხოვროს... აი, დღეს რომ გვშურს, ყველა იმ ქვეყანას რომ შურდეს!

ფოტო ხათუნა ხუციშვილი

მანანა არაბული

არტ დირექტორი



პროფესია...

განათლებით მხატვარი ვარ. ბოლო 20 წელი ქაღალდთან მაქვს საქმე – დიზაინს ვაკეთებ.
ყველაზე დიდი პრობლება ჩემთვის არის დრო – არ მყოფნის, სულ მინდა ახალი რაღაცა ვისწავლო, დავინახო, ვიგრძნო.

მიყვარს...

განსაკუთრებით მიყვარს ბუნება, მზე, მთვარე, ჩემი შვილები. საინტერესო, შემოქმედებითი აზროვნების, არაზარმაცი, პოზიტიური ხალხი. მიყვარს სიმართლე.

არ მიყვარს...

ადამიანები, რომლებსაც სხვების მიმართ „მომხმარებლური" დამოკიდებულება აქვთ. არ მიყვარს ზარმაცი ადამიანები. ვერ ვიტან ტყუილს.

პირველი ნანახი ფილმი;
ფილმი კინოთეატრში;
ფილმი – სიყვარული;
ფილმი – სტრესი;
ფილმი -აღმოჩენა...

პირველი ფილმი ნამდვილად არ მახსოვს. პირველი ფილმი სიყვარულზე იყო რუსი რეჟისორის სერგეი სოლოვიოვის ფილმი „ასი დღე ბავშვობის შემდეგ", რომლის მთავარი გმირი ძალიან მომწონდა. პირველი ფილმი სექსზე იყო „კალიგულა". პირველი ჰორორი იყო „ნათება". აი, მაშინ ნამდვილად შემეშინდა, თან მარტო მე და ჩემი ძმა ვიყავით აგარაკზე...

პირველო წიგნი;
პირველი სპექტაკლი...

პირველი წიგნი არ მახსოვს, რომელი იყო. ბავშვობაში შემთხვევით წავიკითხე სეი სონაგონის „სასთუმალთან ჩანაწერები" და ჩემზე ძალიან იმოქმედა. ვხატავდი ილუსტრაციებს, ინსპირირებული ამ ნაწარმოებით. ახლაც მაქვს შენახული.

მნიშვნელოვანი
და საბედისწერო პიროვნება

ალბათ ჩემი პირველი მეუღლე, რომელმაც უზარმაზარი გავლენა მოახდინა ჩემს მომავალ ცხოვრებაზე.

მუშაობა – მარტო,
თუ გუნდთან ერთად?

კოლაბორაცია მუშაობის პროცესის ყველაზე უნივერსალურ და წარმატებულ ფორმად მიმაჩნია.

ყოფნა – მარტო, თუ სხვებთან?

მარტო მიყვარს ყოფნა, მაგრამ დიდხანს, ალბათ, არა.

მუშაობის პრინციპი

ბევრს ვფიქრობ, ვაყალიბებ იდეას, ინსპირაციებს ვეძებ და მერე „ერთი ამოსუნთქვით" ვაკეთებ. შეიძლება ღამეც გავათენო.

საზოგადოება და მე

სულ პროტესტი მაქვს. უსამართლობას ვერ ვიტან. ვიცავ უფლებებს და არ მეშინია, რას იტყვის ჩემზე საზოგადოება.

პოლიტიკა და მე

ძალიან აქტიური ვარ, როდესაც ვხედავ მოვლენებს, რომლებიც არ მომწონს. თუმცა, ძალიან მღლის. ჩემი არ არის. დროს მართმევს. შემდეგ ვფიქრობ – ყველაფერს ვერ შევცვლი, მხოლოდ ნერვები მეშლება და ჩემს საქმეს უშლის.

მინდა...

ვიყო ჯანმრთელი, ბედნიერი და ბევრი ვიმოგზაურო. ყველას, ვინც მიყვარს, მინდა იგივე ვუსურვო. მინდა საქართველო მალე განვითარდეს, გახდეს თანამედროვე დემოკრატიული სეკულარული სახელმწიფო.

ფოტო ხათუნა ხუციშვილი

ხათუნა ხუციშვილი

ფოტოგრაფი

პროფესია..
განათლებით ვარ სისტემების და ქსელების ადმინისტრატორი და პროგრამისტი. ცოტა ხანს ვიმუშავე კიდეც პროფესიით. ფოტოგრაფია ყოველთვის მომწონდა, მართობდა, მავსებდა და ის ფორმა იყო, რომელშიც ყველაზე კარგად ვახერხებდი ჩემ სამყაროსთან ურთიერთებას. ჰოდა, ვაქციე ჩემს პროფესიად და ერთი წუთითაც არ მინანია. ☺ ♥ დიდი დრო გავიდა მას შემდეგ. ☺

მიყვარს...
ყველაეზე მეტად მართლაც მოგზაურობა მიყვარს, როგორც ჩემს საყვარელ ოჯახთან ისე მარტოც. ეს არა მხოლოდ დასვენება ან შემეცნების და ახალი შთაბეჭდილებების მიღების საშუალებაა, არამედ პროფესიული მოვალეობაც, რომ მუდამ ვიყო ჩართული სამყაროს ცხოვრებაში, ვიყო აქტუალური ჩემს შემოქმედებაში. ამაში მუსიკა, ლიტერატურა და კინოც მეხმარება.ვარ ჩოგბურთის დიდი გულშემატკივარი. ძააააალიან მიყვარს ჩემი შვილი ლუკა!

არ მიყვარს...
უტაქტობა, შინაგანი უკულტურობა, არაპროფესიონალიზმი და პამიდორი.

პირველი ნანახი ფილმი;
ფილმი კინოთეატრში;
ფილმი – სიყვარული;
ფილმი – სტრესი;
ფილმი-აღმოჩენა...
პირველად ნანახი ფილმი ნამდვილად არ მახსოვს, დაბადებიდან კინოთეატრში ვარ, მაგრამ კინო როგორც ხელოვნება, ჩემთვის ჯერ კიდევ ბოლომდე არგაყინულ კინოს სახლში დაიწყო, ადრე, თინეიჯერობის ასაკში, როდესაც ანტონიონიონის, ბერტოლუჩის, პაზოლინის, ბერგმანის, ალმადოვარის თუ ტარკოვსკის რეტროსპექტივებს ვესწრებოდით – ვშთანთქავდით ყველაფერს – აბსოლუტურად ყველაფერს.

პირველი წიგნი;
პირველი სპექტაკლი...
პირველი წიგნი მშვენივრად ილუსტრირებული ევროპული ზღაპრების კრებული იყო, პუშკინის ულამაზეს ზღაპრებთან ერთად.
მწერალი: დოსტოევსკი. თეატრიც მიყვარს და მოგზაურობისას ყოველთვის ვცდილობ ადგილობრივ სპექტაკლებს დავესწრო.

მნიშვნელოვანი
და საბედისწერო პიროვნება
ლუკა, ჩემი შვილი.

მუშაობა – მარტო,
თუ გუნდთან ერთად?
როგორც მარტო ასევე გუნდურად. სხვადასხვა ხიბლი აქვს და ორივე დიდ სიამოვნებას მანიჭებს.

ყოფნა – მარტო, თუ სხვებთან?
საზოგადოებაში ძალიან მიყვარს ყოფნა, როგორც ახლო ადამიანების გარემოცვაში, ასევე სრულიად უცხო გარემოში, სადაც დაკვირვების საშუალება გეძლევა. ამასთანავე მარტო ყოფნისას ალბათ კიდევ უფრო მეტ აღმოჩენას ვაკეთებ, უფრო ღრმა ანლიზს და თუნდაც სიმშვიდის სხვა ხარისხს ვაღწევ, რაც არ შეიძლება არ გხიბლავდეს.

მუშაობის პრინციპი
ბოლო წუთებში, ოღონდ „დედ ლაინი" არასდროს გამოგრჩეს

საზოგადოება და მე
ყველგან შემიძლია გარკვეულ დონეზე ინტეგრაცია, რაც ურთიერთობის საშუალებას მაძლევს ამათუიმ კულტურის წარმომადგენლებთან, თუმცა ბოლომდე ინტეგრირებული არასდროს ვარ.

პოლიტიკა და მე
„ია პას" ☺

მინდა...
მშვიდობა მთელ სამყაროში.

ფოტო: ზინკა ბარნოვი



ალექსი კახნიაშვილი

დიზაინერი

პროფესია...
კომპიუტერული გრაფიკის სპეციალისტი, დიზაინერი (განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომის ფსიქოლოგიის ფაკულტეტი)

მიყვარს...
ახალი გრაფიკული პროგრამების გარჩევა და მისი შესაძლებლობების აღმოჩენა, ველოსიპედი.

არ მიყვარს...
ზედმეტი „ბლა, ბლა, ბლა"

პირველი ნანახი ფილმი;
ფილმი კინოთეატრში;
ფილმი – სიყვარული;
ფილმი – სტრესი;
ფილმი -აღმოჩენა...
„მილიონი წელი ჩვენს ერამდე"

პირველი წიგნი;
პირველი სპექტაკლი...
„დაჩის ზღაპრები"
„დარაბებს მიღმა გაზაფხულია"

მნიშვნელოვანი
და საბედისწერო პიროვნება
ჯერ არ შევხვედრივარ

მუშაობა – მარტო,
თუ გუნდთან ერთად?
უფრო მარტო, მას შემდეგ რაც გუნდთან უკვე ყველაფერი გარკვეული და შეთანხმებულია

ყოფნა – მარტო, თუ სხვებთან?
მარტო ან ახლობლებთან

მუშაობის პრინციპი
ეტაპობრივად და გარკვეული თანმიმდევრობით

საზოგადოება და მე
პატივს ვცემ ☺

პოლიტიკა და მე
გადაწყვეტილებას ვიღებ საარჩევნო ყუთთან

მინდა...
ნორმალურ, მშვიდ, ჯანმრთელ ქვეყანაში ცხოვრება, სადაც პროფესიული ცოდნა და გამოცდილება დაფასებულია

ფოტო: ხათუნა ხუციშვილი

Nikon

ზინკა ბარნოვი

ფოტოგრაფი

პროფესია...

განათლებით ფილოსოფოს-სოციოლოგი ვარ, პროფესიით – ფოტოგრაფი და არავითარ შემთხვევაში – ფოტოხელოვანი. ძირითადად დოკუმენტურ ფოტოებს ვიღებ, დადგმული ფოტოები მიყვარს, თუმცა მხოლოდ მათი თვალიერება და არა გადაღება.

პირველი ნანახი ფილმი;
ფილმი კინოთეატრში;
ფილმი – სიყვარული;
ფილმი – სტრესი;
ფილმი -აღმოჩენა...

ჩემი პირველი შთაბეჭდილება ბობ ფოსის **All That Jazz**-ია. რაც შეეხება სტრესს,კარგი იქნებოდა, **Sophies Choice** დღემდე რომ არ მქონდეს ნანახი.

პირველო წიგნი;
პირველი სპექტაკლი...

თეატრში ხშირად დავდივარ, თუმცა ისეთი შთაბეჭდილება, როგორიც რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში გიზო ჟორდანიას სპექტაკლებიდან: „ანა ფრანკის დღიური“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ამაღამ მგონი, იქნება ქარი“ მივიღე, აღარასდროს გამმეორებია.
ბევრი საყვარელი ფოტოგრაფი მყავს, იმდენია, ჩამოთვლით თავს არ შეგაწყენთ. თუმცა ფოტოგრაფებზე როდესაც ვლაპარაკობ, პირველი გოგი ცაგარელი მახსენდება.

მუშაობა – მარტო,
თუ გუნდთან ერთად?

საერთოდ მარტო მუშაობა მიყვარს. გუნდურობა ჩემს პროფესიას ისედაც არ ახასიათებს.

პოლიტიკა და მე

პოლიტიკას გვერდიდან ვაკვირდები და დოკუმენტად ვაქცევ.

საზოგადოება და მე

სოციალურად აქტიურს ჩემ თავს ვერ დავარქმევ. დამკვირვებლის როლში ყოფნას ვამჯობინებ, ალბათ ამიტომაც ავირჩიე ფოტოგრაფობა. ყურადღების ცენტრში ყოფნაც არ მიყვარს, მირჩევნია, სხვა მოვაქციო ჩემს ობიექტივში და ვაქციო ყურადღების ობიექტად.

ფოტო: ხათუნა ხუციშვილი

ნინო სვანიძე

ლიტრედაქტორი

ფოტო: ხათუნა ხუციშვილი

პროფესია...

განათლებით ქართული ენის ფილოლოგი ვარ. ამ სფეროსა და მის მონათესავე თითქმის ყველა პროფესიაში მიმუშავია. რომელიმე ამ პროფესიას რომ ავირჩევდი, ადრეული ასაკიდანვე ცხადი გახდა – სამი წლისამ დამოუკიდებლად ვისწავლე კითხვა და მას შემდეგ არც შემიწყვეტია. ზემოთ ჩამოთვლილ საქმიანობათაგან თავთავის დროზე ყველა დიდ სიამოვნებას მანიჭებდა. თუმცა, ჩემი განსაკუთრებული სიყვარული მაინც თარგმანს უკავშირდება, რადგან ნამდვილი შემოქმედებითი პროცესია და დიდ სიამოვნებას მანიჭებს... და რედაქტირება. საერთოდ, როდესაც ტექსტს ვკითხულობ, ყურში აუცილებლად მესმის მისი რიტმი, და თუ ეს რიტმულობა დაირღვა, კითხვას ვწყვეტ, და ვიწყებ ტექსის სწორებას – რიტმის აღდგენას.

მიყვარს...

მზე – ისე მიყვარს, თანახმა ვარ,ღამეც არ ჩავიდეს! უცხო ქალაქებში ფეხით ბევრი სიარული, ყველი ყველანაირი, ნებისმიერი ლირიკული ჟანრის ხელოვნება, ცარიელ ქალაქში მანქანით ზომიერად სწრაფი მოძრაობა, კარგ ხასიათზე მყოფი და ბედნიერი ოჯახის წევრების და მეგობრების ყურება; საუკეთესო განწყობაზე მაყენებს მრავალფეროვანი ჩასაცმელი; და ნებისმიერი ასაკობრივი ჯგუფის ბავშვები – ეს ისაა, რაც ყველაზე მეტად მიყვარს, მათთან ერთად დრო როგორ გადის, ვერ ვხვდები...

არ მიყვარს...

ფარისევლობა, ზოზინი, უზრდელობა, ცუდი მუსიკა და თან ხმამაღლა; როდესაც კამათში არგუმენტები ყვითელი პრესიდან მოჰყავთ და ან სულაც საკუთარ „გუმანს" ეყრდნობიან, მანქანის მართვის ქართული მანერები,ინერტულობა, ბრმა მორჩილება, ყალბი ფასეულობების თაყვანისმცემელი საზოგადოება...

პირველი ნანახი ფილმი;
ფილმი კინოთეატრში;
ფილმი – სიყვარული;
ფილმი – სტრესი;
ფილმი -აღმოჩენა...

პირველი და ძალიან შთამბეჭდავი იყო ჩემთვის დისნეის მულტიპლიკაციური ფილმი „ბემბი"; ალბათ სამი წლის ვიყავი და მახსოვს,ისე ვტიროდი, დამამშვიდებელი წამალი დამჭირდა. პირველად კინოთეატრში, მახსოვს, დედამ და მამამ ძალით წამიყვანეს კინოთეატრში ნამყოფი არ ვიყავი და ეზოში გართობა მერჩივნა. ეს იყო ფილმი „მილიონი წელი ჩვენს ერამდე", რომელმაც ისეთი წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რომ მას შემდეგ კინოთეატრი ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი ადგილი გახდა.
ჩემი პირველი ფილმი-სიყვარული არის „მუსიკის ჰანგები", და ჩემთვის დღემდე გამოუცნობ ფენომენად რჩება, თუ როგორ შეძლო ჩემმა უსაყვარლესმა ბებიამ ჩემთან ერთად ამ ფილმზე 38-ჯერ წასვლა...
ფილმი-სტრესი – ოღონდ ეს იყო დადებითი სტრესი – 3D ფორმატით ფილმი დიდი მოცეკვავე პინა ბაუშისა და მისი დასის შესახებ და მივხვდი, რომ პლასტიკის ენა ძალიან ახლობელია ჩემთვის.
ფილმი-აღმოჩენა შემიძლია დავარქვა ფილმს „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა"... მე მაშინ აღმოვაჩინე,რომ ჩემთვის ყველაზე მთავარ ფასეულობაზე – თავისუფლებაზე შესაძლებელია ასე სადად, ასე გულწრფელად, სიყვარულით, დახვეწილი იუმორით, და თან სულის შემძვრელად თხრობა.

პირველო წიგნი;
პირველი სპექტაკლი...

პირველი უსაყვარლესი წიგნი – „მერი პოპინსი" ,რომლის მთავარი გმირისთვის მოგვიანებით, პედაგოგობისას ვცდილობდი მიმებაძა... შემდეგი და უცვლელად საყვარელი წიგნია ჯერომ

სელინჯერის „თამაში ჭვავის ყანაში“. მახსოვს, ყველგან ვეძებდი ჰოლდენ კოლფილდის მსგავს ბიჭს, რომ შემყვარებოდა და ბოლოს ვიპოვე...

პირველი სპექტაკლი – „კავკასიური ცარცის წრე“ – 12 წლის ასაკში მოვხვდი ამ სპექტაკლის პრემიერაზე, ჩემი აღფრთოვანება და ირგვლივ ბევრი გულწრფელად აღფრთოვანებული ადამიანი...

მნიშვნელოვანი და საბედისწერო პიროვნება

ყველაზე მნიშვნელოვანი პიროვნება ჩემთვის იყო და არის ჩემი დედა. ცხოვრების მანძილზე ჩემი ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მხოლოდ მისი უაღრესად პოზიტიური, მშვიდობიანი და ძალიან ბრძნული რჩევებით მაქვს მიღებული...

საბედისწერო ადამიანი ჩემთვის არის ჩემი ქმარი, ერთი უბრალო მიზეზით – არც ისეთი პატარა ვიყავი, როდესაც შემიყვარდა და ამ სიყვარულმა სრულიად შემცვალა, ჩემზე თვალსაჩინოდ აღმშენებლური გავლენა იქონია.

მუშაობა – მარტო, თუ გუნდთან ერთად?

მუშაობა მარტოც მიყვარს და გუნდთანაც. მახსოვს, სოხუმის დაცემის დღეს იმ სასოწარკვეთილ უსუსურობასთან დასაპირისპირებლად მე და ნინო კირთაძე (მაშინ ორივე გაზეთ „კავკასიონში“ ვმუშაობდით) დავწყვილდით და ერთად მოვიარეთ ყველა საელჩო. ჩვენგან საუკეთესო გუნდი შედგა, რადგან ელჩების კაბინეტებში შეღწევას მე უზრუნველვჰყოფდი ჩემი შეუპოვარი ხასიათით, ნინო კი იმ დროს უკვე საუკეთესოდ ფლობდა უცხო ენებს და თარჯიმანის გარეშე ეს სპონტანური ინტერვიუები ელჩებისგან იოლად მოვიპოვეთ...

ყოფნა – მარტო, თუ სხვებთან?

განმარტოება დღის განმავლობაში ალბათ ყველას სჭირდება, და არც მე ვარ გამონაკლისი. ისე კი, ადამიანებთან ურთიერთობა ძალიან მომწონს, ხალხმრავლობაც მიყვარს.

მუშაობის პრინციპი

მუშაობას ეტაპობრივად თუ ვახერხებ, ხარისხი უკეთესი გამოდის, თუმცა ერთბაშადაც შემიძლია; „ხვალ გავაკეთებ“, – ამ სიტყვებს თითქმის არ ვამბობ.

საზოგადოება და მე

თავი საზოგადოების საკმაოდ აქტიურ წევრად მიმაჩნია და მგონია, რომ ნებისმიერი საჭირბოროტო საკითხი პირადად მეხება და ჩემი საქმეა.

პოლიტიკა და მე

ამჟერად პოლიტიკით ზომაზე მეტად ვარ გატაცებული, რადგან ჩემი აქტიური ხასიათი სხვა გასაქანს არ მაძლევს. წესით კი, ჩემი თავი აპოლიტიკურ ადამიანად მიმაჩნია,რადგან ნებისმიერი აგრესიული მუხტი მთრგუნავს, ბუნებით მშვიდობის მოყვარე ვარ და შემიძლია (ადრე შემეძლო) ადამიანებს, მათი კეთილი საწყისის გამო,ბევრი რამ ვაპატიო და მაინც მიყვარდეს.

მინდა...

და მჯერა, რომ როდესმე ევროპაში სრულფასოვნად ინტეგრირებულ საქართველოში ვიცხოვრებთ – აი, ისეთში,მაგალითად, რომელიმე ქართული ფილმის პრემირა, ან ქართველი მხატვრის გამოფენა, ან წიგნის პრეზენტაცია, ჩვეულებრივად, ბერლინში, პარიზში, ამსტერდამში ან ლონდონში რომ გაიმართება, მას თბილისიდან და მთელი ევროპიდან ჩასული ქართველები და უცხოელი ადამიანები, ჟურნალისტები და კრიტიკოსები რომ დაესწრებიან და ყველასთვის აქტუალური და გასაგები რომ იქნება, საღამოს კი სადმე კარგ კაფეში ვიმსჯელებთ ამაზე, და ამით კი არ ვიამაყებთ და ფეისბუქზე კი არ გამოვდებთ, არამედ ეს ერთი ჩვეულებრივი, მორიგი ამბავი იქნება...